

"პოლიტიკური სასტუმრო" A2



ხმაურიანად ეტაპირებული "დიდი ავტორიტეტი" A4



გიყვარდეთ იდუმალება A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი, 25 მაისი, 2006 წელი. №114 (1266) — ფასი 50 თეთრი



### საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიული ბიუროების სასამართლო აღმასრულებელთა მიერ დანიშნული საჯარო აუქციონების შესახებ დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე www.justice.gov.ge შეუძლიათ.

აღმასრულებელთა მიერ დანიშნული, იპოთეკით დატვირთული უძრავი და მოძრავი ქონების აუქციონების შესახებ ცნობები მუდმივად განახლდება.



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


# გიორგაძემანია

## ახალი რუსული გასართობი

*რუსეთმა იგორ გიორგაძის ლეგალიზება გადაწყვიტა. მოსკოვში თითქოსდა უცხოეთიდან ჩამოსულმა ძებნილმა გიორგაძემ პრესკონფერენცია მოაწყო და საქართველოში ხელისუფლებაში მოსვლის ამბიცია დაადასტურა. კრემლის შეტევა საქართველოს ხელისუფლებაზე ახალ სტადიაში გადავიდა.*

დიმიტრი ავალიანი

1995 წლის 29 აგვისტოს, 1998 წლის 9 თებერვლის, 2000 წლის მაისის ტერაქტის, გია გულუას, გია ჭანტურიას, სოლიკო ხაბეიშვილისა და გია ყარყარაშვილის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტების ორგანიზებაში ბრალდებული, საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე უკვე 11 წელიწადია, რაც საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ძებნილადაა გამოცხადებული. ჩამოთვლილი მძიმე დანაშაულებების გარდა, რომლებშიც იგორ გიორგაძეს ოფიციალურად ედება ბრალი, უშიშროების ყოფილი მინისტრი წლების მანძილზე საქართველოში მომხდარი ყველა სადესტაბილიზაციო აქტის დამგეგმავადაც სახელდებოდა.

**გამოცხადება**

წინასწარ "დაანონსებულ" ბრიფინგზე მედიის ასზე მეტმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი. გიორგაძეს რუსული მედიის წარმომადგენლების წინაშე გამოსვლის პრობლემა არც აქამდე ჰქონია, თუმცა უწინ იგი ჟურნალისტებს მხოლოდ მონიტორის ეკრანიდან ესაუბრებოდა. გუშინ კი მოსკოვში მან თავად გასცა პასუხი კითხვას - სად არის იგორ გიორგაძე? მართალია, ვერსიები მისი შესაძლო ადგილსამყოფელის თაობაზე მრავალფეროვნებით არც აქამდე გამოირჩეოდა, მაგრამ გუშინ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა.

უშიშროების ყოფილმა მინისტრმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია რუსეთის მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობის შესახებ. გიორგაძე იმედოვნებს, რომ მისი უდანაშაულობის დამტკიცებას რუსეთის გენპროკურატურა შეძლებს. გიორგაძის თქმით, მას რუსეთში პოლიტიკური თავშესაფარი არ სჭირდება, ვინაიდან საქართველოში დაბრუნებასა და ხელისუფლებაში მოსვლას გეგმავს. კერძოდ, იგი ხელისუფლებისაგან ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას მოითხოვს, რომელშიც, რა თქმა უნდა, გამარჯვებას თავად აპირებს.


გაგრძელება A3 გვერდზე


# სუამ-იდან სურამამდე

## ქართველი პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები სუამ-ის პერსპექტივებზე

*საქართველოში სუამ-ისგან, პირველ რიგში, ეკონომიკურ სარგებელს ელიან.*

სოფო ბუკია

რუმინეთი აპირებს სუამ-ის წევრი გახდეს. ამის შესახებ გუშინ რუმინეთის ელჩმა აზერბაიჯანში ნიკოლაე ურეკემ განაცხადა.

როგორც დიპლომატი აღნიშნავს, **"სუამი - ეს არის ორგანიზაცია დიდი პერსპექტივით... სუამ-ის ორი წევრი - უკრაინა და მოლდოვა, რუმინეთის მეზობლები არიან. რუმინეთიც მზადაა ამ ორგანიზაციის წევრი გახდეს,"** - აღნიშნავს ურეკე.

მისი თქმით, ამჟამად რუმინეთი კონსულტაციებს მართავს ორგანიზაციის სტრუქტურულ განახლებასთან დაკავშირებით.

საქართველოში სუამ-ის პერსპექტივებს ოპტიმისტურად უყურებენ და მის შესაძლო გაფართოებასაც არ გამორიცხავენ. ყველა ერთხმად თანხმდება, რომ სუამ-ის წარმატებულად ამუშავება ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს, პირველ რიგში, მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს. როგორც ექსპერტი არჩილ გეგეშიძე აღნიშნავს, **"სხვა რომ არაფერი, ეს ორგანიზაცია მხოლოდ ენერგეტიკული პერსპექტივების თვალსაზრისით გახდება მიმზიდველი შავი ზღვის აუზის სხვა ქვეყნებისთვის".**

**"ძალიან მნიშვნელოვანია სუამ-ის ქვეყნების თანამშრომლობა ევროპასთან, კასპიის ქვეყნებთან, რათა სუამ-მა შეასრულოს ერთგვარი ხიდის როლი კასპიიდან ევროპისკენ ალტერნატიული ენერგომატარებლების გატარების კუთხით,"** - აღნიშნავს გეგეშიძე. მისი თქმით, სუამ-ით დაინტერესებულია თურქმენეთიც, რომელსაც ენერგორესურსების ექსპორტის დივერსიფიკაციის საჭიროებას განიცდის. **"სუამ-მა შეიძლება თურქმენეთის ეს საჭიროებაც გონივრულად გამოიყენოს,"** - აღნიშნავს გეგეშიძე.


გაგრძელება A3 გვერდზე


# კინოს სნობები

ნესტან ნიჟარაძე
*კანიდან*

*2006 წლის კანის ფესტივალის მეექვსე სამუშაო დღეს ძირითადი საკონკურსო პროგრამით გათვალისწინებული 18 ფილმიდან 14-ის ჩვენება უკვე შედგა. შესაბამისად, გამოჩნდნენ ფავორიტებიც. თუმცა ჯერ კიდევ წინ ფესტივალის 5 დღეა, თავისი სასიამოვნო და არასასიამოვნო კინო-მოულოდნელობებით. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად კანი მსოფლიო კინოს ეპიცენტრია. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე პატარა საკურორტო ქალაქი, რომელიც წელს უკვე ორმოცდამეცხრამეტედ მასპინძლობს კინოფესტივალს, მსოფლიო კინოს ეპიცენტრის სტატუსს 28 მაისამდე ანუ ფესტივალის დახურვამდე შეინარჩუნებს.*


გაგრძელება A8 გვერდზე




# სამიტი სოჭში - მზადება "დიდი" სამიტისთვის

*დღეს სოჭში ევროკავშირი-რუსეთის მორიგი სამიტი გაიმართება. წინასაწარი შეფასებებით ნათელი ხდება, რომ ეს შეხვედრა მოსკოვისთვის ერთგვარი გამოცდა იქნება. დღის წესრიგის მთავარი თემა, ბუნებრივია, ენერგეტიკული პრობლემებია, რომლებიც უკავშირდება როგორც რუსული ენერგომატარებლების მიწოდებას ევროპულ ქვეყნებში, ასევე რუსეთის უარს მის მიერვე ხელმოწერილი ენერგეტიკული ქარტიის რატიფიცირებაზე.*

ნიკა თარაშვილი

სამიტი, რომელიც დღეს გაიხსნება შავიზღვისპირა კურორტ სოჭში, მხარეებს შორის შეხვედრების ისტორიაში ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდება. ვლადიმირ პუტინთან უდავოდ უმნიშვნელოვანეს თემებზე სასაუბროდ, ევროკავშირის ამჟამინდელ თავმჯდომარე ვოლფგანგ შიუსელსა (ავსტრიის კანცლერი) და ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზუს მხოლოდ საათნახევარი აქვთ გამოყოფილი.

"საშინელებაა" - ასეთ კომენტარს აკეთებდნენ ევროპელი დიპლომატები დროის ამგვარი შეზღუდვის გამო. მართლაც, დღის წესრიგში ხომ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები დგას, როგორიცაა ერაყი, ირანი, ახლო აღმოსავლეთი და, რასაკვირველია, ნომერ პირველი თემა - ენერგორესურსები.

თუმცა, როგორც ჩანს, რუსეთს "დიდი რვიანის" სამიტამდე ენერგოუსაფრთხოების თემაზე სერიოზული საუბარი ნაკლებად ხიბლავს. ორ თვეში სანკტ-პეტერბურგში ეს თემა იქნება უმნიშვნელოვანესი და, როგორც ვარაუდობენ, გადამწყვეტ გავლენას მოახდენს მთელი საერთაშორისო სისტემის მომავალზე. მანამდე კი, როგორც კრემლში ფიქრობენ, სოჭში შეიძლება ხანმოკლე "წავარჯიშება" ევროპისთვის საკუთარი არგუმენტების უკეთესად გასაცნობად.


გაგრძელება A3 გვერდზე


### პოლიტიკა

ცარიელი სავარძლები და იგორ გიორგაძე A3

### სამართალი

დაზარალებული ჩვენებებს ცვლის A4


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


### ამინდი

| | 25/05 | 26/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | 29 |
| ტყიბული | 29 | 31 |
| სოხუმი | 31 | 34 |
| დმანისი | 25 | 26 |
| გორი | 27 | 28 |
| ონი | 23 | 24 |
| ზუგდიდი | 35 | 37 |
| ახმეტა | 29 | 28 |
| გაგრა | 28 | 31 |
| სამტრედია | 32 | 35 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.3137 |
| ბრიტანული სტერლ. | 3.3907 |
| რუბლი | 0.0666 |

# ქართული ღვინო იაპონურ ბაზარზე

## რა უპირატესობები აქვს ქართულ ღვინოს იაპონიის ბაზრის დასაპყრობად?

B

მარიამ ჭაჭვაძე

*ამ დღეებში ქართულ ცქრიალა ღვინოს იაპონიაში პირველად დააგემოვნებენ. კომპანია "ვაზიანს" ამ ქვეყანაში გასაგზავნი ღვინის საცდელი პარტია უკვე მზად აქვს.*

*თუკი გასულ წელს იაპონიაში ერთ სულ მოსახლეზე 100 ლიტრი ადგილობრივი, ხოლო 160 ათასი ლიტრი იმპორტირებული ღვინის მოხმარება დაფიქსირდა, წელს იგივე მაჩვენებლები, წინასწარი გათვლებით, შესაბამისად, 120 და 270 ლიტრს მიაღწევს.*




# დაგვიანებული ბოდიში

სოფიო თოდუა

დაკვირვებული ვარ, თბილისში ყველაზე ვულგარულად პროვინციიდან ჩამოსულ გოგონებს აცვიათ. ამათი საცოდაობით არა ვარ - აქ სხვაგვარად იქცევიან, სხვაგვარად აცვიათ, მაგრამ როგორც კი არდადეგებზე ოჯახებს უბრუნდებიან, ვერც კი იცნობ, იმდენად განსხვავებული ადამიანი შეგრჩება ხელში. ეს ქალიშვილები, თბილისის ქუჩებში მოშილიფებულები რომ დაიარებიან, იქ, მშობლიურ სოფელში, მეზობელთან ისე არ გადავლენ, მხრებზე ბამბაზიის ხალათები არ მოიცვან. ასე მგონია, ბევრი ჩემი კოლეგა სწორედ ამ გოგონებს ემსგავსება.

ახლა კი საქმეზე. სიმართლე გითხრათ, ტელეჟურნალისტების გაუთავებელ კრიტიკას გაზეთის ფურცლებზე (გნებავთ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის გრანტის ფარგლებში, გნებავთ დამოუკიდებლად) დიდად არ მივესალმები და ამის მიზეზიც გამაჩნია. ასე მგონია, იმდენ პრობლემაზე გვაქვს ყურადღება გასამახვილებელი, ერთმანეთის კრიტიკის დრო არ უნდა გვრჩებოდეს. ამას გარდა, არ მეგულება არც ერთი გაზეთი, მათ შორის ჩვენიც, სადაც შიგადაშიგ ისეთ "მარგალიტს" არ გადააწყდები, დიდხანს რომ დაგამახსოვრდება. იქიდან გამომდინარე, რომ ყველაზე დაბალრეიტინგიან ტელეკომპანიას ყველაზე მაღალტირაჟიან გამოცემაზე დიდი აუდიტორია ჰყავს (ესეც ანომალია მგონია), ბუნებრივია, საზოგადოების პრეტენზია ტელევიზიების მიმართ ყოველთვის დიდი იქნება. შესაბამისად, ტელესიუჟეტების მომზადებისას ჩემს კოლეგებს მეტი სიფრთხილე და პასუხისმგებლობა ჰმართებთ.


გაგრძელება A6 გვერდზე



| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| საზოგადოება | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| რევიუ | A 8 |

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტი აცხადებს

2006 წლის 17 მაისს, რუსულ საიტზე (www. Regnum.ru) გამოქვეყნდა მასალა სათაურით: *"უკრაინელი სოციოლოგები: ქართველები უფრო მეტად ენდობიან იუშჩენკოს, ბუშს და პუტინს, ვიდრე სააკაშვილს"*. მასალაში მოტანილია სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები და თსუ სოციოლოგიის დეპარტამენტი, უკრაინელ კოლეგებთან ერთად, გამოცხადებულია ამ გამოკვლევის თანაავტორად.

ამგვარი ინტერპრეტაცია ამახინჯებს რეალურ ვითარებას და მკითხველი აშკარა შეცდომაში შეჰყავს.

თბილისში, 15-დან 23 აპრილამდე მართლაც იმყოფებოდა უკრაინელი სოციოლოგი, ყირიმის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქ-ნი ტატიანა ხრიენკო, რომელიც დაუკავშირდა სოციოლოგიის დეპარტამენტს და სთხოვა, დახმარება აღმოეჩინა მისთვის სამეცნიერო მივლინების ძირითადი მიზნის - კვლევითი პროექტის განხორციელებაში. ქ-მა ხრიენკომ წარმოადგინა ყველა საჭირო დოკუმენტაცია (სამივლინებო ბარათი და აკადემიის აღმასრულებელი დირექტორის, ლ.ხ. სერგიენკოს სარეკომენდაციო წერილი) და სოციოლოგიის დეპარტამენტისგან ითხოვა დახმარება სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვებაში.

ხასგასმით აღვნიშნავთ, რომ უკრაინელ კოლეგას ჩვენთან მომართვამდე უკვე გამზადებული ჰქონდა ანკეტა, შერჩევის მოდელი და ერთადერთი აქტივობა, რისთვისაც მან სოციოლოგიის დეპარტამენტს დახმარებისთვის მიმართა, **საველე სამუშაოების** ჩატარება იყო მთელ საქართველოში, ანკეტირების წესით. სოციოლოგიის დეპარტამენტის ფუნქციაში არ შედიოდა, აგრეთვე, შევსებული ანკეტების კოდირება, მონაცემების კომპიუტერში შეტანა, დამუშავება და სოციოლოგიური ანალიზი. ქ-მა ხრიენკომ შევსებული ანკეტები ფიზიკურად (და არა ელექტრონული ვერსიის სახით) წაიღო უკრაინაში (სიმფეროპოლში) და იქ მოახდინა მათი დამუშავება. ამდენად, ჩვენთვის ხელმიუწვდომელი და უცნობი იყო ანკეტირების შედეგები, რამდენადაც, ვიმეორებთ, არ გვქონია (და არც ახლა გვაქვს) მონაცემების დაჯამება-დამუშავების და გადამოწმების შესაძლებლობა. **აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, პასუხისმგებლობას კვლევის შედეგებზე ვერც ერთ შემთხვევაში ვერ აიღებს სოციოლოგიის დეპარტამენტი. შესაბამისად, არ მიგვაჩნია ადეკვატურად ჩვენი გამოცხადება სოციოლოგიური კვლევის თანაავტორად.**

ამის გაცხადებას, მით უფრო, ის გვავალდებულებს, რომ ვებგვერდზე გამოქვეყნებული კვლევის შედეგების ობიექტურობა, რბილად რომ ვთქვათ, საფუძვლიან ეჭვებს აღძრავს და გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთი მონაცემი, უბრალოდ, გაყალბებულია. ამის თქმის უფლებას გვაძლევს სხვადასხვა ორგანიზაციის (მათ შორის, ჩვენი) მიერ ჩატარებული რეპრეზენტატული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება საიტზე გამოქვეყნებულ მონაცემებს (მაგალითად რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის, მხარდამჭერთა ხვედრითი წილიც (33%?!) იკმარებდა).

**ზემოთქმულიდან გამომდინარე, თსუ სოციოლოგიის დეპარტამენტი უნდობლობას უცხადებს აღნიშნული კვლევის მონაცემებს და თავს ვალდებულად თვლის, მოიხსნას ყოველგვარი პასუხისმგებლობა კვლევის ავტორობაზე.**

პატივისცემით,

იაგო კაჭკაჭიშვილი

პროფესორი, თსუ სოციოლოგიის დეპარტამენტის დირექტორი

# ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე მიხეილ სააკაშვილი სიტყვით გამოვა

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის გაზაფხულის სესია პარიზში 26-30 მაისს გაიმართება.

ღონისძიებას 340 პარლამენტარი დაესწრება ჩრდილოეთ ამერიკიდან და ევროპიდან. "Pale du Congres" დარბაზში პლენარულ სესიას საფრანგეთის შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები, ნიკოლა სარკოზი და მიშელ ელიოტ-მარი გახსნიან.

შეხვედრაზე დაგეგმილია საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების, მიხეილ სააკაშვილის და ილჰამ ალიევის სიტყვით გამოსვლაც. სესიაზე ბელორუსის ოპოზიციის ლიდერს, ალექსანდრე მილინკევიჩსაც, მოუსმენენ.

ასამბლეის ორდღიან სხდომას ნატო-ს გენერალური მდივანი, იაპ დე ჰუუპ სხეფერი და საერთაშორისო ორგანიზაციის სხვა მაღალჩინოსნებიც დაესწრებიან.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში ყოფნისას სააკაშვილი 30 მაისს ქართულ დიასპორასთან ერთად დამოუკიდებლობის დღესაც აღნიშნავს. ღონისძიება საქართველოს საელჩოს ორგანიზებით "Cercles de l'Union Interalliée"-ს დარბაზში მოეწყობა.

*ჯი ეიჩ ენი*

# თავისუფალი სიტყვა

*გადაცემა გადის რადიო "უცნობის" ეთერში ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემას უძღვება ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი. სტუდიის სტუმარია სახალხო დამცველი სოზარ სუბარი.*

**ირაკლი იმნაიშვილი:** დღევანდელი გადაცემის თემაა წამების ფაქტები საქართველოში. რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნა, სადაც ასახულია მთელი რიგი ფაქტები, რომელიც ჩადენილია საქართველო ტერიტორტიაზე. რა სურათია დღეს ამ მხრივ საქართველოში, პროგრესია, თუ რეგრესი?

**სოზარ სუბარი:** მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ფაქტი გახმაურდა, მე არ მეშინია იმის თქმა, რომ ამ მხრივ პროგრესია. რევოლუციამდე სცემდნენ. იყო ფაქტები, როდესაც დენზე აერთებდნენ. თუ უფრო ადრინდელ დროს გავიხსენებთ, ზეიკიძეს დათვი ჰყავდა და იმასთან აგდებდა ურჩ პატიმრებს.

**ი.ი.** როგორც მე ვხვდები, წინასწარი დაკავების საკნებში კლებულობს წამების ფაქტები, თუმცა დღეს უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს უკვე მომხდარზე რეაგირება...

**ს.ს.** არა, რეაგირებაც მანამდე უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენდა. არც ერთი ადრინდელი ფაქტი, როდესაც დაკითხვის დროს ზედა სართულებიდან გადმოხტნენ, თუ გადმოაგდეს პატიმრები, გამოძიებული არ არის. ჩვენს რეკომენდაციაში პირდაპირ ეწერა, რომ დასაკითხი ოთახები აუცილებლად პირველ სართულზე უნდა ყოფილიყო. უამრავი ფაქტია, როდესაც გვაქვს ეჭვი, ან დადასტურებული ფაქტი, რომ ნაწამებია ადამიანი და ამაზე ადეკვატური რეაგირება არ მომხდარა.

**ი.ი.:** რა ფაქტებია ასახული ომბუდსმენის მოხსენებაში, რომელსაც თქვენ პარლამენტს წარუდგენთ და რა რეაგირებას მოითხოვთ?

**ს.ს.:** ეს შეეხება პოლიციის მიერ ცემის ფაქტებს დაკავებისას და პოლიციაში მიყვანის შემდეგ. 2004 წელსაც მქონდა დაფიქსირებული, რომ ცემის ფაქტებს ადგილი აქვს ქუჩებში. ამას ამართლებენ წინააღმდეგობის გაწევით. პენიტენციალურ სისტემაში ბევრი წამების ფაქტია აღწერილი. არსებობს ეჭვი პოლიციის მიერ იარაღის გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით. 2 მაისის ინციდენტი, როცა ორი ადამიანი მოკლეს და ერთი მძიმედ დაჭრეს. ცოტა ხნის წინ გორში მოხდა ასეთი ფაქტი. რობაქიძის ცნობილი ამბავი, როდესაც თქვეს, რომ იარაღი ჰქონდა ამ პიროვნებას.

**ი.ი.:** 2005 წელს მესტიაშიც მოხდა ასეთი ფაქტი: ადამიანს, რომელიც ტყეში მუშაობდა და სახლში ვილისით ბრუნდებოდა, ნიღბიანები დახვდნენ. მან არ გაუჩერა მანქანა, რის შემდეგაც საშინლად სცემეს. დღეს ამ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია.

**ს.ს.:** როგორც ამ ადამიანის ოჯახის წევრები ჰყვებიან, ჯერ ადგილზევე სცემეს და შემდეგ პოლიციაში გააგრძელეს მისი წამება.

**ი.ი.:** სატელეფონო ხაზზეა დაზარალებულის და ქალბატონი მერი. რა დიაგნოზი დაუსვეს თქვენს ძმას და როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა?

**მერი ცალანი:** სისხლის გათეთრება და სიმსივნე აქვს. ფაქტობრივად სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა. სწორედ ახლა მივდივარ საავადმყოფოში, როგორც დამირეკეს, უმძიმეს მდგომარეობაშია.

**ი.ი.:** რა სტადიაშია გამოძიება და თუ არიან დაკავებული ის პირები, რომლებმაც ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს თქვენი ძმა?

**მ.ც.:** თავიდან პრესაში "სპეცნაზის" სამი თანამშრომლის გვარი დასახელდა. ადგილობრივი პოლიციის თანამშრომელმა ჩიქოვანმაც იგივე გვარები მითხრა სატელეფონო საუბარში. ესენია: წიკლაური, ფრუიძე და ხორბალაძე.

**ი.ი.:** ესენი სპეცნაზის წევრები არიან?

**მ.ც.:** დიახ. ისინი სვანეთში იუშჩენკოს ვიზიტის გამო იმყოფებოდნენ.

**ი.ი.:** ვინ იხდის მკურნალობის ხარჯებს?

**მ.ც.:** ჩემი ძმა არის ოთხი შვილის მამა. თავად მე ხუთი შვილი მყავს და მკურნალობის ფულის გადახდა მე მიწევს. არავინ არ დაგვეხმარებია.

# "პოლიტიკური სასტუმრო"

## "ინტურისტი" აჭარელ ჩინოვნიკებს დაალაგებინეს

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

*ბათუმში სასტუმრო "ინტურისტის" გახსნამ პოლიტიკური დატვირთვა მიიღო. გახსნის ცერემონიაზე პრეზიდენტი კიევიდან, სუამ-ის სამიტის დასრულებისთანავე ჩამოვიდა და პრეზენტაციაზე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი მოიწვია. სასტუმროს მოსამზადებლად აჭარის საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები გაამწესეს.*



*მიხეილ სააკაშვილის კომენტარი განახლებული "ინტურისტის" ვერანდიდან.*

სასტუმროს გასახსნელად ბათუმში წინასწარ დიდი მზადება იყო. აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამ საკითხს მთავრობის სპეციალური დახურული სხდომა მიუძღვნა, რომელზეც მან საბიუჯეტო ორგანიზაციებს "ინტურისტის" დალაგებისათვის "შაბათობის" მოწყობა დაავალა.

მანამდე კი "ინტურისტში" სამუშაოები უკვე დამამთავრებელ ფაზაში შევიდა, მაგრამ მშენებლები დროში აშკარად ვერ ეტეოდნენ. ამიტომაც შენობის ნარჩენებისაგან გათავისუფლება აჭარის პირველმა პოლიტიკურმა პირმა ლევან ვარშალომიძემ პირად კონტროლზე აიყვანა. ვარშალომიძემ აჭარის საბიუჯეტო ორგანიზაციების მობილიზება მოახერხა და სასტუმროს დასალაგებლად მთავრობის მთელი რესურსი გააერთიანა. უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში მერიის, ეკონომიკისა და ჯანდაცვის სამინისტროების, უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის აპარატის თანამშრომლებს ცხოვრების რეჟიმი შეეცვალათ. სამუშაო დღის შემდეგ, მათ დამლაგებლის ამპლუის მორგება დაავალეს. თანამშრომლებმაც დაივალეს - სასტუმროს რიგ-რიგობით სტუმრობდნენ და გვიანობამდე ალაგებდნენ. ქალებს მინების და ხალიჩების წმენდა ევალებოდათ, მამაკაცებს კი ნაგავი გაჰქონდათ.

სასტუმროს გახსნის წინაღამეს განსაკუთრებული მობილიზაცია გამოცხადდა. "ინტურისტთან", ლევან ვარშალომიძის მეთაურობით, თითქმის ყველა უწყების ხელმძღვანელი მორიგეობდა. სიტუაციაში გასარკვევად მისული ჟურნალისტები ტერიტორიაზე დაცვამ შეაჩერა. თუმცა, როდესაც მერიის თანამშრომლებად გავასაღეთ თავი, დიდი მოწიწებით მიგვიწვიეს და სპეცტანსაცმელიც შემოგვთავაზეს.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, ჩვეული თავმდაბლობით, არც საკუთარი, არც მისი აპარატისა და მთავრობის ღვაწლის თაობაზე საუბარი არ ისურვა: **"ვუყურებ, როგორ მიდის პროცესი. სამუშაოდ აქ არავინ მოგვიხმია"**. თუმცა იქ თურქეთის კონსული ბათუმში შევქი მუთესეველიოღლუც იმყოფებოდა, რომელმაც ვარშალომიძის "დამალული სიკეთე" გაამხილა და გვითხრა, რომ მთავრობის თავმჯდომარე ძალიან შრომისმოყვარე ყოფილა - ნათურებს თვითონ ცვლიდაო.

ობიექტზე ჟურნალისტების გამოჩენამ შაბათობაზე ცუდად იმოქმედა. სასტუმრო მალე დაცარიელდა. იქ ბოლომდე მხოლოდ ვარშალომიძის პრესსამსახურის ხელმძღვანელი და მდივანი შემორჩნენ. პრესმდივანი თეა ცეცხლაძე, დაცვის თანამშრომლის თქმით, ინტურისტის დამლაგებლების "ზედამხედველის" სტატუსს მესამე დღეა ინარჩუნებს. მისი თქმით, **"აქ არავინ ალაგებს. საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია? მეც ჩემი ინიციატივით ვარ აქ. ამაში ცუდი რა არის?"**

მიუხედავად იმისა, რომ 24 მაისს "ინტურისტ პალასის" ეზოში სამუშაოები კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა, საღამოს საზეიმო გახსნის ცერემონია მაინც გაიმართა.

უკრაინიდან, სუამ-ის სამიტიდან ჩამოსულმა პრეზიდენტმა წითელი ლენტიც გაჭრა და რესტავრირებული სასტუმროც დაათვალიერა. **"ბათუმში ასეთი მაღალი კლასის სასტუმროს გახსნა არის ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მალე მას ბევრი სხვა სასტუმრო შეემატება,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. პრეზიდენტმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასა და სუამ-ის პერსპექტივებზეც ისაუბრა. იგი კონფლიქტურ რეგიონებსაც შეეხო და განაცხადა, რომ **"უკრაინამ დნესტრისპირეთის ოლქის საზღვართან მკაცრი სასაზღვრო რეჟიმის შემოღებით ქვეყანაში კონტრაბანდის შემოსვლის აკრძალვა მოახერხა"**.

"ინტურისტ-პალასის" გახსნის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციულ შენობაში გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენლებს შეხვდა, რომლებიც ბათუმში პირდაპირ სოხუმიდან ჩამოვიდნენ.

**"ალბათ, ნიშანდობლივია ის, რომ თქვენ აქ სოხუმიდან ჩამოხვედით. თქვენ კარგად დაინახავთ იმ კონტრასტს, რაც სოხუმსა და ბათუმს შორის არის. დანგრეული, განადგურებული სოხუმი და ხარაჩოებში ჩასმული ბათუმი. ჩემი და ყველა ქართველის სურვილია, სოხუმი მალე დაემსგავსოს ბათუმს და ასეთი აღმშენებლობა დაიწყოს",** - განაცხადა სააკაშვილმა.

# ბურჯანაძემ ქუთაისის მთავრობას დავალებები მისცა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

24 მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ქუთაისში ჩავიდა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სამუშაო შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გამართა. ბურჯანაძე, როგორც ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი, ქალაქში ინდივიდუალური გამრიცხველიანების კუთხით შექმნილი პრობლემებით, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვითი ნაწილითა და გზების მშენებლობის პროცესით დაინტერესდა. შექმნილი პრობლემების მოგვარების მიზნით, ნინო ბურჯანაძემ ქუთაისში "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი დინ უაითი და ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი ჩაიყვანა.

**"გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქუთაისის სერვის-ცენტრში 50000 აბონენტია. 30000 მათგანის ინდივიდუალური გამრიცხველიანება 2-3 კვირაში დასრულდება. დანარჩენი 20000-ისთვის კი შესაბამის ტექნიკას სექტემბრისთვის ველოდებით და დაახლოებით ოქტომბრის თვეში ქუთაისში ყველა აბონენტს ინდივიდუალური მრიცხველი ექნება,"** - ასეთი პირობა დადო ქუთაისელების წინაშე დინ უაითმა.

დაპირებები ქუთაისში ჯანდაცვის მინისტრმაც უხვად გასცა: **"დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში ღარიბ მოსახლეობას, რომლებიც ჩვენს მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირდებიან, სახელმწიფო დაუფინანსებს სამედიცინო მომსახურების სრულ პაკეტს".** სამედიცინო დაზღვევის პროგრამა ქუთაისის სამედიცინო ცენტრში 25000 ადამიანისთვის დაფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან.

ნინო ბურჯანაძის მსუბუქი კრიტიკის ობიექტი ადგილობრივი ხელისუფლება გახდა.

**"ჩემი მთავარი პრობლემაა, მივიღო არგუმენტირებული და დეტალურად გაწერილი პროგრამა ადგილობრივი ხელისუფლებისგან, თუ რაში უნდა დაიხარჯოს ის თანხა, რომლის გამოყოფასაც ჩვენ ქუთაისისთვის დამატებით ვგეგმავთ,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ, მაჟორიტარმა დეპუტატმა ქუთაისისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან 2-დან 4 მილიონამდე ლარის გამოყოფა მოახერხა, თუმცა ამ თანხის ათვისება მთლიანად ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენტურობაზე იქნება დამოკიდებული.

**"ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტურობას ქუთაისში ხელი იმან შეუშალა, რომ აქ რწმუნებულისა და მერის მოვალეობის შემსრულებლები სტაბილურად არ არიან დანიშნულნი და ეს საკითხი ნამდვილად გადასაწყვეტია,"** - აღნიშნა ბურჯანაძემ.

ქუთაისის მთავრობამ მაჟორიტარი დეპუტატისგან დავალება უკვე მიიღო, რათა მათ მიერ მომზადებულ პროგრამაში მოსახლეობის საჭიროებები და პრიორიტეტები ნათლად აისახოს.

**"ჩვენ თანხას არაეფექტურად ვერ დავხარჯავთ. ჩვენ შეგვიძლია დავაფინანსოთ სარეაბილიტაციო პროგრამები, მაგალითად, გადახურვის ან წყლის პრობლემის მოსაგვარებლად,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მაჟორიტარი დეპუტატი ამჯერად მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებთან საქმიანი საუბრებით შემოიფარგლა, იგი ამომრჩევლებს არ შეხვედრია.

**"დილიდან ველოდით მასთან შეხვედრას და ზედაც არ შემოუხედავს. მოგვესალმებოდა მაინც,"** - ამბობდნენ გაწბილებული ამომრჩევლები, რომლებმაც ნინო ბურჯანაძეს თბილისში გამგზავრებისას, მანქანაში ჩაჯდომის მომენტში მოჰკრეს თვალი.




## მოკლედ

### სოხუმი მდინარე ენგურის საზღვრისპირა პერიმეტრის დაცვას აძლიერებს

აფხაზეთის ხელისუფლებამ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, დამატებითი ძალების შემოყვანით მდინარე ენგურის საზღვრისპირა პერიმეტრი გააძლიერა.

გარდა ამისა, დე ფაქტო ხელისუფლების ნებით 26 მაისის საღამომდე, შეწყდა მიმოსვლა გალის რაიონსა და ზუგდიდის რაიონის შორის.

რაც შეეხება ენგურის მთავარ ხიდს, იგი 26 მაისს ჩაიკეტება და მთელი დღის განმავლობაში არ გაიხსნება. **ჯი ეიჩ ენი**

### ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი

საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები და დამატებები ბევრ დადებით მომენტს ითვალისწინებს. თუმცა, კომიტეტს აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით შენიშვნებიც ბევრი აქვს.

**"ჩვენ მივესალმებით ლიბერალიზაციას. რაც უფრო გამარტივდება აღნიშნული პროცესები, მით უფრო მისაღები იქნება ჩვენი ქვეყნისთვის"**, - განაცხადა მან.

კოვზანაძის თქმით, კომიტეტს მიაჩნია, რომ ნებისმიერი სავაჭრო გარიგების შესახებ ინფორმაცია საფონდო ბირჟას უნდა მიეწოდოს.

გარდა ამისა, სავაჭრო გარიგებებში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული ბროკერის ინსტიტუტიც. თუმცა, ირაკლი კოვზანაძე იმასაც აღნიშნავს, რომ ნებისმიერი სერიოზული კომპანია თვითონვე გამოიყენებს ბროკერის ინსტიტუტს, თუნდაც ეს არ იყოს სავალდებულო. **ჯი ეიჩ ენი**

### "ცხელი კვირა" გრძელდება

2006 წლის 24 მაისს, 13 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გამართული მიტინგით გაგრძელდა საზოგადოებრივი მოძრაობა "ანტისოროსში" გაერთიანებული პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების მიერ 23 მაისს დაწყებული საპროტესტო პერმანენტული აქციების ციკლი სახელწოდებით "ცხელი კვირა".

აქციების მოთხოვნაა პრეზიდენტის დაუყონებლივ გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. აქციები 26 მაისს ვაკის პარკში გრანდიოზული მიტინგითა და კონცერტით დასრულდება.

"ანტისოროსი" უერთდება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებლებისა და ჟურნალისტთა გაერთიანების მიერ დაწყებულ საპროტესტო აქციებს და მათდამი მხარდაჭერას ამ მიტინგებით გამოხატავენ.

გუშინ მიტინგის დასრულების შემდეგ მომიტინგეები ვარაზისხევის მიმართულებით დაიძრნენ გმირთა მოედნისკენ, სადაც წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აფხაზეთში დაღუპულთა ხსოვნას და გმირთა მემორიალი საპატიო გვირგვინით შეამკეს. **ჯი ეიჩ ენი**

### ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრის მოვაჭრეები პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას აპროტესტებენ

ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრის მოვაჭრეებმა გუშინ დილის ათი საათიდან დაიწყეს რაიონის გამგეობისაკენ მსვლელობა.

ამ ფორმით ბაზრის მოვაჭრეებმა მათ საქმეში პოლიტიკური პარტიების ჩარევა გააპროტესტეს.

**"ჩვენთვის მიუღებელია ნებისმიერი პარტიის ჩარევა. ჩვენ არ გვსურს, რომ პოლიტიკური პარტიები ჩვენი პრობლემით სპეკულირებდნენ"**, - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

მოვაჭრეების პროტესტი განსაკუთრებით იგორ გიორგაძის პარტის განცხადების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელიც ზუგდიდის ცენტრალური ბაზრის კარის გაღებისთვის მოვაჭრეთა მხარდაჭერას ითვალისწინებს.

მხარდასაჭერი მსვლელობა იგორ გიორგაძის პოლიტიკური პარტია "თავისუფლების" ზუგდიდის რაიონულმა ორგანიზაციამ მოვაჭრეების დემონსტრაციის პარალელურად გამართა. მსვლელობას იგორ გიორგაძის პარტიის პოლიტიკური მდივანი საქართველოში რევაზ გულია ხელმძღვანელობდა. აქცია დაახლოებით 30 წუთს გაგრძელდა. მათ რაიონის გამგეობის შენობის წინ სამართალდამცველების კორდონი დახვდათ. აქციის მონაწილეები ადგილობრივი ხელისუფლებისა და ადგილობრივი "ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელის გადადგომას ითხოვდნენ.

დემონსტრანტთა თქმით, "ნაციონალური მოძრაობა" და ადგილობრივი ხელისუფლება სერიოზული მაღალჩინოსანი პირების მიერ აღებული თანხების გამო კორუფციულ გარიგებებშია ჩართული, რასაც ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრის დაკეტვაც მოწმობს. **24 საათი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# გიორგაძემანია

პირველი გვერდიდან

იმ შემთხვევაში კი, თუ არჩევნები არ დაინიშნება, გიორგაძე სააკაშვილს "ჭინჭრის რევოლუციას" ჰპირდება.

გიორგაძის საჯაროდ გამოჩენას წინ უძღოდა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მოადგილის ვლადიმერ კოლესნიკოვის განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს უშიშროების ყოფილ მინისტრს მოსკოვმა, შესაძლოა, პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს.

გიორგაძე აპროტესტებს საქართველოს ხელისუფლების მიერ მის "კრიმინალებთან გაიგივებას" და აღნიშნავს, რომ ასეთ "უსამართლო დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს". უშიშროების ექს-მინისტრის განცხადებით, თანამოაზრეებთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებაში მშვიდობიანი გზით მოსვლას გეგმავს, რის შემდეგაც **"საქართველოში პოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვლება და ქვეყანაში აღმავლობის ხანა დაიწყება"**.

იგორ გიორგაძე საქართველოს ხელისუფლებას აკრიტიკებს რუსეთთან დაძაბული ურთიერთობისა და ნატო-ში გაწევრიანების სურვილის გამო.

**"საქართველომ არ უნდა იმეგობროს ვინმეს წინააღმდეგ. ის უნდა იყოს შვეიცარია და არა პალესტინა",** - აცხადებს პარტია "სამართლიანობის" ლიდერი და დასძენს, რომ სააკაშვილი შეიძლება დახასიათდეს ტერმინით "შიზოტირანი", რომელმაც ქვეყანა **"ერთ სახელმწიფოს, ოკეანისგაღმელ ბიძას ფეხქვეშ გაუგო"** და ამ ბიძის მეშვეობით მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ილაშქრებს.

გიორგაძე საქართველოს მოქალაქეებს რუსეთთან სავიზო რეჟიმის "სამ დღეში გაუქმებას", ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების სწრაფად დარეგულირებას ჰპირდება. ამ უკანასკნელ გეგმაზე ძებნილი ექსმინისტრი ბევრს არ საუბრობს, თუმცა აღნიშნავს, რომ ქართულმა მხარემ აუცილებლად ბოდიში უნდა მოიხადოს აფხაზი და ოსი ხალხების წინაშე.

## რუსეთის იმედები

იგორ გიორგაძეს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა რუსულ პოლიტიკურ და საინფორმაციო სივრცეში. საქართველოში ყოველი მორიგი არჩევნების მოახლოებისას, იგი რუსული ტელეარხების ეკრანებს არანაკლებ ხშირად სტუმრობდა, ვიდრე ბრეჟნევი "უძრაობის ხანაში". მისი რიტორიკა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ არაფრით განსხვავდებოდა ჟირინოვსკის, ზატულინის, ბაბურინის და ქართული სახელმწიფოებრიობის სხვა რუსი "გულშემატკივრების" არგუმენტებისაგან. ანტიამერიკანიზმი, რუსული პოლიტიკის განდიდება და საყვედურები "უმადური" ქართველების მიმართ, რომლებმაც "მხსნელ" რუსეთს ზურგი შეაქციეს, - ასეთია ძებნილი "ქართველი ოპოზიციონერის" ძირითადი გზავნილები ქართველი ხალხისადმი.



"რუსეთის იმედი"

იგორ გიორგაძის ყოველი მცდელობა, საქართველოში მონაწილეობა მიეღო საპრეზიდენტო არჩევნებში, მარცხით მთავრდებოდა. საქართველოში ცხოვრების ცენზის არსებობა იმის მიზეზი ხდებოდა, რომ მას, როგორც კანდიდატს, რეგისტრაციაში არ ატარებდნენ. 2004 წლის 4 იანვრის არჩევნების წინ გიორგაძე იმის დამტკიცებასაც შეეცადა, რომ საქართველოში, კერძოდ კი სამხრეთ ოსეთში ცხოვრობდა, თუმცა ეს ხერხიც მას ვერაფერში გამოადგა.

ძებნილი ექსმინისტრი დიდი ხანია არავის გახსენებია, ვიდრე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კვლავ უკიდურესად არ დაიძაბა. ამ ფონზე კი, რუსეთს ნამდვილი "გიორგაძემანია" შეეყარა. მას ეძღვნებოდა ვრცელი ტელეგადაცემები და სიუჟეტები სხვადასხვა არხებზე, რომლებიც გიორგაძეს ძალზე დადებითად წარმოაჩენდნენ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გამწვავებული ანტიქართული კამპანიისა და "სააკაშვილის რეჟიმის" მისამართით ყოველდღიური ლანძღვის ფონზე ხდებოდა.

"ძალიან მეცოდებიან ქართველები", - რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთი იანვარში გაზსადენებზე მომხდარ დივერსიაში დაადანაშაულა. პუტინის განმარტებით, მას ქართველები მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ეცოდება. პუტინმა ისიც განაცხადა, რომ საქართველოს "ანტირუსული" პოლიტიკის შედეგად "უბრალო ქართველების ცხოვრება არ გაუმჯობესდება". ქართველებს რომ პუტინის ეს ნათქვამი უკეთ გაეგოთ, რუსეთმა თავისი ბაზრისკენ, პრაქტიკულად, ყველა ძირითად ქართულ საექსპორტო პროდუქციას (სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ღვინო, მინერალური წყალი) გზა გადაუკეტა.

პარალელურად, საქართველოში არნახულად გააქტიურდა იგორ გიორგაძის პარტია "სამართლიანობა" და გიორგაძისვე "ანტისოროსი". თბილისში მათ მიერ გამართული და რუსული ტელეარხების მიერ გადაღებული შოუები, გიორგაძის ინტერვიუებთან, პუტინის განცხადებებთან და ეკონომიკურ ემბარგოსთან ერთად, რუსეთში სათანადო საინფორმაციო ფონს ქმნიან: რუსეთში ჰგონიათ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას უჭირს, სოციალური პრობლემებით შეწუხებული მოსახლეობა სულ მალე აჯანყდება და ხელისუფლებაში გიორგაძეს მოიყვანს.

რამდენად შეესაბამება ეს ყველაფერი რეალობას, ნაკლებად აღელვებს ამ კამპანიის სათავეში მყოფ თანამედროვე რუს გებელსს, "ეფექტური პოლიტიკის ფონდის" ხელმძღვანელს გლებ პავლოვსკის. იგი საქართველოში არარსებული პრორუსული ოპოზიციის მხარდაჭერაში სავსებით რეალურ თანხებს იღებს კრემლისგან.

თუ გავითვალისწინებთ, რომ იგივე პავლოვსკის სახელს უკავშირდება რუსეთის მიერ იანუკოვიჩის მხარდაჭერა უკრაინაში და ხაჯიმბასი - აფხაზეთში, ამგვარი "ეფექტური პოლიტიკის" წარმატებულობა ნათელი ხდება. თუმცა ისიც ნათელია, რომ რუსეთი უკვე აღარ ერიდება საქართველოს მიმართ აშკარად მტრული ნაბიჯების გადადგმას. და ეს ტენდენცია, როგორც ჩანს, გაგრძელდება.

## და გიორგაძის პოლიტიკური მომავალი

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმირ ჩხიკვიშვილი დაიბარა და პროტესტი გამოუცხადა რუსეთის თანამდებობის პირების განცხადებების გამო, გიორგაძისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მონიჭების თაობაზე, აგრეთვე - მოსკოვში გამართული პრესკონფერენციის გამო.

ამასთან, საქართველოს ხელისუფლებისათვის გიორგაძის საჯაროდ გამოჩენა და ინტენსიური საინფორმაციო კამპანია შემაშფოთებელი სულაც არ არის. ისევე, როგორც შევარდნაძის დროს, ხელისუფლება გიორგაძეს წარმატებით იყენებს პოლიტიკური საფრთხობელას როლში. იმას, რომ გიორგაძის გააქტიურება სააკაშვილის გაძლიერებას ნიშნავს, ქართული ოპოზიციის წარმომადგენლებიც აღნიშნავენ.

ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც კარგად იციან ის, რასაც ვერ ხვდებიან რუსი პოლიტიკოსები და ექსპერტები - პრორუსულ პოზიციებზე ყოფნა საქართველოში პოლიტიკურ სიკვდილს ნიშნავს. საქართველოში არც ახლა და არც უახლოეს მომავალში არ იქნება პრორუსული ოპოზიცია რეალური - გარდა, რა თქმა უნდა, უშუალო ფინანსური ინტერესის მქონე მცირე პოლიტიკური ჯგუფისა.

გიორგაძე რუსეთის მიერ შექმნილი პიარ-ფიგურაა, რომელიც ვერასოდეს მიიღებს მონაწილეობას საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჯერ ერთი იმის გამო, რომ მისი პოლიტიკური გამოცდილება და პოლიტიკური კაპიტალი არ უკავშირდება დამოუკიდებელ საქართველოს და ქართულ სახელმწიფოებრიობას. ეს მატერიები მისთვის უცხოა, ვინაიდან ის ჩვეულებრივი საბჭოთა ჩეკისტია, რომელიც დღემდე სსრკ-ს ემსახურება. და მეორე: გიორგაძე მანამ იქნება სასარგებლო მისი პატრონებისათვის, ვიდრე იგი მითებისა და ლეგენდების პერსონაჟია. საქართველოში მისი ჩამოსვლა კი ყველა მითს გააქარწყლებს და ადგილობრივ აუდიტორიას ხელში მხოლოდ ჟირინოვსკისა და ზატულინის ფრაზებით მოსაუბრე ქართული გვარის მქონე პიროვნება შერჩება, რომელსაც საქართველოსთან და მის ინტერესებთან საერთო არაფერი აქვს.

# სუამ-იდან სურამამდე

პირველი გვერდიდან

"რესპუბლიკელი" დავით უსუფაშვილის აზრით, რუმინეთთან ერთად სუამ-ი საკმაოდ მომხიბვლელი შეიძლება აღმოჩნდეს ბულგარეთისა და თურქეთისთვისაც.

**"თუ ორგანიზაციას ექნება პერსპექტივა, გაფართოვდეს შავი ზღვის აუზის ფარგლებში, ეს კიდევ უფრო სერიოზულ სარგებელს მოუტანს საქართველოს,"** - აცხადებს უსუფაშვილი.

**"ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ოთხ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ჩამოყალიბდა. სუამი რეალურად ამუშავდა. ეკონომიკურად საინტერესო გეოპოლიტიკურ პროექტებზე დაიწყო საუბარი,"** - აცხადებს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი კოტე გაბაშვილი.

გაბაშვილის თქმით, რუსულ მედიაში გავრცელებულ მოსაზრება, რომ სუამ-ი შესაძლოა დსთ-ს ალტერნატივად იქცეს, უსაფუძვლოა. **"დსთ რუსეთის იმპერიალისტური ამბიციების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა. სუამ-ის მთავარი პრიორიტეტი კი ქვეყნებში დემოკრატიის განმტკიცებაა... როგორ შეიძლება ამ რადიკალურად განსხვავებულ პრინციპებზე დაფუძნებული ორგანიზაციები ერთმანეთის ალტერნატივად იქცნენ?"** - კითხულობს გაბაშვილი.

დავით უსუფაშვილის აზრით, რუსეთის ნეგატიური დამოკიდებულება სუამ-ის მიმართ აიხსნება იმით, რომ **"მოსკოვი ძალიან შეშფოთებულია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ხარისხით"**.

**"სუამ-ი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ანტირუსული გაერთიანება. ყველა ქვეყანამ რუსეთთან საკუთარი ურთიერთობების მოწესრიგება უნდა შეძლოს,"** - აცხადებს "რესპუბლიკელების" ლიდერი.

რაც შეეხება სუამ-ის ქვეყნების დსთ-დან გასვლის საკითხს, არჩილ გეგეშიძის აზრით, ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდება, თუმცა, **"აჩქარება არ შეიძლება და ყველა ნაბიჯი კარგად აწონილ-დაწონილი უნდა იყოს"**.

**"კარგი იქნება, თუ სუამ-ი ეკონომიკურად მომძლავრდება და საინტერესო ეკონომიკური პროექტების ამუშავებას შეძლებს. ერთმანეთთან თანამშრომლობით სუამ-ის წევრი ქვეყნები იმ ნეგატიური ეფექტების კომპენსირებას მოახერხებენ, რაც დსთ-დან გასვლას შეიძლება მოჰყვეს,"** - აღნიშნავს გეგეშიძე.

რაც შეეხება კიევში ხელმოწერილ "ერთობლივ დეკლარაციას გაყინული კონფლიქტების შესახებ", გეგეშიძის აზრით, მისი ამოქმედების დიდი მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. **"თავისთავად მნიშვნელოვანია, როდესაც სუამ-ის წევრი ქვეყნები მსგავს დეკლარაციებს ხელს აწერენ, მაგრამ ჯერჯერობით სუამ-ი არ არის ის ორგანიზაცია, რომელიც გაყინული კონფლიქტების პრობლემას გადაწყვეტს. საამისო რესურსები სუამ-ს არ აქვს,"** - აცხადებს ექსპერტი.

P.S. სხვათა შორის, სუამ-ში შესვლის შემთხვევაში, ნატო-ს წევრი და ევროკავშირში გაწევრიანების რეალური კანდიდატი რუმინეთი, სუამ-ში, საკუთარ გამოცდილებასთან ერთად, ერთ ასოს - "რ"-საც (რუმინეთი) მოიტანს... ანუ სუამ-ს შესაძლოა სურამ-ი დაერქვას, რუსულად კი ამ ორგანიზაციის სახელწოდება დსპამ იქნება.

# სამიტი სოჭში - მზადება "დიდი" სამიტისთვის

პირველი გვერდიდან

შეხვედრის პროგრამაში ნათქვამია, რომ მხარეები იმსჯელებენ თანამშრომლობის შესახებ ახალ ხელშეკრულებაზე, რომელიც, სხვათა შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებასაც (უფრო ზუსტად ვიზების გაიაფებას) გულისხმობს.

თუმცა, რასაკვირველია, მთავარი თემა მაინც ენერგოუსაფრთხოება და, შესაძლოა კიდევ ირანის საკითხი იყოს.

ორშაბათს რუსეთის ელჩმა ევროკავშირში ვლადიმირ ჩიჟოვმა განაცხადა, რომ **"ენერგეტიკის სფეროში დაპირისპირების დიდი ნაწილი ხელოვნურადაა გამოწვეული"**. ხოლო რაც შეეხება ირანის საკითხს, იმავე ჩიჟოვის განცხადებით, მხარეებს საერთო პოზიცია აქვთ - ბირთვული იარაღის გავრცელების აღკვეთა დიპლომატიური საშუალებებით.

როგორც ჩანს, რუსული დიპლომატია ენერგეტიკულ თემაზე საუბრისათვის განსაკუთრებულად ემზადება. **"გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს, არა მარტო მიწოდების სტაბილურობა - რაშიც ევროკავშირია დაინტერესებული, არამედ მოთხოვნის სტაბილურობაც - რაც რუსეთის ინტერესს წარმოადგენს"**, - ამბობს რუსი დიპლომატი. მოთხოვნის სტაბილურობისთვის კი, თურმე საჭიროა ევროპის გაზგამანაწილებელ ქსელებს რუსული კომპანია "გაზპრომი" ფლობდეს.

**"ჩვენ ევროკავშირთან პარტნიორობა გვიწერია, მაგრამ, ამავდროულად, ამ გლობალიზებულ ეკონომიკაში ჩვენ კონკურენტებადაც დავრჩებით"**, - ამბობს რუსეთის ელჩი.

ევროკავშირთან ურთიერთობების განვითარების საკითხებში რუსეთის სპეციალურმა წარმომადგენელმა სერგეი იასტრჟემბსკიმ სცადა შეემსუბუქებინა რუსეთის ელჩის განცხადებების სიმკვეთრე. მისი განმარტებით, ლაპარაკი ევროპის მიერ ენერგორესურსების ახალი წყაროების ძიებასა და რუსეთის მიერ გასაღების ახალი ბაზრების ძებნაში "სრულიად მოკლებულია დრამატიზმს". თურმე ნორმალურია, რომ ევროკავშირი საკუთარი ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფას ცდილობს, ისევე როგორც **"სრულიად კანონიერია, რომ ჩვენ (რუსეთს, - რედ.), როგორც გამყიდველებს შეგვიძლია ჩვენი საქონლისთვის გასაღების ბაზრის დივერსიფიცირება... ეს ორივე მხარის ბუნებრივი პოზიციაა"**, - აცხადებს იასტრჟემბსკი.

მისივე თქმით, ასევე სრულიად ნორმალურია, რომ რუსეთს არ სურს თავისივე ხელმოწერილი ენერგეტიკული ქარტიის რატიფიცირება. **"ჩვენ თავიდან კი მოვაწერეთ ხელი, მაგრამ შემდეგ გავერკვიეთ და აღმოვაჩინეთ, რომ ამ სახით არ გვაძლევს ხელს"**, - განმარტა მან.

თუმცა, ევროკავშირის პოზიციაც საკმაოდ მკაცრია ამ საკითხთან დაკავშირებით. წინასწარი განცხადებებიდან ცნობილია, რომ ბრიუსელი მოსკოვისგან ქარტიის რატიფიცირებას კატეგორიულად მოითხოვს.

რაც შეეხება კატეგორიულობას, ევროკავშირს რუსეთთან დიალოგისას იგი (თუნდაც აშშ-სგან განსხვავებით) ყოველთვის აკლდა. ალბათ ამის გამო თვლიან რუსი დიპლომატები, რომ **"ევროკავშირი-რუსეთის დიალოგისას რიტორიკის სტილი უფრო კონსტრუქციულია"**. მაგრამ, მიმდინარე წელი, შესაძლოა, ამგვარი "ლოიალური" დამოკიდებულებისთვისაც აღმოჩნდეს სერიოზული გამოცდა...

# ცარიელი სავარძლები და იგორ გიორგაძე

### უმრავლესობა და ოპოზიცია ერთმანეთს თანამდებობების დატოვებაში "ეჭიბრება" და რუსეთს აკრიტიკებს

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიციის მიერ ბოიკოტის გამოცხადებას სახელისუფლებო ფრაქცია თავიდან საკმაოდ მშვიდად შეხვდა. "თავში ქვა უხლიათ", - ღიმილით ამბობდა ხოლმე ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, როდესაც ოპოზიციური ფრაქციები პროტესტის შეწყვეტაზე კატეგორიულ უარს აცხადებდნენ. საპარლამენტო უმრავლესობა, როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ მათ პოლიტიკურ ოპონენტებს ბრაზი გადაუვლიდათ და სამუშაო რეჟიმს მალევე დაუბრუნდებოდნენ.

სახელისუფლებო გუნდის ვარაუდი არ გამართლდა. ოპოზიცია დღემდე მტკიცედ ინარჩუნებს ერთიანობას, უკან არ იხევს და ულტიმატუმის პირობების შეცვლას არ აპირებს. მით უმეტეს, დრო მის სასარგებლოდ მუშაობს - ერთპარტიული პარლამენტი ხელისუფლების იმიჯს ლახავს როგორც ქართული საზოგადოების, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში.

ამიტომაც არის, რომ საპარლამენტო უმრავლესობა ბოლო დროს გულმოდგინედ ცდილობს ოპოზიციის შემორიგებას. უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით კირკიტაძემ, ოპონენტების საცდუნებლად, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიც კი დატოვა და ეს თანამდებობა ოპოზიციონერ კოლეგებს შესთავაზა. კირკიტაძის ამ ნაბიჯს მისმა თანაფრაქციელებმა პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე დიდი რეკლამა გაუკეთეს.

პარლამენტარ კობა დვალიშვილის თქმით, იგი თურმე მთელი დღე აანალიზებდა დავით კირკიტაძის გადაწყვეტილებას და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მის მეგობარს "დიდი, სერიოზული კულტურულ-პოლიტიკური განაცხადი" გაუკეთებია. უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი ირაკლი ქავთარაძე კი, დვალიშვილის მსგავსად, აღშფოთებულია ოპოზიციის "ახირებულობით" და იმით, რომ მას (ოპოზიციას) "კონსტრუქციულობის შეგრძნება" დაკარგული აქვს.

თუმცა, დავით კირკიტაძის ნაბიჯმა ოპოზიციას გული ვერ აუყუჩა და შერიგებისკენ ვერ უბიძგა. მეტიც, "მემარჯვენეებმა" საკმაოდ ეფექტურ კონტრსვლას მიაგნეს: ისინი კირკიტაძის მიერ დატოვებულ თანამდებობას არა თუ დაეხარბნენ, არამედ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების პოსტებიდან თავადაც გადადგნენ. გუშინ კოკა გუნცაძემ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი დატოვა, დავით საგანელიძემ გიგი წერეთლის მოადგილეობაზე თქვა უარი, ხოლო მზია თორთლაძე განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარეობას შეელია.

მოვლენების ასეთი განვითარება უმრავლესობას, თითქოს, ოპოზიციის შემორიგების შანსს აღარ უტოვებს, მაგრამ სახელისუფლებო ფრაქცია მაინც ცდილობს თავის ოპონენტებთან საერთო შეხების წერტილების პოვნას. ერთ-ერთ ასეთ წერტილს რუსეთის მიმართ ხელისუფლებისა და ოპოზიციის თითქმის იდენტური დამოკიდებულება წარმოადგენს. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" ლიდერები გუშინ ამ კოზირის გათამაშებასაც შეეცადნენ.

ინიციატივა ამჯერადაც დავით კირკიტაძემ გამოიჩინა. უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი მოითხოვს, რომ საქართველოს პარლამენტმა შეფასებები მისცეს მოსკოვის ქმედებებს, კერძოდ კი, იგორ გიორგაძისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაზე თანხმობას. **"რუსეთის ქმედებების შეფასებებში უმრავლესობა და ოპოზიცია ერთიანი უნდა იყოს. შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში ოპოზიციაც უნდა შემოგვიერთდეს",** - აცხადებს პოლიტიკურ ოპონენტებზე ბოლო დროს "უზომოდ შეყვარებული" დავით კირკიტაძე.

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაჭავარიანიც. **"რუსეთში პოლიტიკურ თავშესაფარს ოდიოზურ პიროვნებებს აძლევენ. ამით ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი კარგად წარმოაჩენს თავის ნამდვილ სახეს. ასეთ დროს ჩვენ და ოპოზიცია ერთად უნდა ვიყოთ"**, - აღნიშნავს ვიცე-სპიკერი, თუმცა, ვის, თუ არა მას, კარგად მოეხსენება, რომ უმრავლესობისა და ოპოზიციის "ერთად ყოფნამდე" ჯერ ძალიან შორია.

უმრავლესობის წარმომადგენელთა განცხადებებს ოპოზიციაც გამოეხმაურა. "მემარჯვენეთა" ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ იგორ გიორგაძის თემის გააქტიურება საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში შედის.

**"როგორც შევარდნაძის ხელისუფლება იყენებდა გიორგაძის სახელს, როგორც ალტერნატიულ საფრთხობელას, იგივეს აკეთებს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც. სხვათა შორის მიხეილ მაჭავარიანის მოქალაქეთა კავშირი იყო, როდესაც იგორ გიორგაძის საფრთხობელად იყენებდნენ. მიხეილ მაჭავარიანი ნაციონალური მოძრაობაა და იგივეს აკეთებს. სხვათა შორის სწორედ მაჭავარიანის თანაგუნდელებმა მისცეს ხმა თავის დროზე იგორ გიორგაძის უშიშროების მინისტრად დანიშვნას. რაც შეეხება ჩვენს პოზიციას, გიორგაძის მიმართ დამოკიდებულება არასოდეს შეგვიცვლია"**, - განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ. მისი თქმით, გიორგაძის პარტიისა და ფონდის დასაფინანსებლად რუსეთიდან უზარმაზარი ფული შემოდის.

**"იგორ გიორგაძეს, რამდენადაც ვიცი, ბიზნესი არ აქვს, საქართველოში კი იყო სიგარეტის ბიზნესში ჩართული, თუმცა არ მგონია ეს ბიზნესი მას რუსეთში გაჰყოლოდა. ეს თანხები სპეცსამსახურის მიერ მობილიზებული ფულია. თემურ ჟორჟოლიანისათვის კი ქუჩის აქციები უბრალო ბიზნესია და ფულის გასაკეთებელი საშუალება. მიუხედავად ამხელა ფინანსური საშუალებებისა, სოციალური გამოკითხვებით, იგორ გიორგაძეს საქართველოს მოსახლეობის ერთი პროცენტიც კი არ უჭერს მხარს. ჩვენ - ოპოზიცია გიორგაძის ფიგურაში საფრთხეს ვერ ვხედავთ. საფრთხეს ვერ ხედავს ვერც საქართველოს ხელისუფლება. ერთი რამ ცალსახაა, ფულით ქართული საზოგადოების მოტყუებას ვერ მოახერხებენ და წარმოუდგენელია, რომ საზოგადოებამ ამგვარ ფიგურას დაუჭიროს მხარი"**, - აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ.






# პენტაგონი ჩინეთის სამხედრო გეგმებით შეშფოთებულია

აშშ შეშფოთებულია ჩინეთის სამხედრო გეგმებით. პენტაგონის ახალ მოხსენებაში, რომელიც ჩინეთის სამხედრო პოტენციალს ეძღვნება, აღნიშნულია, რომ ჩინეთში სამხედრო ძალების რეფორმირების პროცესი მიმდინარეობს, რომელიც სწრაფ და ინტენსიურ კონფლიქტებში მონაწილეობისკენ არის მიმართული.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ჩინეთი ამგვარი კონფლიქტის შექმნის შესაძლებლობას ტაივანთან დაკავშირებულ პროცესებთან მიმართებაში განიხილავს. მათივე მონაცემებით, ჩინეთი ვრცელ რადიუსზე მოქმედი რაკეტების მარაგს ზრდის, რათა მტრის გემებსა და წყალქვეშა ნავებზე დარტყმა შორი დისტანციიდან განახორციელოს.

მოხსენების თანახმად, ჩინეთი ეფექტური ავიადარტყმებისთვისაც ემზადება, გარდა ამისა შეიმჩნევა ტენდენცია ბირთვული და სხვა სახის შეიარაღების განვითარებისა.

მოხსენებაში გამოთქმული შეშფოთება, რომ ჩინეთის ამბიციები მხოლოდ ტაივანზე კონტროლის დამყარებით არ შემოიფარგლება. პენტაგონს ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტის გაუმჭვირვალობის საკითხი აღელვებს. აშშ-ის სამხედრო უწყების მონაცემებით, ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტი წელს 105 მილიარდ დოლარს მიაღწევს, ჩინეთის ოფიციალური ინფორმაციით კი, ეს თანხა მხოლოდ 35 მილიონით შემოიფარგლება.

პენტაგონი შეშფოთებულია იმითაც, რომ ჩინეთის შეიარაღებულ ძალებში შესაძლო საომარი მოქმედებების დროს ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ კამათობენ. მათი განცხადებით, ამ ფონზე ჩინეთზე თავდასხმის შემთხვევაში არც ამ იარაღის გამოყენებაა გამორიცხული.

24 საათი

*მოკლედ*

## საჯარო რეესტრში ადამიანის უფლებები ირღვევა

საქართველოს სახალხო დამცველი საჯარო რეესტრის თანამშრომელთა დასჯას მოითხოვს, რადგან სოზარ სუბარს მიაჩნია, რომ რეესტრის თანამშრომლები მოქალაქეთა უფლებებს არღვევენ. ომბუდსმენის აპარატის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სახალხო დამცველის წარმომადგენლები გუშინ საჯარო რეესტრში მივიდნენ და ინფორმაციის საჯაროობის თაობაზე სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული პლაკატი გააკრეს.

სახალხო დამცველმა აქცია ლოზუნგით - "ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას", ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 7 თებერვალს დაიწყო. იმ დროს პლაკატები საჯარო რეესტრშიც გააკრეს, თუმცა, 23 მაისს საჯარო რეესტრში მისულ სახალხო დამცველის წარმომადგენელებს აღნიშნული პლაკატები ჩამოხსნილი დახვდათ. როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, სახალხო დამცველის აპარატში საჯარო რეესტრის მიმართ არაერთი საჩივარია შესული, რომლებშიც მოქალაქეები საჯარო რეესტრის თანამშრომელთა სამსახურისადმი გულგრილ და არაჯეროვან დამოკიდებულებაზე მიუთითებენ. სახალხო დამცველი მოუწოდებს მოქალაქეებს, საჯარო რეესტრის მიერ მათი უფლებების შელახვის შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატს დაუყოვნებლივ მიმართონ.

*24 საათი*

## საზოგადოებრივი ადვოკატისადმი ნდობა იზრდება

"იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში სოციალურად დაუცველ ბრალდებულთა და განსასჯელთა განცხადებებმა იმატა", - აცხადებს იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახური.

სახაზინო ადვოკატების მიერ წარმოებულ საქმეთა სტატისტიკის თანახმად, საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის თბილისის ტერიტორიულმა ბიურომ 2005 წლის 1 ივნისიდან დღემდე 126 მიმართვა განიხილა და 118 სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი დანიშნა. სამართალწარმოებაში მონაწილეობის პარალელურად, ბიუროს ადვოკატები მოქალაქეებს უფასო იურიდიულ მომსახურებას უწევდნენ. სამინისტროს ინფორმაციით, სახაზინო ადვოკატის მონაწილეობით ოთხი ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა, ხუთ საქმეზე შედგა საპროცესო შეთანხმება, ხოლო 12 განსასჯელის მიმართ გამოიტანეს ხელსაყრელი განაჩენი. აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხის გადაწყვეტისას, საზოგადოებრივი ადვოკატების მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ 27 ბრალდებულის შეუფარდა არასაპატიმრო ღონისძიება.

თბილისის ტერიტორიული ბიუროს ადვოკატები დღეისათვის სხვადასხვა ინსტანციაში 72 პირის ინტერესებს იცავენ, აქედან 18 ბრალდებული არასრულწლოვანია.

*24 საათი*

## საპროტესტო აქცია გრძელდება

"ყველას აქვს სიცოცხლის უფლება" - ამ დევიზით "თანასწორობის ინსტიტუტის" მიერ რამდენიმე თვის წინ ორგანიზებულმა საპროტესტო გამოსვლებმა გუშინწინ რუსთაველის გამზირზე შედარებით მწვავე ფორმა მიიღო.

სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის ობიექტური გამოძიების და ყველა მაღალჩინოსანი დამნაშავის დასჯის მოთხოვნით დაწყებულ აქციას ახალი მოთხოვნა შეემატა. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები 19 წლის ამირან რობაქიძის საქმის რეალურ გამოძიებას და ყველა იმ პირის დასჯას მოითხოვენ, რომლებმაც უდანაშაულო ახალგაზრდა მოკლეს და შემდეგ დანაშაულის ინსცენირება მოახდინეს.

"თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები კატეგორიულად ითხოვენ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ მაღალჩინოსანთა დაკითხვას, რომელთა გვარებსაც სანდრო გირგვლიანისა და ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმეებთან დაკავშირებით ახსენებენ.

საპროტესტო აქციას არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად გირგვლიანის და რობაქიძის ახლობლებიც ესწრებოდნენ. აქცია საბოლოოდ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გვიან ღამით დაშალეს. აქციის დაშლის დროს მსუბუქად დაშავდა რამდენიმე ადამიანი. თვითმხილველების თქმით, მათ შორის იყო გირგვლიანის დეიდა. არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტის" ორი წევრი - მიხეილ კაჭკაჭიშვილი და ლაშა ამირეჯიბი, სამართალდამცველებმა ნარკოლოგიურ დისპანსერში შემოწმების მიზნით გადაიყვანეს. მოგვიანებით, მათ ბრალად წვრილმანი ხულიგნობა წაუყენეს და ფულადი ჯარიმის - 7,5 ლარის გადახდა დაეკისრათ. პროცესი გუშინწინვე გვიან ღამით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გაიმართა.

მიუხედავად ამისა, "თანასწორობის ინსტიტუტის" ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კაკაბაძე ირწმუნება, რომ მსგავსი საპროტესტო აქციები 26 მაისამდე გაგრძელდება. "ყველა აქცია იქნება მშვიდობიანი ხასიათის, თუმცა გაცილებით მწვავე ფორმას მიიღებს და უფრო ფართომასშტაბიანი გახდება", - ამბობს ირაკლი კაკაბაძე.

*24 საათი*

## ვაჟა ადამიას სასამართლო პროცესი განახლდა

თბილისის საქალაქო სასამართლოში "მერაბ კოსტავას საზოგადოების" თავმჯდომარის ვაჟა ადამიას საქმის არსებითი განხილვა განახლდა. როგორც ადამიას ადვოკატმა განაცხადა, სხდომაზე ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვა და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა მოხდა. მისი თქმით, პროცესებზე უკვე დაიკითხნენ ბრალდების მხარის მიერ დასახელებული დაზარალებულები, "თელასის" თანამშრომლები.

"მათ დაადასტურეს ადამიასგან ჯანმრთელობის დაზიანების მიყენების ფაქტი, თუმცა სასჯელის ზომად ადამიას პატიმრობას არ მოითხოვენ", - განაცხადა შავგულიძემ.

შეგახსენებთ, სამართალდამცველებმა ვაჟა ადამია 2005 წლის 3 ნოემბერს "თელასის" თანამშრომლის დაჭრის ბრალდებით დააკავეს. მას ბრალი ხულიგნობის მუხლით აქვს წაყენებული.

*ინტერპრესნიუსი*

## "დემოკრატიის ხელშემწყობი ცენტრის" ხელმძღვანელის განცხადება

ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრის" ხელმძღვანელმა გიორგი მუქერიამ მისი შესაძლო ფიზიკური ლიკვიდაციის შესახებ განცხადება გააკეთა. მუქერიას განცხადებით, მას ქუთაისის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ირაკლი ბერაძე ფიზიკური განადგურებით ემუქრება.

"ბერაძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის დეიდაშვილია, რის გამოც, საკმაოდ გათამამებულია და ხელშეუხებლობის ილუზია აქვს", - განაცხადა გიორგი მუქერიამ. იგი აპირებს, აღნიშნულის გამო, რეაგირებისათვის სამართალდამცველებს მიმართოს. გიორგი მუქერია ირაკლი ბერაძეს ბოლო ორი კვირის განმავლობაში ქუთაისში გამოცხადებული ტენდერების შესახებ კორუფციაში ამხელდა. თუმცა, ირაკლი ბერაძემ ჟურნალისტებთან საუბარში მუქერიას ბრალდებები კატეგორიულად უარყო.

*ინტერპრესნიუსი*

## ადამიანის უფლებების დაცვაზე კიდევ ერთი ორგანიზაცია იზრუნებს

გუშინ ახალი კავშირის, "საქართველოს იურისტები სამართლიანობისთვის", პრეზენტაცია გაიმართა. კავშირის თავმჯდომარის ზვიად თავაძის თქმით, ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება, განვითარება და დამკვიდრება.

კავშირი სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით უფასო იურიდიულ კონსულტაციებს ჩაატარებს; ასევე, მოამზადებს ამნისტიის შესახებ მოთხოვნებს.

"მართალია, საქართველოში მსგავსი კავშირები მრავლადაა, მაგრამ, ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ადამიანთა უფლებების დამცველები რაც უფრო მეტი ვიქნებით, მით უკეთესია", - განაცხადა კავშირის თავმჯდომარემ ზვიად თავაძემ.

*მედიანიუსი*

# ხმაურიანად ეტაპირებული "დიდი ავტორიტეტი"

*"ქურდული სამყაროს" წევრობის ბრალდებით დაკავებულ ტარიელ ფოცხვერიას, "ტარასას", რომელიც 27 მარტის ციხის ბუნტის ორგანიზატორადაცაა გამოცხადებული, კიევიდან თბილისის აეროპორტში ეტაპირებულს, ტრაპზე შსს-ს სოდი-ს გაძლიერებული კორტეჟი და ჟურნალისტთა კორპუსი შეეგება. ტრაპზევე ჩატარებული მინი-ბრიფინგის შემდეგ, "ქურდულ სამყაროში" ტარიელ ონიანის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავტორიტეტი" სოდ-ის რომელიღაც მაღალჩინოსნის შავი ფერის ჯიპში ჩასვეს და შსს-ში მიაბრძანეს.*


ინტერპრესნიუსი

*კრიმინალური ავტორიტეტი მეშვიდე საპყრობილეშია.*

მართალია, დრამატურგიულად დატვირთულ დახვედრას შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ, მაგრამ მათ ფოცხვერიას ექსტრადიციასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ. კომენტარი, მოგვიანებით, შს მინისტრმა გააკეთა.

**"დღეს თქვენ კიდევ ერთხელ დარწმუნდით, რომ ყველა, ვინც დანაშაულს ჩაიდენს, პასუხს აგებს კანონის წინაშე, მით უმეტეს, თუ ის კანონიერი ქურდია",** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

მანამდე ჟურნალისტთა დაჟინებულ შეკითხვაზე - არის თუ არა ის "კანონიერი ქურდი" - ტარიელ ფოცხვერიამ უპასუხა:

**"მე უკანონოდ დამაკავეს, მე ვარ ადამიანი, სულიერად ცოტა ამაღლებული ადამიანი",** - თქვა ფოცხვერიამ, რომელმაც ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ იგი კატეგორიულად უარყოფს მის სახელთან დაკავშირებულ ბრალდებებს.

ტარიელ ფოცხვერიას ინფორმაციით, იგი არის ასათიანი და არა ფოცხვერია. მან ჟურნალისტებს, ასევე, განუცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოპერატიულ ჩანაწერში მოსაუბრე მამაკაცი იგი არ არის. ფოცხვერიამ უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ 27 მარტს კონტაქტი ჰქონდა საქართველოს საპატიმროებში მყოფ "კანონიერ ქურდებთან". მისი თქმით, თუ ზედმეტსახელზე გაამახვილებენ ყურადღებას, მას შეუძლია 15 "ტარასა" დაასახელოს.

როგორც ტარიელ ფოცხვერია აცხადებს, ის უკანონოდ დააკავეს და მისი დეპორტაციაც უკანონდ მოხდა.

შეგახსენებთ, რომ ტარიელ ფოცხვერია, ქართველი სამართალდამცველების მოთხოვნის საფუძველზე, უკრაინაში 7 აპრილს დააკავეს. ფოცხვერია ბრალდებულია 27 მარტს ციხის ბუნტისას მასობრივი არეულობის მოწყობის ორგანიზებაში.

ბუნტის მომდევნო დღეს შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა "გამოცხადებული გაქცევის ქრონიკა" - ფარული სატელეფონო ჩანაწერები, რომლის თანახმადაც, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ კრიმინალურ ავტორიტეტებს, "კანონიერ ქურდებსა" და "მაყურებლებს" სატელეფონო კავშირი ჰქონდათ ტარიელ ფოცხვერიასთან, რომლისგანაც დირექტივებს იღებდნენ.

ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს ხელმძღვანელის ლევან გურგენიძის განცხადებით, **"ტარიელ ფოცხვერია "ქურდულ სამყაროში" ტარიელ ონიანის შემდეგ ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ონიანის შემდეგ ის ყველაზე დიდი ფიგურაა, რომელიც საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიაზე კრიმინალურ ჯგუფებს აკონტროლებდა",** - განაცხადა ლევან გურგენიძემ.

ტარიელ ფოცხვერიასთვის წაყენებული ბრალი, დადასტურების შემთხვევაში, 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ფოცხვერია შსს-ს "მოდულის" შენობიდან თბილისის მე-7 საპყრობილეში გადაიყვანეს. სავარაუდოდ, მას შემდეგ, რაც "ქურდულ სამყაროში დიდ ავტორიტეტს" "მოდულის" შენობაში სპეციალურად "ტარასას" საქმის გასაცნობად მისული მინისტრი შეხვდა.

ტარიელ ფოცხვერიას წინასწარ ორთვიან პატიმრობას, სავარაუდოდ, დღეს შეუფარდებენ.

*24 საათი*

# დაზარალებული ჩვენებებს ცვლის

"არ მახსოვს, არ ვიცი", - ეს ის ფრაზებია, რომლებსაც გუშინ, განზრახ მკვლელობასა და განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ ირაკლი მალანიას სასამართლო პროცესზე, დაზარალებული მიხეილ სულავა ხშირად იმეორებდა. როგორ დააკავეს ირაკლი მალანია იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით და რატომ ასამართლებენ დაკავებამდე სამი წლისა და სამი თვის წინ მომხდარი დანაშაულისთვის - განზრახ მკვლელობისა და განზრახ მკვლელობის მცდელობის მძიმე ბრალდებებით, "24 საათი" ამის თაობაზე უკვე წერდა.

საქმე ისაა, რომ იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაკავებულში, რომელსაც ტელეეთერით მთელი დღის განმავლობაში აჩვენებდნენ, მიხეილ სულავამ მასზე და მის მეუღლეზე განხორციელებულ თავდასხმაში მონაწილე ამოიცნო და პოლიციას მიმართა. სწორედ მიხეილ სულავას განცხადების საფუძველზე წარუდგინეს ბრალი ირაკლი მალანიას.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე დაზარალებულმა კვლავ დაადასტურა, რომ სწორედ განსასჯელი ირაკლი მალანია გახლდათ ერთ-ერთი თავდამსხმელი, თუმცა, დაზარალებულის გუშინდელმა ჩვენებამ ბევრი საეჭვო კითხვა დაბადა. მიხეილ სულავამ ვერ ახსნა საქმის წინასწარ ძიებაში და წლების შემდეგ მიცემულ ჩვენებებს შორის არსებითი განსხვავების მიზეზი. საქმე ისაა, რომ მალანიასა და მის მეუღლეზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ, მიხეილ სულავას მიერ აღწერილი თავდამსხმელი და განსასჯელი მალანია აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. დაზარალებული თავდაპირველად აცხადებდა, რომ ყაჩაღი შავგვრემანი გახლდათ. მალანია კი შავგვრემანი არ არის. სხვათა შორის, საქმის წინასწარი გამოძიებისას, მიხეილ სულავამ ფოტოსურათით დამნაშევეში ვინმე კულიკოვიც ამოიცნო. ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდებიან მალანია და კულიკოვიც.

ადვოკატების შეკითხვას, თუ რა ნიშნით ამოიცნო დაზარალებულმა თავდასხმიდან სამი წლისა და სამი თვის შემდეგ ტელევიზიით ნაჩვენებ დამნაშავეში ირაკლი მალანია, რომელიც იარაღის უკანონოდ ტარებისთვის დააკავეს, დაზარალებულმა მარტივად უპასუხა - მის გამოხედვაში შემეპარა ეჭვიო.

**"საქმეში დაზარალებულად ცნობილის გუშინდელი სასამართლო დაკითხვისას საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ მიხეილ სულავა ტყუის - ან განზრახ, ან უნებლიეთ. მისი სრულყოფილად დაკითხვის საშუალება გუშინდელ პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელმა არ მოგვცა. ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემას დაზარალებულს პროკურორი ასწრებდა, რის გამოც, მისი აცილების საკითხი მოსამართლის წინაშე კიდევ ერთხელ დავაყენეთ. თუმცა, ეს შუამდგომლობა მოსამართლემ არც ამჯერად დაგვიკმაყოფილა",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ირაკლი მალანიას ადვოკატმა ეკა ბესელიამ, რომელსაც ეჭვი აქვს, რომ ირაკლი მალანიასთვის მიხეილ სულავას განცხადების საფუძველზე წარდგენილი მძიმე ბრალდებები ერთ-ერთი გახმაურებული საქმის გახსნილ საქმეებში ჩაწერის მიზნით მოხდა.

ერთი სიტყვით, ირაკლი მალანიას სასამართლო პროცესზე დაზარალებულმა საკუთარ ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობები ვერ ახსნა. მასთან ადვოკატებს კიდევ აქვთ დამატებითი კითხვები. მომდევნო პროცესი კვლავ მიხეილ სულავას დაკითხვით განახლდება.

*24 საათი*



# როგორ გავიგოთ მეტი

## "გია ქარჩხაძის გამომცემლობამ" გამოსცა ოქსფორდის ენციკლოპედია

ია ვეკუა

ვინც შარშანდელ წიგნის ფესტივალზე წინასწარ დაიჭირა თადარიგი და "გია ქარჩხაძის გამომცემლობის" ჯერ კიდევ არარსებული წიგნი გამოიწერა, საკუთარი წინდახედულების შედეგს წელს მოიმკის - პოლიგრაფიულად გამართული "ოქსფორდის ილუსტრირებული სამეცნიერო ენციკლოპედია" საქართველოში რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა და გამომცემელი მას სწორედ წიგნის ფესტივალზე წარადგენს.

ამ გამოცემაზე გია ქარჩხაძე დაახლოებით ერთი წელია მუშაობს. ენციკლოპედია 10 წლის (და ზემოთ) ბავშვებისთვისაა გათვალისწინებული და ამ ასაკისთვის საინტერესო თითქმის ყველა სფეროს მოიცავს: ტექნიკა, კოსმოსი, ანატომია, ზოოლოგია, ბოტანიკა, გეოგრაფია და სხვა. ენციკლოპედია ანბანის რიგზეა გაწყობილი, რაც სასურველი მასალის მოძებნას უფრო აადვილებს.

თითოეულ ტერმინსა თუ მოვლენასთან დაკავშირებით მოცემულია თითქმის ამომწურავი ტექსტი, რომელიც ძირითად ასპექტებს აღწერს. აქ შეხვდებით ძირითად სიტყვასთან დაკავშირებული სხვა ტერმინების მცირე განმარტებებსაც. აქვეა ინფორმაცია იმ მეცნიერებისა და მკვლევარების შესახებ, რომლებიც თემის შესაბამის სფეროში მოღვაწეობდნენ.

ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორია ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ დოუკინსი. მის შედგენაზე ამავე უნივერსიტეტის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ათობით მეცნიერი მუშაობდა. მათ მიერ შედგენილი სამეცნიერო ტექსტები ნოდარ მანჩხაშვილმა, ანი მოსულიშვილმა და მაცაცო ფაცაციამ თარგმნეს. ტექსტი მაქსიმალურად დაწურული და ინფორმაციულია და პოპულარულ ენაზეა შედგენილი.

"მსგავსი წიგნების გამომცემლები ხშირად აწყდებიან მთარგმნელის პრობლემას, რადგან სპეციალისტები ხშირად კარგად ვერ ფლობენ უცხო ენას, მთარგმნელებს კი ყველა სფეროში გაცნობიერებას ვერ მოსთხოვ. დარწმუნებული ვიყავი, ეს სამეული საქმეს კარგად გაართმევდა თავს, რამაც ამ გამოცემაზე მუშაობის დამატებითი სტიმული მომცა. აქვე აღვნიშნავ, რომ თარგმნის ხარჯები ბრიტანეთის საბჭომ აანაზღაურა, ხოლო საავტორო უფლება ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" დახმარებით შევიძინე", - განაცხადა გია ქარჩხაძემ.

მისივე თქმით, ენციკლოპედიის ქართველმა რედაქტორებმა ყველა ტერმინი სხვადასხვა წყაროს დახმარებით გადაამოწმეს. გამოცემაში ისეთ ტერმინებსაც შეხვდებით, რომლის ქართული შესატყვისი პირველად იხმარება. მთლიანობაში ენციკლოპედია 360-მდე ტექსტს მოიცავს.




წიგნის ფესტივალზე "გია ქარჩხაძის გამომცემლობა" კიდევ ერთ სიახლეს წარმოადგენს - "ოქსფორდის საერთაშორისო სასკოლო ატლასს". შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საქართველოში პირველი ატლასი, რომელზეც დეტალურადაა აღწერილი ყველა კონტინენტის გეოგრაფიული მონაცემები: დასახლებული პუნქტები, მდინარეები, გზები და სხვა. ასევე მოცემულია საინტერესო სტატისტიკა სხვადასხვა კონტინენტის მოსახლეობის, შობადობის, სიცოცხლის ხანგრძლივობის, ჯანმრთელობის, დასაქმების, შემოსავლებისა და ოჯახების სიდიდის შესახებ.

"აღნიშნულ გამოცემაში მოყვანილი ინფორმაცია უახლესია. გეოგრაფიული დასახელებები ზოგჯერ იცვლება. ოქსფორდის ორიგინალურ გამოცემაში რამდენიმე უზუსტობა იყო, რომელთა შესახებ ვაცნობე და მათი ნებართვით ქართულ ვესიაში შესწორება შევიტანე. ასე რომ, ქართველი მოსწავლეები სრულყოფილ ატლასს მიიღებენ", - ამბობს გია ქარჩხაძე.

შეგახსენებთ, რომ თბილისის წიგნის VIII ფესტივალი 25-28 მაისს საგამოფენო კომპლექს "ექსპო ჯორჯიას" ტერიტორიაზე გაიმართება.

# ნოსტალგია

მზევინარ ხუციშვილი

ვფიქრობ, საიდან, როგორ დავიწყო. თავში ყველაფერი ერთად ირევა. ათი წლის მივიწყებული იღვიძებს. განშორების ათი წელი. ათი წლის წინ რომ ეთხოვათ მასზე დამეწერა, არც დავფიქრდებოდი, მაგრამ დღეს ვფიქრობ, როგორ დავწერო - როგორც უბრალოდ უფროს მეგობარზე თუ ადამიანზე, რომელიც ასეთი ცნობილი და საყვარელი გახდა საზოგადოებისთვის.

შეხვედრა მომიხდა ისევ მეგობრულ, თუმცა ფართო საზოგადოებასთან, რომელიც მისი შემოქმედების მოსასმენად 23 მაისს ხელოვნების მუშაკთა კულტურის სახლში შეიკრიბა. მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, ოპერის მომღერლები, მსახიობები, კომპოზიტორები, რეჟისორები... ისინი პოეტისა და ჟურნალისტის ჯიმშერ ბედიანაშვილის შემოქმედებით საღამოზე მოვიდნენ.

საღამო მიჰყავდა პოეტ ეკა ბაქრაძეს, თუმცა იგი პოეტმა და ჟურნალისტმა ლინა ბარათაშვილმა გახსნა. მან ისაუბრა ქართველ ემიგრანტებზე, კერძოდ, ჯიმშერ ბედიანაშვილზე, რომელიც ათი წელია ოჯახთან ერთად გერმანიაში, ქალაქ ბილეფელდში ცხოვრობს და ეროვნულ საქმიანობას ეწევა - ქალაქ ბილეფელდის ქართულ-გერმანულ საზოგადოებას ხელმძღვანელობს, ბეჭდავს ქართულ გაზეთს ("ახალი ივერია"), დააარსა ქართული საკვირაო სკოლა, რომელშიც გერმანიაში დაბადებული ქართველი ბავშვები მშობლიურ ენას და საქართველოს ისტორიას სწავლობენ, ქართულად უმღერიან სამშობლოს. აგრეთვე არის გერმანიის მწერალთა კავშირის წევრი.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მსახიობები ზურაბ ქაფიანიძე და მურმან ჯინორია, მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი, კომპოზიტორი ეკა თევზაძე, ქართულ-ებრაული კლუბის წარმომადგენელი ზაირა დავარაშვილი, ჟურნალისტი მზია გოგნიაშვილი, რამდენიმე არია შეასრულა ოპერისა და ბალეტის სოლისტმა ნიკა გულიაშვილმა, რეჟისორ ლევან ქობლიანიძის პოეტის ლექსებით შექმნილ წარმოდგენაში ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა ანი ზამბახიძემ, ბექა გოდერძიშვილმა, ნიკოლოზ ტყავაძემ და გიორგი კაჭახიძემ. ყოველი მათგანი ცდილობდა სითბო და სიყვარული თან გაეტანებინა პოეტისთვის თავის პატარა საქართველოში, რომელიც მან გერმანიაში შექმნა.

კიდევ ერთი ფაქტი, რითაც ეს დღე აღინიშნებოდა, იყო პოეტის მეოთხე კრებული და პირველი პრეზენტაცია. ემიგრანტმა შემოქმედმა კრებულს ბუნებრივი სათაური შეურჩია - "როცა სამშობლო ასე შორს არის" და, რაც მთავარია, ორენოვანია, ქართულ-გერმანული. წიგნი გამომცემლობა "ლომისმა" გამოსცა. როგორც გამომცემლობის დირექტორმა და წიგნის რედაქტორმა ბაღათერ არაბულმა აღნიშნა, "მის ლექსებში ნაღვლიანი ფერებითა და ხმებით იკვეთება სამშობლოს სევდა, უცხო მხარეში გადახვეწილი ემიგრანტის გულისტკივილი, მამულის მონატრება. მთელი თავისი შემოქმედებით ის ეფერება და ემსახურება საქართველოს."

საღამოს ესწრებოდა გერმანიის კონსული დოქტორ ხორსტ დოტიჩაი: "მე ერთ-ერთი პირველი ვარ, ვინც ჯიმშერ ბედიანაშვილის წიგნი საჩუქრად მივიღე. ის, რასაც ქართველები ბილეფელდში აკეთებენ, ძალიან მნიშვნელოვანია გერმანია-საქართველოს ურთიერთობის გასაღრმავებლად. ასეთი საღამოები რომ ხშირად იყოს, ბევრად უკეთესი იქნებოდა. სიამოვნებით დავესწრებოდი."

ერთი წელია არსებობს საქართველოს ბიურო, რომლის ხელმძღვანელია ჟურნალისტი ნინო ცხოიძე: "გერმანიის ბევრ ქალაქში ვყოფილვარ, მაგრამ ქართველებს არსად არა აქვთ ისეთი მჭიდრო ურთიერთობა, როგორც ბილეფელდში. ჯიმი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ფართომასშტაბიანი ქართული საღამოები ჩაატაროს, რათა ეს ურთიერთობა შეინარჩუნოს. მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან გულგატეხილი წავიდა საქართველოდან, ქართული სული მაინც შერჩა."

უხერხულიც იქნებოდა, თავად შემოქმედს არ გავსაუბრებოდი.

**- ჯიმი, როგორია ათი წლის შემდეგ შენი საქართველო?**

- სიმართლე გითხრათ, შარშან რომ მოვდიოდი, საშინლად ვიგრძენი თავი. ვფიქრობდი, თბილისში რომ ჩამოვიდოდი, უფრო ცუდად გავხდებოდი. ჩემდა გასაოცრად, დროისა და სივრცის შეგრძნება დავკარგე. აქედან გამომდინარე, ალბათ იმდენად დიდია ჩემში სამშობლოს სიყვარული, რომ ვერ ვიგრძენი სად ვიყავი. ცვლილება ძალიან ბევრია. კარგიც და ცუდიც. საქართველოში შემოსვლა იმდენად შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის, ის საქმე რომ არა, რაზეც მოვდიოდი, საზღვრიდანვე გავბრუნდებოდი. მაგრამ იმ წუთებში ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა - ერთი-ორი ადამიანის საქციელი ვერ შემიცვლის შეხედულებას გარემოზე და ქვეყანაზე. ის ფაქტი, რომ მთავრობა დიასპორებით დაინტერესდა, დიდ პლუსად მიმაჩნია. რას გააკეთებენ, ამას დრო გვიჩვენებს.

**- შენ თითქმის იძულებით წახვედი საქართველოდან, მეოთხე კრებული კი ისევ საქართველოში გამოვიდა...**

- ალბათ სიმბოლურია, პირველი პრეზენტაცია მაინც საქართველოში უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად არ შეიძლებოდა.

ამ დღეს საქართველოში მისი კულტურული დღეები არ დამთავრებულა. წინ კიდევ საგარეო საქმეთა სამინისტროში და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხსენებები ელოდება ქართველ საზოგადოებას. 3 ივნისს კი ის თავის პატარა საქართველოში დაბრუნდება.






## აფიშა

### 25 მაისი

**თეატრი**

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი**
სერგეი პროკოფიევი. "რომეო და ჯულიეტა"
ქორეოგრაფი მიხაილ ლავროვსკი
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**
კლოდ მანიე. "ოსკარი". რეჟისორი ლევან წულაძე.
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**
"მეზუნია ჩიტები". დასაწყისი: 19.00

**სამეფო უბნის თეატრი**
"კატა თუნუქის გახურებულ სახურავზე"
რეჟისორი მამუკა ტყემალაძე
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**"ახმეტელი"**
"დიდი გასეირნება". დასაწყისი: 14:30; 16:00
"და ვინჩის კოდი". დასაწყისი: 17:30; 21:00

**"რუსთაველი"**
"და ვინჩის კოდი". დასაწყისი: 13:00; 16:00; 1900; 22:00

**გალერეა**

**"კოპალა"**
ქართული კინოპლაკატის გამოფენა

**"ქარვასლა"**
ბორის რომანოვსკის გამოფენა. ფერწერა და გრაფიკა

**"ორიენტი"**
თანამედროვე ტიხრული მინანქარი

**TMS**
ლევან ლაღიძის გამოფენა. ფერწერა

გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრი და კულტურულ-საგანმანათლებლო საერთაშორისო გაერთიანება "რუსული კლუბი"

ბერნარდ შოუს დაბადებიდან 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით

**წარმოადგენს სპექტაკლს**

**"ბედისწერის რჩეული"**

(ნაპოლეონის დაბადება)

საპრემიერო ჩვენება გაიმართება 27 მაისს 19.00 საათზე

გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრი და კულტურულ-საგანმანათლებლო საერთაშორისო გაერთიანება "რუსული კლუბი"

**წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას**

**"ემილის ბედნიერება"**

(რუსული ზღაპრების მიხედვით)

საპრემიერო ჩვენება გაიმართება 28 მაისს 12.00 და 14.00 საათზე

# ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი "ქარვასლაში"

ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით გალერეა "ქარვასლაში" ნორჩ შემოქმედთა ნამუშევრები გამოიფინება. გამოფენა, სახელწოდებით "მშვიდობა, მეგობრობა, სიყვარული", რომელიც ნორჩ შემოქმედთა 350-მდე ნამუშევარს წარმოადგენს, თურქული საგანმანათლებლო ორგანიზაციის "ჩაღლარის" ორგანიზებით ჩატარდება. მასში მონაწილეობის მისაღებად ბავშვები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოვლენ.

როგორც მუზეუმის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, გამოფენის პარალელურად ნამუშევრების ავტორთა კონკურსიც მოეწყობა. საკონკურსოდ ბავშვების 2 ჯგუფი, I-IV და V-VIII კლასების მიხედვით ჩამოყალიბდება. კონკურსს ჟიურის ორგანიზატორთა მიწვევით ცნობილი მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი უხელმძღვანელებს.

ორგანიზატორთა განცხადებით, კონკურსში გამარჯვებული ბავშვების ჯილდოებს ორგანიზაცია "ჩაღლარი" და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დააფინანსებს. გამოფენა ორ დღეს გაგრძელდება.

# პედრო ალმოდოვარმა პენელოპა კრუზი მიიწვია

მსახიობი პენელოპა კრუზი, რომელსაც პოპულარობა მოუტანა ფილმებმა "ვანილის ცა" და "საჰარა", ახლა პედრო ალმოდოვარმა მიიწვია თავის ფილმში, რომლის გადაღებაც ინდოეთშია დაგეგმილი.

ფილმი ცნობილი ესპანელი მწერლის ჰავიერ მოროს რომანის "ინდური ვნების" ეკრანიზაცია იქნება. ნაწარმოებს საფუძვლად დაედო ესპანელი მოცეკვავის ანიტა დელგადოს ისტორია, რომელიც ინდოელ მაჰარაჯაზე დაქორწინდა და ამის გამო საცხოვრებლად ინდოეთში გადავიდა. "ინდური ვნება" ინდოეთში გადაღებული პირველი ესპანური ფილმი იქნება, რომელზე მუშაობაც ზაფხულში დაიწყება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ბრიტანელი მუსიკოსი

ცნობილმა ბრიტანელმა მუსიკოსმა, 63 წლის პოლ მაკარტნიმ და მისმა მეუღლემ, 38 წლის ჰითერ მილზმა ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურეს, რომ ერთმანეთს შორდებიან. "სამწუხაროა, მაგრამ გვინდა, ცალ-ცალკე ვიცხოვროთ. ასეთი გადაწყვეტილება ერთობლივად მივიღეთ", - განაცხადეს მათ.

სერ პოლ მაკარტნი და ყოფილი ფოტომოდელი ჰითერ მილზი 2002 წლის 11 ივნისს დაქორწინდნენ. მათ პოლის პირველი ცოლის, ლინდას გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, 1999 წელს გაიცნეს ერთმანეთი.

ჰითერი 1980-იან წლებში ფოტომოდელად მუშაობდა, მაგრამ ავარიაში მოყვა და მუხლს ზემოთ მარცხენა ფეხის ამპუტაცია გაუკეთდა.

პოლს წინა ქორწინებიდან სამი შვილი ჰყავს: 36 წლის მერი, 34 წლის სტელა და 28 წლის ჯეიმსი. 2003 წელს მილზთან ქალიშვილი, ბეატრისი შეეძინა.

ლეგენდარული "ბითლზის" ყოფილი წევრი მაკარტნი თანამედროვე ბრიტანელ მუსიკოსებს შორის ყველაზე ცნობილია. იგი ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანიც არის. გაზეთ "ტაიმსის" მონაცემებით, მისი ქონება 825 მილიონ ფუნტ სტერლინგს (1,5 მილიარდი დოლარი) შეადგენს.

# დაგვიანებული ბოდიში

პირველი გვერდიდან

სამწუხაროდ, ყოველდღე საპირისპიროს მოწმენი ვხდებით და ეს ხდება სწორედ იმ არხებზე, სადაც ყველაზე ხშირად ლაპარაკობენ ადამიანის უფლებებზე, დღენიადაგ გვმოძღვრავენ გაურკვეველი პროფესიის ადამიანები, დღეს ერთი დარგის ექსპერტები, ხვალ მეორესი და ასე გაუთავებლად. ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ არსებობს ზღვარი, რომელიც ჟურნალისტმა არ უნდა გადალახოს - იმიტომ არა, რომ პროფესია მოვლენების ობიექტურად გაშუქებას ავალდებულებს, არამედ იმიტომ, რომ ყველაზე ცნობილი ჟურნალისტიც რიგითი მოქალაქეა და სხვებისგან არაფრით განსხვავდება. სამწუხაროდ, ჩემს კოლეგებს სხვადასხვა ტელევიზიებიდან ჟურნალისტობა გამირჩეული პროფესია ჰგონიათ და ხშირად იმაზე მეტს იღებენ საკუთარ თავზე, რისი ზიდვაც შეუძლიათ. ეს ყველაფერი კი ადამიანის ელემენტარული უფლებების შელახვით მთავრდება.

ეს უდანაშაულო მოქალაქე, პოტენციურ ეჭვმიტანილთან, გაუბედურებულ ჭირისუფალთან თუ უნუგეშო ავადმყოფთან ერთად, რიგითი მაყურებელიცაა, რომლის "ბრალეულობა" მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საინფორმაციო პროგრამების ყურებასაა ჩვეული. ამ საინფორმაციო გადაცემებში კი შეუძლიათ, მაგალითად, გაცოფებული ადამიანი გიჩვენონ და ეს დღის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად შემოგასაღონ. მხედველობაში მაქვს 22 მაისის "კურიერში" გასული სიუჟეტი, რომელსაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბოლომდე ვერავინ უყურა. ეკრანზე ვიხილეთ ახალგაზრდა კაცი, ერთ დროს ჩვეულებრივი ადამიანი, დღეს კი შეურაცხადი, აგრესიული და სასიკვდილოდ განწირული. ეს კაცი, ცხოველივით რომ ბორგავდა და არავის იკარებდა, ღმერთს ასეთი არ გაუჩენია - ის ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა და შედეგიც, სამწუხაროდ, ფატალური აღმოჩნდა.

ვერ გეტყვით, ინფექციური საავადმყოფოს დირექციამ მოუხმო ჟურნალისტებს თუ ესენი აღმოჩნდნენ ყოჩაღები, მაგრამ ფაქტია: გვიჩვენეს კადრები, რის გამოც დემოკრატიულ ქვეყნებში ტელეკომპანიებს აჯარიმებენ. არა მგონია, ამ უბედური კაცის ახლობლებს სიამოვნებას ჰგვრიდეს, ასეთ ყოფაში ჩავარდნილ მათ ნათესავს, მეზობელსა თუ მეგობარს მთელი ქვეყანა რომ უყურებს. ამასაც რომ თავი დავანებოთ (თუმცა, რატომ უნდა დავანებოთ თავი?), რა დავაშავე მე, რიგითმა მაყურებელმა, ასეთ შემზარავ კადრებს რომ მიჩვენებენ? იქნებ სიუჟეტის ავტრომა, ქალბატონმა თამარ ღვინიანიძემ არ იცის, როგორ იღუპებიან გაცოფებული ადამიანები, მაგრამ ის ხომ დანამდვილებით იცის, ამ ახალგაზრდას გადარჩენა რომ არ უწერია? არადა, ქალბატონი თამარი გამოცდილ ჟურნალისტად ითვლება და დიდი ხანია, იმავე არხზე კულტურაში მიმდინარე პროცესებს აშუქებს. კულტურა კი, მოგეხსენებათ, ესთეტიზმის გარეშე არ არსებობს. ამადაც დაფიქრებულიყო პროფესიონალი ჟურნალისტი - ღირდა კი ამ კადრების საჯაროდ ჩვენება?

ესთეტიზმი შემთხვევით არ მიხსენებია. ცხადია, ტელეკომპანიას, რომელიც არად აგდებს თუნდაც სასიკვდილოდ განწირული ადამიანის უფლებებს, ისეთ კატეგორიებზე არ უნდა ელაპარაკო, რომლის წვდომა მას არ შეუძლია. მაგრამ მოშიშვლებული უკანალის დემონსტრირება რომ დიდი ვერაფერი ჟურნალისტური მიგნებაა, ამდენს კი უნდა ხვდებოდნენ. არადა, ეს კადრებიც "რუსთავი 2"-ზე ვიხილეთ, თანაც ახლოდან. კომენტარიც მივისმინეთ: ეს იმ აზერბაიჯანელის უკანალი გვიჩვენეს, რომელსაც ნარკოტიკული ნივთიერებები ანალური გზით გადმოჰქონდა საზღვარზე. დიდი მადლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრს, რომ ძალაუნებურად პროქტოლოგების ასისტენტად არ გვაქცია და ადამიანის ორგანიზმიდან უცხო სხეულის ამოღებას არ დაგვასწრო. ესეც საქმეა! მაგრამ ვინმე თუ ამიხსნის, შიშველი საჯდომის ჩვენება რას ემსახურებოდა, მადლობელი დავრჩები. როგორც ჩანს, უნდოდათ დავერწმუნებინეთ, რომ ყველანი ადამ და ევას შთამომავლები ვართ და ერთნაირი გული, ღვიძლი, კუჭი და, ასე განსაჯეთ, საჯდომი გვაქვს - ზოგს დიდი, ზოგს პატარა, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ერთნაირი. სამწუხაროდ, ნარკოტიკები ქალებსაც შემოაქვთ საკუთარი სხეულით, ასე რომ, ერთხელაც ტელევიზორს თუ ჩართავთ და ეკრანზე მდედრობითი სქესის გენიტალიებს მოჰკრავთ თვალს, ნუ დაიბნევით და პოლიციას მადლობა გადაუხადეთ.

ადამიანები შეცდომებს უშვებენ, მაგრამ ადრე თუ გვიან ჩადენილ შეცდომებზე პასუხის გაცემა ყველას უწევს, მათ შორის ჟურნალისტებისაც. გამონაკლისი არც მე ვარ. რასაც ახლა ვიტყვი, არც გმირობა მგონია და კეკლუცობასაც არ ვაპირებ. ბოდიშსაც დაგვიანებით იმიტომ ვიხდი, რომ საკუთარ რეპუტაციას ვუფრთხილდები და მკითხველის დაკარგვა ჩემს პროფესიაზე უარის თქმას ნიშნავს. შარშან ტუბერკულოზზე წერილს ვამზადებდი. არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ყოველი ფეხის ნაბიჯზე მეტად არასასიამოვნო ფაქტებს ვაწყდებოდი. ბუნებრივია, ამან ჩემზეც იმოქმედა და, ჩემდა უნებურად, ისედაც გამწარებული ადამიანების ყოფა კიდევ უფრო დავამძიმე. წერილს ასე ვამთავრებდი: "უკვე კარგად ნაცნობ ქირონს 40 თეთრად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან პაციენტები ხუდადოვზე აჰყავს. სტიქსის წყლებს ვიწრო ქუჩები ცვლის, ჰადესის უკუნეთს საავადმყოფოს პალატები აფერმკრთალებს...." მაშინ არ მიფიქრია, როდესაც ჟურნალისტი საავადმყოფოს ჰადესს, ანუ საიქიოს ადარებს, ეს ჟურნალისტი იქ მყოფ პაციენტებს გამოჯანმრთელების შანსს აღარ უტოვებს. სხვათა შორის, ეს სწორედ მაშინ გავიაზრე, როდესაც ამ უბედურ კაცს ვუყურებდი და მხოლოდ ის მადარდებდა, როგორმე ტელევიზორის პულტი მეპოვნა, სადღაც ჯინაზე მიკარგული. გამიხარდება, ქალბატონ თამარსაც იგივე გრძნობა თუ დაეუფლება, თუნდაც სხვების სიუჟეტების ყურებისას - მაგალითად, როდესაც გადაცემა "დროება" ასევე ადამიანის უფლებების დარღვევით გონებაშეზღუდული ბავშვების ტრაგიკულ ისტორიას მოგვითხრობს და საილუსტრაციოდ ძალადობის მსხვერპლსაც და პოტენციურ მოძალადესაც (სხვათა შორის, ორივე სულიერად ავადმყოფია) მთელ საქართველოს უჩვენებს. და ეს ხდება ტელეკომპანიაში, სადაც ერთი დღის ინტერვალით გრიგოლიას თოქ-შოუში ჟურნალისტური ეთიკის საკითხები ირჩევა.

არ მახსოვდა, რედაქციაში შემახსენეს, როგორ გადაუხადა ერთმა ცნობილმა ჟურნალმა პოლ მაკარტნის ორი მილიონი. იცით რა მოხდა? სერ მაკარტნიმ საფრანგეთის ერთ-ერთ ეკლესიაში, ქალიშვილთან ერთად, გარდაცვლილი ცოლის სულის შესავედრებლად სანთლები დაანთო. იქ პაპარაცი ჩაუსაფრდა და მეორე დღეს ჟურნალის ფურცლებზე დამწუხრებული მომღერლის ფოტოები გაჩნდა. არ გამოვრიცხავ, რომ ფოტოების დაბეჭდვამ რედაქციას იმხელა შემოსავალი მოუტანა, ჯარიმის გადახდას აღარ დაეძებდა. აქვე დავძენ: არც მაკარტნის ფინანსური მდგომარეობაა ისეთი, ფული მაინცდამაინც სასამართლოებში წანწალით ჰქონდეს საშოვნელი - ის მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი მუსიკოსია. უბრალოდ, მან საზოგადოებას დაუმტკიცა, რომ ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება არავის აქვს.

ისევ ვულგარული გოგონები მახსენდება. სანამ ამ ქალიშვილებს საკუთარი წარმომავლობა ერცხვინებათ, ყოველთვის ასე მოიქცევიან - გარეთ გაიხდიან, შინ კი ბამბაზიის ხალათებით ივლიან. ჩვენც, დაახლოებით, იგივე გვემართება, რაც სხვა კუთხითაც მჟღავნდება. ასე მაგალითად, ჩამოდის რუსი ჟურნალისტი, კი ბატონო, ნიჭიერი, ცნობილი, ჩვენდამი კეთილგანწყობილი(?!); მიგვყავს ბუტაფორიულ შარდენის ქუჩაზე, ღვინოს ვასმევთ, რჩევას ვეკითხებით, უნივერსიტეტში საჯარო ლექციას ვატარებინებთ, ინტერვიუებსაც ვიწერთ (რუსულად, რა თქმა უნდა) და, რაც მთავარია, ამ ჟურნალისტის თბილისურ ვოიაჟს ყველა საინფორმაციო გამოშვება პირველივე ბლოკში უშვებს. მოგვიანებით, როცა ეს ჩვენი მეგობარი სამშობლოში დაბრუნდება და ჩვენთვის მიუღებელ სიუჟეტს გააკეთებს, ჩვენ, რასაკვირველია, გავბრაზდებით და აქედან დავუწყებთ მუშტების ქნევას. ვიცი, ფლანელის ხალათებს ასე იოლად ვერ შევველევით, თუ საერთოდაც უნდა შევველიოთ, მით უფრო ნეილონის საუკუნეში, როცა ნატურალური ქსოვილის ტარება მისწრებაა. მაგრამ ვილაცამ ხომ უნდა გვირჩიოს: თუ სინთეტიკურ ტანსაცმელზე მაშინაც არ ვამბობთ უარს, როცა ალერგიისაგან სხეული გვეფოთლება, სულ მცირე, ალერგიის საწინააღმდეგო წამალი უნდა დავლიოთ. ბოლომდე თუ არ განვიკურნებით, ქავილი მაინც მოგვეხსნება.

## განცხადება
## (ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ)

შ.პ.ს აჭარის ა.რ. "ონკოლოგიური ცენტრი" "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს მედიკამენტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტებია:

1. ლოტი- მედიკამენტები
2. ლოტი- ქიმიო-თერაპიული პრეპარატები
3. ლოტი - ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები

შესყიდვის ობიექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დანართებში.

3. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 14 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე. შ.პ.ს "ონკოლოგიური ცენტრი", ბათუმი, პუშკინის ქ. N118;

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 14 ივნისს 17.30 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

**5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**5.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).

ბ) იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი ანგარიშსწორების შესახებ;

გ) სატენდერო წინადადების ხელის მოწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

დ) ლიცენზია მედიკამენტების, ქიმიო-თერაპიული პრეპარატებისა და ნარკოტიკული და ფსიქორტოპული საშუალებების რეალიზაციაზე;

6. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

7. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს **სამ** ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლიარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფრმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი არმოჩნდება;

9. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს;

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ **200 (ორასი) ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

საბანკო ანგარიშზე: საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, კოდი 220101502 ა/N 005467714, ს/კ 245428372

11. **ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება;**

12. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ **რამდენიმე სატენდერო წინადადება;**

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიაღ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. N118; შპს "ონკოლოგიური ცენტრი". ტ 7-52-67;

## განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სს "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" თბილისი, ლუბლიანას №18/20 საკუთარი შემოსავლების ფარგლებში საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს დაცვის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი მომსახურების ჩამონათვალი:

სს "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი"-ს და მისი კუთვნილი ტერიტორიის 24-საათიანი დაცვა.

3. მომსახურების გაწევის პირობები და ადგილი - მომსახურების გაწევა განხორციელდება ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში, 2006 წლის ივლისიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე, მისამართზე: ქ. თბილისი ლუბლიანას ქ. №18/20.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 15 ივნისის 13 საათამდე შემდეგ მისამართზე: სს "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას №18/20 ოთახი №G308. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 15 ივნისის 13 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა.

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია ორგანიზაციის ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ, მისი დაფუძნების პერიოდიდან არაუმეტეს ბოლო სამი წლის;

დ) ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

6. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

7. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმნის სახით.

8. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. ტენდერში მონაწილეს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი ალტერნატიული წინადადება.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ბანკი რესპუბლიკა, კოდი №220101757, ანგარიშის №34082415 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 13 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სს "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას №18/20 ოთახი №G308.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ზაზა ესაიაშვილი, რუსუდან ჟორჟოლიანი, ხათუნა ახალბედაშვილი, მისამართზე: სს "აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლუბლიანას №18/20 ოთახი №G308, ტელ: 51-71-25.

### გაზეთ "24 საათის" 24 მაისის ნომერში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების ტექსტში გაპარული ტექნიკური შეცდომების

### გასწორება:

"ფუნდამენტური მედიცინა - 58 საშტატო ერთეულის" ნაცვლად უნდა იკითხებოდეს - "ფუნდამენტური მედიცინა - 59 საშტატო ერთეული";

"მეან-გინეკოლოგია - 10 საშტატო ერთეულის" ნაცვლად უნდა იკითხებოდეს - "მეან-გინეკოლოგია - 9 საშტატო ერთეული";

"პიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა - 3 საშტატო ერთეულის" ნაცვლად უნდა იკითხებოდეს - "ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა - 3 საშტატო ერთეული";

ტექსტში გამოტოვებული იყო - "ინფექციური სნეულებანი - 9 საშტატო ერთეული";

## პაციენტთა საყურადღებოდ

ამა წლის 22 მაისს რამდენიმე ქართულ ტელეარხზე გავიდა სიუჟეტი ფალსიფიცირებულ მედიკამენტთა შესახებ, სადაც, სხვა პრეპარატებთან ერთად, ნახსენები იყო ფრანგული ფარმაცევტული კომპანია "სერვიეს" ორი ცნობილი მედიკამენტი - ***პრედუქტალი MR*** და ***დიაბეტონი MR.***

ამასთან დაკავშირებით გვსურს განვმარტოთ, რომ ***პრედუქტალი MR*** გახლავთ უაღრესად პოპულარული ანტიიშემიური საშუალება, რომელიც რეგისტრირებულია მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. დღესდღეობით ***პრედუქტალი MR*** წარმოადგენს ერთადერთ მეტაბოლურ პრეპარატს, რომელიც ოფიციალურადაა რეკომენდებული სტაბილური სტენოკარდიის (გულის იშემიური დაავადების) სამკურნალოდ *ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოებისა* და *აშშ კარდიოლოგთა კოლეჯის* მიერ.

რაც შეეხება ***დიაბეტონ MR***-ს, ამჟამად ის გახლავთ წამყვანი საშუალება ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მკურნალობაში. ***დიაბეტონი MR*** ერთადერთი მედიკამენტია, რომელიც, ოპტიმალურ გლუკოზის დამწევ მოქმედებასთან ერთად, ხასიათდება დადასტურებული ვაზოპროტექციული (სისხლძარღვთა დამცავი) მოქმედებით; ეს გულისხმობს პაციენტთა დაცვას შაქრიანი დიაბეტის ისეთი მრისხანე გართულებებისგან, როგორიცაა დიაბეტური რეტინოპათია (დაბრმავების ერთ-ერთი უხშირესი მიზეზი), დიაბეტური ნეფროპათია, "დიაბეტური ტერფი" (კიდურის ამპუტაციის უხშირესი მიზეზი), მიოკარდიუმის ინფარქტი და ა.შ.

ამ მცირე კომენტარიდანაც ნათლად ჩანს, რომ ***პრედუქტალი MR***-სა და ***დიაბეტონი MR***-ს დღევანდელ ფარმაცევტულ სამყაროში ალტერნატივა არ გააჩნია.

ცხადია, აღნიშნული მედიკამენტები დიდი პოპულარულობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაშიც (*საქართველოს წამლის სააგენტოს* მონაცემებით, გასულ წელს ***პრედუქტალი MR,*** რეალიზაციის მიხედვით, მე-3 ადგილზე იყო ყველა არსებულ მედიცამენტს შორის, ხოლო ***დიაბეტონი MR*** - მე-15-ზე), რამაც ბუნებრივად აქცია ისინი ფალსიფიკატორთა "სამიზნედ".

აღნიშნულთან დაკავშირებით გვსურს განვაცხადოთ, რომ ჩვენი წარმომადგენლობა მიესალმება *საქართველოს წამლის სააგენტოსა* და *საქართველოს ფინანსური პოლიციის* მიერ ჩატარებულ ღონისძიებას ფალსიფიცირებულ მედიკამენტთა წარმოების გამოვლენასთან დაკავშირებით. ყოველი ასეთი ღონისძიება მნიშვნელოვნად ამცირებს სააფთიაქო ქსელში მსგავსი პროდუქციის მოხვედრის ალბათობას.

ამასთანავე, აუცილებლად მიგვაჩნია გაცნობოთ, რომ თქვენ საიმედოდ იქნებით დაცული ფალსიფიცირებული მედიკამენტის შეძენის რისკისგან, თუ მიმართავთ ოფიციალური სააფთიაქო ქსელის აფთიაქებს და პირველ რიგში ჩვენს პირდაპირ პარტნიორებს - კომპანიებს ***"PSP", "ავერსი", "GPC", "კრისტალი"*** და ***"სამგორი ფარმა".*** აღნიშნული კომპანიები ღებულობენ "სერვიეს" მედიკამენტებს უშუალოდ საფრანგეთიდან, ქ. ჟიდიში განლაგებული საწარმოო ცენტრიდან, რაც სრულად გამორიცხავს მათ აფთიაქებში ფალსიფიცირებული პროდუქციის მოხვედრის ალბათობას.

დაბეჯითებით მოგიწოდებთ მოერიდოთ მედიკამენტთა შეძენას ბაზრობების ტერიტორიაზე, ჯიხურებში, არალიცენზირებულ აფთიაქებში და ა.შ. ნუ მოახდენთ ეკონომიას საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე!

*ფრანგული ფარმაცევტული*
*კომპანია "სერვიეს"*
*წარმომადგენლობა*
*საქართველოში*
***ტელ. 754 224; ფაქსი 75 10 72***

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 07.02.14**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**წალენჯიხის რაიონის სოფ. ფახულანის არასრული სკოლის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **წალენჯიხის რაიონის, სოფელ ფახულანის არასრული სკოლის რემონტი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფელ ფახულანის საკრებულოს სათემო კავშირი "ფახულანი-2006", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ფახულანის სათემო კავშირი "ფახულანი-2006" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 29 მაისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 300 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 26 ივნისს** 13:00 - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 26 ივნისს** 13:00 საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**

**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 07.07.11**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ხობის რაიონის სოფ. ქარიატას საშუალო სკოლის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ხობის რაიონის სოფელ ქარიატას საშუალო სკოლის რემონტი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ქარიატას საკრებულოს სათემო კავშირი ""ქარიენტე", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ქარიატას საკრებულოს სათემო კავშირი ""ქარიენტე", იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 29 მაისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 600 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 26 ივნისს** 16:00 - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 26 ივნისს** 16:00 საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**

**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 07.05.08**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**აბაშის რაიონის სოფ. კეთილარის საშუალო სკოლის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **აბაშის რაიონის, კეთილარის საკრებულოს, სოფელ კეთილარის საშუალო სკოლის რემონტი**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება კეთილარის საკრებულოს სათემო კავშირი "კეთილი ნება", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, კეთილარის საკრებულოს სათემო კავშირი "კეთილი ნება", იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 29 მაისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 600 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 26 ივნისს** 12:00 - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 26 ივნისს** 12:00 საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**

**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 07.07.09**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ხობის რაიონის სოფ. ძველი ხიბულას სკოლის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ხობის რაიონის, სოფელ ძველი ხიბულას სკოლის რემონტი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფელ ძველი ხიბულას საკრებულოს სათემო კავშირი "ხიბულა-2002", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ძველი ხიბულას სათემო კავშირი "ხიბულა-2002" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 29 მაისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 300 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 26 ივნისს** 14:00 - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 26 ივნისს** 14:00 საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**

**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 07.07.10.**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ხობის რაიონის სოფ. შუა ხორგის საშუალო სკოლის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ხობის რაიონის, შუა ხორგის საკრებულოს, სოფელ შუა ხორგის საშუალო სკოლის რემონტი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება შუა ხორგის საკრებულოს სათემო კავშირი "იმედი-2006", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, შუა ხორგის საკრებულოს სათემო კავშირი "იმედი-2006", იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 29 მაისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 400 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 26 ივნისს** 15:00 - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 26 ივნისს** 15:00 საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**

**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

## განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ეროვნული მუზეუმი" 9მის: ქ. თბილისი 0105, რუსთაველის გამზირი №3) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს მუზეუმის საჭიროებისათვის ავტოტრანსპორტის შესყიდვაზე:

2. შესასყიდი საქონელი - მიკროავტობუსი - გამოშვების წელი: 2006 წელი - 1 ერთეული.

3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადები - 2006 წლის 22 ივნისიდან 30 ივნისამდე.

4. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (დალუქულ პაკეტში) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 14 ივნისის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი №3 (მე-3 სართული, საფინანსო-ეკონომიკური სამსახური).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: მიმღები - ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი № 220101107, ანგარიშის № 200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი № 300023133 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 29 მაისიდან 14 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: სსიპ საქართველოს ეროვნული მაუზეუმი, ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი №3 (მე-3 სართული, საფინანსო-ეკონომიკური სამსახური).

9. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელსაც მიენიჭება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უფლება.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადებები.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიორგი ბეზარაშვილი, ნანა ლომსაძე, ნანა ჯაშიაშვილი, მისამართზე: სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი №3 (მე-3 სართული, საფინანსო-ეკონომიკური სამსახური). ტელ: 998 013; 990 674. E-mail: gbezarashvili@muzeum.ge

პაულო კოელიოს სვეტი

# გიყვარდეთ იდუმალება



ბერძნებს შეუდარებლად შეეძლოთ ადამიანის ქცევის აღწერა პატარ-პატარა იგავების საშუალებით, რომელთაც ჩვენ დღეს მითებს ვუწოდებთ. ამ მითებით ბერძნების შემდგომმა ყველა კულტურამ და თაობამ ისარგებლა. ფროიდის ფსიქოანალიზიც (მაგალითად, ოიდიპოსის კომპლექსი გავიხსენოთ) და ჰოლივუდური კინოპროდუქციაც (მაგალითად, "მატრიცას" გმირი მორფეოსი) ამ ისტორიებიდან იღებდა შთაგონებას.

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვერც მე გამოვდიოდი ფსიქეას მითის გავლენიდან:

იყო და არა იყო რა... იყო ერთი მშვენიერი პრინცესა, რომელიც ყველას აღაფრთოვანებდა, ყველას აყვარებდა თავს, მაგრამ მისი ხელის თხოვნას ვერავინ ბედავდა. სასოწარკვეთილმა მეფემ ღმერთ აპოლოს ჰკითხა რჩევა. აპოლომ მეფეს უთხრა, რომ თალხ ტანსაცმელში გამოწყობილი ფსიქეა უნდა დაესვათ მთის წვერზე და იქ მარტო დაეტოვებინათ. სანამ კარგად ინათებდა, ფსიქეასთან მივიდოდა გველი და მასზე იქორწინებდა.

მეფემ ისმინა აპოლოს რჩევა და შვილი მთის წვერზე დასვა. პრინცესამ მთელი ღამე მარტო გაატარა, შიშისგან და სიცივისგან ერთიანად კანკალებდა, მაგრამ მაინც ელოდა ქმრის გამოჩენას. ბოლოს დაღლილობამ მაინც თავისი გაიტანა და გოგონას ჩაეძინა. როცა გაეღვიძა, გაოცებისგან აღარ იცოდა, რა ექნა. იჯდა ულამაზეს სასახლეში და ამ სასახლის დედოფალი თვითონ იყო. ყოველღამე მოდიოდა ქმარი და დილამდე მასთან რჩებოდა. ქმარი ფსიქეას ყველა სურვილს უსრულებდა, მხოლოდ ერთი პირობით: პრინცესას არასდროს არ უნდა დაენახა მისი სახე.

ახალგაზრდა ქალი დიდხანს ცხოვრობდა ასე. თავს ბედნიერადაც გრძნობდა. ჰქონდა ყველაფერი - კომფორტი, სიყვარული, სიმდიდრე. გულწრფელად უყვარდა კაცი, რომელიც ყოველ ღამით მიდიოდა. თუმცა, ხანდახან მაინც გაჰკრავდა ხოლმე შიში, რომ ის საშინელი სისინა გველის ცოლი იყო.



ერთხელ, ადრიან დილით, როცა ქმარს ჯერაც ეძინა, ფსიქეამ საწოლთან ლამფა მიიტანა, მიანათა და ნახა, რომ მის გვერდით კუპიდონი იწვა, ულამაზესი გარეგნობის კაცი. შუქმა კაცი გააღვიძა. გაიღვიძა და მიხვდა, რომ ქალს, რომელიც მას უყვარდა, მისი ერთადერთი სურვილის შესრულებაც არ შეეძლო და გაქრა...

როცა ამ ტექსტს ვკითხულობდი, ყოველთვის ვფიქრობდი: როგორ, ნუთუ ვერასდროს ვერ უნდა შევიცნოთ სიყვარულის ნამდვილი სახე? ნუთუ არ გვაქვს უფლება დავინახოთ ის?

ბევრი ფიქრი და ბევრის გადატანა დამჭირდა იმისთვის, რომ საბოლოოდ მივმხვდარიყავი - სიყვარული სხვა ადამიანისადმი რწმენაა და სიყვარულის სახე მუდამ იდუმალების საბურველში გახვეული უნდა დავიცვათ. სიყვარულით უნდა ვიცხოვროთ ყოველდღიურად, ყოველწამიერად და სულ უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც კი ვეცდებით მის გაგებას და ახსნას - ის გაქრება.

როცა სიყვარულის შესახებ ამ ჭეშმარიტებას მივხვდი, დავიწყე იმ უცნაური ენით ცხოვრება, რომელსაც "ნიშნებს" ვუწოდებ. რადგან მე ვიცი: სამყარო მესაუბრება და მე უნდა ვისწავლო მისი მოსმენა; თუ გულისყურით მოვუსმენ, ყოველთვის შევძლებ ყველაზე ლამაზის, ყველაზე ამაღელვებლის და ყველაზე შეუცნობლის შეცნობას.

რა თქმა უნდა, ეს რთულია და ამ სირთულის გამო ისევე ავმჩატდები ხოლმე, როგორც ფსიქეა ამჩატდა იმ დილას. მაგრამ თუ ცდუნების ღამეს გავუძელი, მეორე დილას ფსიქეასავით მეც ულამაზეს სასახლეში ვიღვიძებ. ერთადერთი, რაც ამ გზაზე სიარულისას მჭირდება, არის რწმენა სიყვარულისა, მიუხედავად იმისა, რომ შეცდომის დაშვების რისკი არასდროს მშორდება.

ის ბერძნული მითი რომ დავასრულოთ, გეტყვით: ფსიქეა იბრძვის თავისი სიყვარულის დასაბრუნებლად და აკეთებს ყველაფერს, რასაც აფროდიტე - კუპიდონის დედა აკისრებს - აფროდიტეს კი საშინლად შურს მისი სილამაზის. ერთ-ერთი დავალება ასეთია: ფსიქეამ აფროდიტეს თავისი სილამაზის ნაწილი უნდა გაუყოს. ფსიქეა ხედავს ყუთს, რომელშიც, წესით, ქალღმერთის მშვენება უნდა იდოს, კიდევ ერთხელ უშვებს შეცდომას - ვერ უძლებს ცდუნებას და ხსნის ყუთს. ყუთიდან კი ამოდის ძილი, რომელიც ფსიქეას იპყრობს და გოგონას უგონოდ ტოვებს.

თავის მხრივ, იტანჯება კუპიდონიც, რომელსაც ძალიან უყვარს ცოლი და ნანობს, რომ არ აპატია შეცდომა. კუპიდონი ახერხებს შეაღწიოს ციხე-სიმაგრეში და ფსიქეა ლეთარგიული ძილისგან გამოაფხიზლოს. ისრის წვერს შეახებს და ეტყვის: "შენი ცნობისმოყვარეობის გამო კინაღამ დაიღუპე". არადა, რამხელა შინაგანი წინააღმდეგობაა ამ სიტყვებში: ფსიქეას ხომ თავისი ცოდნის წადილით მხოლოდ უსაფრთხოების მიღება სურდა და სინამდვილეში მიიღო სულ სხვა რამ - დაუცველობა.

ფსიქეას გაღვიძების შემდეგ ორივენი იუპიტერთან მიდიან - ღმერთების ღმერთთან და ევედრებიან, რომ მათი ერთად ყოფნა დალოცოს. იქიდან მოყოლებული, ფსიქეა (როგორც ადამიანური საწყისი) და ეროსი (როგორც თვით სიყვარული) მარადიულად ერთად არიან. ყველა, ვინც ამ ჭეშმარიტებას არ აღიარებს და ეცდება იდუმალი ერთობის ახსნას - ფუჭად გაფანტავს უძვირფასეს დროს.

# კინოს სნობები



პირველი გვერდიდან

## ფესტივალის "მოკრძალებული" ხიბლი

ფესტივალზე მიმდინარე მოვლენები 70 ქვეყნის წარმომადგენელი 4 ათასი ჟურნალისტის და 200 ფოტოგრაფის ყურადღების ცენტრშია. ჟიურის წევრებისა და ჟურნალისტების დაძაბულ სამუშაო დღეებს, არანაკლებ დაძაბული ღამეები ენაცვლება, რომლებიც ფესტივალის განსაკუთრებული სტუმრების პატივსაცემად გამართულ მიღებებს ეთმობა. თითოეულ ასეთ მიღებაზე ფესტივალის ორგანიზატორებს რამდენიმე მილიონი ევრო აქვთ გათვალისწინებული. როგორც ფესტივალის გახსნის დღეს წერდა ფრანგული პრესა, სპეციალურად VIP საღამოებისთვის ორგანიზატორებმა 800კგ ზღვის პროდუქტები, 15კგ ხიზილალა და 5 ათასი ბოთლი შამპანიური მოიმარაგეს. ფრანგები არ ღალატობენ ძველ ტრადიციებს და შესაბამისად, არც საარაკო თანხებს იშურებენ იმის დასამტკიცებლად, რომ ძალიან სასურველ და საპატიო სტუმრებს მხოლოდ ფრანგებისთვის ჩვეული ლუქსით და შიკით მასპინძლობენ. არცთუ ისე საპატიო და სასურველი სტუმრები კი, ფრანგული ლუქსს და შიკს ნაკლებად უგებენ გემოს და არც ამით არიან უკმაყოფილო. თუმცა სტუმარს გააჩნია!

ერთადერთი ადგილი, სადაც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და სნობურ კანის ფესტივალზე ფრანგებისთვის შიკზე არანაკლებ მნიშვნელოვანი სოციალური თანასწორობა (საკმაოდ ეფემერული განსაკუთრებით ფესტივალის მიმდინარეობის დროს!) სუფევს, ჩაბნელებული კინოდარბაზია. განათებული ეკრანის წინ, კანის ფესტივალზე ყველა თანასწორია. თუმცა ეს თანასწორობა მხოლოდ სეანსის დაწყებიდან მის დასრულებამდე გრძელდება.

## ფავორიტები

2006 წლის კანის ფესტივალის მეექვსე სამუშაო დღეს უკვე გამოიკვეთა ის ფილმები, რომლებსაც რეალური შანსი აქვთ 2006 წლის ფესტივალის პრიზიორები გახდნენ და ის ფილმებიც, რომელთა ავტორებსაც შანსის მაგივრად პრიზიორობის მხოლოდ იმედი აქვთ. არიან ისეთებიც, რომლებსაც არც შანსი აქვთ და არც იმედი - მხოლოდ ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობის ბედნიერება.

კენ ლოუჩის და პედრო ალმოდოვარის შემდეგ, ფესტივალის ფავორიტთა შორის კიდევ რამდენიმე საინტერესო ფილმი გამოჩნდა. მათ შორის არის ფინელი რეჟისორის აკი კაურისმაკის "გარეუბნის შუქი", თურქი რეჟისორის ნური ბილჟ სეილანის IKLIMLER ("ჰავის ცვალებადობა"), მექსიკელი რეჟისორის ალეხანდრო გონსალეს ინიარიტუს BABEL ("ბაბილონი") და იტალიელი რეჟისორის ნანი მორეტის IL CAIMANO.

ოთხივე რეჟისორი კანის ფესტივალის მრავალგზის მონაწილე და პრიზორიც არის. კაურისმაკი უკვე მესამედ მონაწილეობს საკონკურსო პროგრამაში. მისი ბოლო ფილმი "კაცი წარსულის გარეშე" 2002 წლის ფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელი გახდა. ნური ბილჟ სეილანის UZAK-ს იგივე პრიზი 2003 წელს ერგო; ხოლო ნანი მორეტის "შვილის ოთახი" 2001 წლის ფესტივალის პრიზიორი გახდა. ბუნებრივია, რომ ამ რეჟისორების ფილმების ჩვენებას პუბლიკაც და ჟიურიც განსაკუთრებულად ელოდებოდა.

"გარეუბნის შუქი" ფინელი რეჟისორის კინოტრილოგიის ბოლო ფილმია. სამივე ფილმში აკი კაურისმაკი სოციალური პრობლემატიკის სხვადასხვა ასპექტებს ეხება. ტრილოგიის პირველი ფილმი "შორს მიდიან ღრუბლები" (1996) უმუშევრობის თემაზეა აგებული, "კაცი წარსულის გარეშე" უსახლკაროთა პრობლემებს მოიცავს, "გარეუბნის შუქი" კი, რომელიც ასრულებს ტრილოგიას და წლევანდელი ფესტივალის საკონკურსო პროგრამაშია წარმოდგენილი, ჰესლსინკის გარეუბნის ძალიან მარტოხელა ღამის დარაჯის - კოესტინენის - ცხოვრების სევდიანი პერიპეტიების ამსახველი ფილმია. "ჩაპლინის მოხეტიალეს მსგავსად, ჩემი ფილმის პერსონაჟი საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად იბრძვის, განაცხადა კაურისმაკიმ პრესკოფერენციაზე. მაგრამ ეს მოკრძალებული სურვილი და იმედი, მის გარშემო მყოფი ადამიანების ინდეფერენტულობის და სისასტიკის მსხვერპლი ხდება."

თურქმა რეჟისორმა ნური ბილჟ სეილანმა კი, რომელიც კანის ფესტივალის უკვე ჩვეული სტუმარია და სახელი გაითქვა როგორც ერთ-ერთმა ყველაზე სიტყვაძუნწმა რეჟისორმა, ფილმის ჩვენებამდე და ჩვენების შემდეგაც მხოლოდ რამდენიმე სიტყვა თქვა "ჰავის ცვალებადობაზე". "ადამიანს ბედნიერებისთვის ძალიან ცოტა სჭირდება. ასევე ცოტა სჭირდება იმისთვის, რომ უბედური იყოს. ადამიანი ძალიან უბრალო მიზეზების გამო მოდის ამ ქვეყნად. ასევე ძალიან უბრალო მიზეზების გამო მიდის ამ ქვეყნიდან." ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ "ჰავის ცვალებადობა" წლევანდელი კანის ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფილმია. სეილანის თვითმყოფადი კინოესთეტიკა უდავოდ დიდ კონკურენციას უწევს საკონკურსო ფილმების დიდ უმრავლესობას და სასიამოვნო შეხსენებაა იმისა, რომ მსოფლიო კინოინდუსტრიის ამერიკანიზაციის პირობებში საავტორო კინოს არსებობის უფლება ჯერ კიდევ აქვს. და მეტიც, აუცილებლობაც და ვალდებულებაც.

## ფესტივალი-პოლიტიკური ტრიბუნა

ნანი მორეტის ფილმის IL CAIMANO ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟი კი უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს იმის დასტურად, რომ კანის ფესტივალი თავის ტრიბუნას სიამოვნებით უთმობს პოლიტიკურად ანგაჟირებულ კინოპროდუქციას. ნანი მორეტი უკვე მეხუთედ მონაწილეობს ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში. იტალიაში მემარცხენე იდეების ცნობილი დამცველი მორეტი, ამჯერად კანში ბერლუსკონის რეჟიმის მამხილებელი ფილმით წარდგა. თითქოს სრულიად შემთხვევით IL CAIMANO-ს იტალიური პრემიერა 9 აპრილის არჩევნებამდე შედგა. არაერთხელ გაკეთდა განცხადება იმის თაობაზე, რომ იტალიის ეკრანებზე ნანი მორეტის ფილმის გამოსვლამ გარკვეული გავლენა მოახდინა რომანო პროდის გამარჯვებაზე. თავად რეჟისორმა მოკრძალებით უარყო იტალიური პუბლიკის პოლიტიკურ ცნობიერებაზე მისი ფილმის გავლენის ესოდენ დიდი მასშტაბი. მან უბრალოდ აღნიშნა, რომ მისი, როგორც რეჟისორის, ამბიცია მხოლოდ და მხოლოდ კარგი ფილმის გადაღება იყო; ხოლო მოქალაქეობრივ ამბიციებს რაც შეეხება, მორეტიმ არ დამალა და აღიარა, რომ ფილმში ბერლუსკონის რეჟიმის სისასტიკის მხილება სურდა. უდავოა, რომ მოქალაქის ამბიციების სისრულეში მოყვანა მემარცხენე იტალიელმა რეჟისორმა უდავოდ მოახერხა. სადავო არის ის, თუ რამდენად მოახდინა მან თავისი რეჟისორული ამბიციების განხორციელება. ფილმის ჩვენების შემდეგ გამართული პრესკონფერენცია სილვიო ბერლუსკონის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდაში გადაიზარდა. შესაძლოა იმიტომაც, რომ ფილმის მხატვრული ღირებულება მეტის შესაძლებლობას არ იძლევა. თუმცა ნანი მორეტიმ განაცხადა:"კინოს დანიშნულება კარგი, არასტანდარტული ფილმების შექმნაა. მხოლოდ პოლიტიკურად ანგაჟირებული ფილმი არ შეიძლება ჩაითვალოს ღირებულად". ამ შემთხვევაში ნანი მორეტი ნამდვილად არ ცდება.

## ლათინოამერიკელი ფავორიტი

23 მაისის საკონკურსო პროგრამის ცენტრალურ მოვლენად კი მექსიკელი რეჟისორის ალეხანდრო გონსალეს ინიარიტუს ფილმის "ბაბილონი"-ს ჩვენება გახდა. იგი ერთ-ერთ ფავორიტად და ფესტივალის მთავარი პრიზის რეალურ კანდიდატთა შორის სახელდება. ფილმის მოქმედება, რომლის მთავარ პერსონაჟებსაც ბრედ პიტი, კეით ბლანშეტი და გაელ გარსია ბერნალი ანსახიერებენ, პარალელურად რამდენიმე ქვეყანაში - მაროკოში, იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და მექსიკაში ვითარდება. ეს არის ისტორია ორ პატარა მაროკოელ ძმაზე, რომლებიც შემთხვევით ამერიკელ ტურისტს დაჭრიან იმ იარაღით, რომელიც იაპონელმა მონადირემ მათ მეზობელს აჩუქა. ამ უბედურ შემთხვევაში ამერიკელები ტერორისტების კვალს ეძებენ, მაროკოელი ძმები კი თავიანთი დანაშაულის კვალის დაფარვას ცდილობენ. იმ იაპონელი მონადირის შვილი კი ყრუ-მუნჯი ტოკიოელი თინეიჯერია, თავისი ასაკისთვის დამახასიათებელი პრობლემებით. ხოლო დაჭრილი ტურისტის შვილები თავიანთ ძიძასთან ერთად ასევე შემთხვევით მექსიკის უდაბნოში იკარგებიან. "ბაბილონში" სხვადასხვა კონტინენტზე განვითარებული ისტორიები ერთმანეთს უკავშირდება და ძალიან ბევრ აქტუალურ პრობლემას ეხმაურება. ახალგაზრდა და მომხიბლავმა მექსიკელმა რეჟისორმა კი პრესკონფერენციაზე მოკრძალებით განაცხადა:"მე არ მიყვარს ჭკუის სწავლება. ამ ფილმით მინდოდა მეჩვენებინა ის, თუ რა ხდება თანამედროვე სამყაროში და საით მივდივართ. მე მაინტერესებს რა აერთიანებთ სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ და სხვადასხვა ბედის მქონე ადამინებს და არა ის, თუ რა განასხვავებს მათ." მექსიკელი ჟურნალისტის შეკითხვაზე, არის თუ არა იგი მზად კანის ფესტივალის პრიზის მიღებისას სიტყვის წარმოსათქმელად, ალეხანდრო გონსალეს ინიარიტუმ ასევე მოკრძალებით უპასუხა, რომ მისთვის ფილმზე მუშაობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ფილმის შესაძლებელი დაჯილდოება. ალეხანდროს მოკრძალება სამაგალითოა, გულწრფელობა კი საეჭვო, რადგან რთული წარმოსადგენია, რომ ახალგაზრდა მექსიკელ რეჟისორს ფილმის შესაძლებელი დაჯილდოების პერესპექტივა ნაკლებად ხიბლავდეს, ვიდრე მასზე მუშაობის პროცესი.

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა) + ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge






სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
განებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ზურაბ ნოღაიძელი ბრიტანეთის პოლიტიკურ და ბიზნესელიტას ხვდება



B2

## ქართული ღვინო იაპონურ ბაზარზე

### რა უპირატესობები აქვს ქართულ ღვინოს იაპონიის ბაზრის დასაპყრობად?

მარიამ ჭაჭვაძე

*ამ დღეებში ქართულ ცქრიალა ღვინოს იაპონიაში პირველად დააგემოვნებენ. კომპანია "ვაზიანს" ამ ქვეყანაში გასაგზავნი ღვინის საცდელი პარტია უკვე მზად აქვს.*

- თუკი გასულ წელს იაპონიაში ერთ სულ მოსახლეზე 100 ლიტრი ადგილობრივი, ხოლო 160 ათასი ლიტრი იმპორტირებული ღვინის მოხმარება დაფიქსირდა, წელს იგივე მაჩვენებლები, წინასწარი გათვლებით, შესაბამისად, 120 და 270 ლიტრს მიაღწევს.

- ერთი შეხედვით, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ იმპორტირებული ღვინო იაპონიაში სამჯერ უფრო იაფია, ვიდრე ადგილობრივი წარმოების.




B2

## Nike და Apple სპორტსმენებს სპეციალურ პროდუქციას სთავაზობს




## მიკროსესხებზე მოთხოვნა იზრდება

### მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო პორტფელი 23 მილიონ ლარს აჭარბებს

ნინო ნარჩემაშვილი, ნინო ნატროშვილი

*საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში განვითარებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა ბევრი მოქალაქე აიძულა, გადარჩენის გზა ინდივიდუალურ მეწარმეობაში ეძებნა. ბუნებრივია, მათ უმრავლესობას საკუთარი საქმის დაწყება სესხით მოუხდა. მცირე სესხები სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.*

**საქართველოში არსებული სტანდარტული მიკროსაფინანსო პაკეტი დაახლოებით ასე გამოიყურება: სესხის მისაღებად საჭიროა არანაკლებ 3-თვიანი გამოცდილება არსებულ საქმიანობაში; სესხის ოდენობა 50 დან 15.000 დოლარამდეა; საპროცენტო განაკვეთი 2% - 4 %; სესხის ხანგრძლივობა 3 თვიდან 2 წლამდე.**

**საბანკო სესხები პირობითად ასეა დაყოფილი: სამომხმარებლო - 2000 ლარამდე, მცირე ბიზნესსესხები - ორი ათასიდან 20 ათას ლარამდე, საშუალო ბიზნესსესხები - 20 ათასი ლარიდან 50 ათას ლარამდე, და კორპორატიული ანუ მსხვილი ბიზნესსესხები - 50 ათასის ზევით.**

B4

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3558 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9987 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4902 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8000 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8399 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1833 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3104 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3125 |
| 1 | ევრო | EUR | 2,3135 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4789 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3462 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1889 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1620 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3970 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1968 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2489 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4009 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6161 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2609 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6257 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3699 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2959 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5852 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6047 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0667 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1400 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4120 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5592 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4737 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5842 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8796 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2249 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1467 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4427 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2481 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4948 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0819 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2245 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2321 |




## "ტოიოტა ნორთ ამერიკა"



**შარშან მხოლოდ თავისი მარკით, "ტოიოტამ" 7.36 მილიონი ავტომობილი აწარმოა. შედარებისთვის, "ჯენერალ მოტორსის" შესაბამისმა მაჩვენებელმა 9.05 მილიონი ავტომობილი შეადგინა. ჯიმ პრესი აცხადებს, რომ თავის მთავარ მიზნად "ტოიოტას" სამ ჩრდილოამერიკული შტოს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას ისახავს.**

B3

## ბანკირი ლიკვიდური აქტივების დაბრუნებისთვის იბრძვის

### წარმატებული ბიზნეს-ქეისი

*ქართული ღვინისა და მინერალური წყლების აკრძალვას რუსეთში, ავტორიტეტული ეკონომიკური გამოცემა "ფაინენშლ თაიმსი" გამოეხმაურა. სტატია, რომელიც ბადრი ჯაფარიძესთან ინტერვიუზე დაყრდნობით ანალიტიკურმა მიმომხილველმა გენადი ოსტროვსკიმ მოამზადა, მაისის მე-2 დეკადაში გამოქვეყნდა.*

**რამდენიმე წელია, რაც საქართველოში საბანკო სექტორმა საკრედიტო ბუმს მიღწია, ყოველწლიურად ზრდის მაჩვენებელმა 35-40 პროცენტს გადააჭარბა. ექსპერტთა გათვლებით, ახლო მომავალში საბანკო და საფინანსო მომსახურება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი გახდება. ბადრი ჯაფარიძის თქმით, "თიბისი ბანკს" მეზობელი ქვეყნების - აზერბაიჯანისა და თურქეთის - ფინანსური აქტივების მართვის უზრუნველყოფაც შეუძლია.**



ბადრი ჯაფარიძე

B2

## პრეზიდენტის მრჩეველი თბილისში ჩამოვიდა

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში, ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარტ ლაარი ოთხშაბათს თბილისში ჩამოვიდა. მარტ ლაარი საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის პოსტზე რამდენიმე კვირის წინ დაინიშნა. როგორც მან თბილისში ჩამოსვლისას ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს პრეზიდენტთან და მთავრობასთან კონსულტაციების გასამართად იგი საქართველოში პერიოდულად ჩამოვა. ლაარი იმედოვნებს, რომ საქართველოს მთავრობა შეასრულებს მის საკმაოდ რადიკალურ რეკომენდაციებს. მარტ ლაარის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში ესტონეთში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გატარდა, რისი წყალობითაც ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყნად გარდაიქმნა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ბრიტანელი ბიზნესმენები საქართველოში ტურიზმის განვითარებით დაინტერესდნენ

დიდ ბრიტანეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ბრიტანეთის ბიზნესაქტივობის ცენტრში - ლონდონსიტიში ქალაქის ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრა ორგანიზებული იყო მსოფლიოში ცნობილი კონსალტინგური კომპანიის "დიელეის" მიერ და მას ლონდონის წამყვანი ბიზნესმენები ესწრებოდნენ. მხარეებმა განიხილეს საქართველოში არსებული მდგომარეობა და ინვესტირების შესაძლებლობები. ბიზნესმენები განსაკუთრებით საქართველოში ტურიზმის სფეროს განვითარებით დაინტერესდნენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვდა, აგრეთვე, საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის მუდმივ მდივანს, სერ სუმა ჩაკრაბატის და დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილესა და საპარლამენტო მდივანს საერთაშორისო განვითარების საკითხებში გარეტ ტომასს. განიხილეს დეპარტამენტის საქმიანობა საქართველოში, რომელიც, ძირითადად, სიღარიბის დაძლევის, ინსტიტუციონალური აღმშენებლობისა და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაზე მუშაობს. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დეპარტამენტი ასევე ახორციელებს სპეციალურ პროგრამებს, რომლებიც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური აღმშენებლობისკენ არის მიმართული. ბრიტანული მხარის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების წარმატებული მუშაობისა და ქვეყანაში გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, დეპარტამენტი პროექტების რიცხვის ეტაპობრივ შემცირებას აპირებს, რადგან ისინი გათვლილია ღარიბ ქვეყნებზე. თუმცა, აღინიშნა, რომ საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი კვლავაც მიიღებს მონაწილეობას საქართველოში იმ პროექტების განხორციელებაში, რომელიც მსოფლიო ბანკისა და ევროპის კავშირის მიერ იქნება ინიცირებული. **მედიანიუსი**

## პარლამენტმა კანონპროექტი დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა ერთხმად, 127 ხმით დაამტკიცა კანონპროექტი "2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ", რომლის მიხედვითაც, 2006 წელს ბიუჯეტი 184,2 მილიონი ლარით გაიზარდა.

კანონპროექტი დეპუტატებს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა წარუდგინა. ცვლილებების მიხედვით, რიგი სამინისტროები და დარგები დამატებით დაფინანსებას მიიღებენ. კერძოდ, ენერგეტიკის სამინისტროს დამატებით 46 მლნ. ლარი გამოეყო, ჯანდაცვის სამინისტროს - 20 მლნ. ლარი, საგზაო დეპარტამენტს - 17,3 მლნ. ლარი, თბილისის მერიას - 20 მლნ. ლარი, იუსტიციის სამინისტროს - 25 მლნ. ლარი, შინაგან საქმეთა სამინისტროს - 20 მლნ. ლარი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს - 7,3 მლნ. ლარი, საქართველოს რეგიონებს - 5 მლნ. ლარი, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს - 5,3 მლნ. ლარი, ეროვნულ ბიბლიოთეკას კი - 135 ათას ლარი.

## გია არსენიშვილი რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა

შპს "საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ გია არსენიშვილი დაინიშნა. მან თანამდებობაზე მიხეილ ხმალაძე შეცვალა.

გია არსენიშვილი ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და კავშირგაბმულობის აკადემიის ნამდვილი წევრია, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიასა და უნგრეთში, სლოვენიას, სლოვაკეთსა და ჩეხეთში. იგი დღემდე გაერთიანებული ტელეკომის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობდა, რომლის პრივატიზება სულ ცოტა ხნის წინ წარმატებით განხორციელდა და მაღალ ფასად - 90 მლნ აშშ დოლარად გაიყიდა. როგორც "საქართველოს რკინიგზაში" მიიჩნევენ, სარეკორდო ფასი კომპანიის მომგებიანობამ და 2005 წლის ფინანსურმა მაჩვენებლებმა განსაზღვრეს, რაც სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის წარმატებული მუშაობის შედეგი იყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ზურაბ ნოღაიდელი ბრიტანეთის პოლიტიკურ და ბიზნესელიტას ხვდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ოთხშაბათს დიდ ბრიტანეთში ვიზიტის ფარგლებში ბრიტანეთის პოლიტიკურ და ბიზნესელიტას ხვდება.

დაგეგმილია ზურაბ ნოღაიდელის შეხვედრები ნატოს ყოფილ გენერალურ მდივანთან ლორდ ჯორჯ რობერტსონთან, ბრიტანეთის პარლამენტში ზურაბ ნოღაიდელს უმასპინძლებს ჩრდილოვანი კაბინეტის საგარეო საქმეთა მინისტრი ლიბერალ-დემოკრატიული პარტიიდან მაიკლ მური.

აპარატის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი ლონდონის მერს ალდერმან დევიდ ბრიუერს და ლონდონში მოღვაწე ბიზნესმენებს შეხვდება. ოთხშაბათსვე ზურაბ ნოღაიდელი კომპანია Merrill Lynch -ს ეწვევა, სადაც საქართველოში ინვესტირების შესაძლებლობებს განიხილავენ.

აღნიშნული კომპანია მსოფლიოს წამყვანი ფინანსური, საინვესტიციო და კონსალტინგური კომპანიაა, რომელიც 36 ქვეყანაში მოქმედებს და მისი საერთო აქტივები დაახლოებით 1,6 ტრილიონ დოლარს შეადგენს.

## როდის გაუთავდება გაზი "გაზპრომს"?

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს დირექტორი კლიდ მანდილი რუსეთს მიმდინარე ათწლეულის ბოლოსათვის გაზის დეფიციტს უწინასწარმეტყველებს.

მისი თქმით, "გაზპრომმა" მეტი ყურადღება ინვესტიციებს უნდა მიაქციოს, რუსეთის ხელისუფლებამ კი - გაზის მინოპოლისტის კონტროლს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ბანკირი ლიკვიდური აქტივების დაბრუნებისთვის იბრძვის

1992 წელს, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ სისხლიანი სამოქალაქო ომის შედეგებს იმკიდა და შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევას ცდილობდა, **ბადრი ჯაფარიძემ,** განათლებით ფსიქოლოგმა და მისმა ბიზნესპარტნიორმა **მამუკა ხაზარაძემ** ბანკის გახსნა გადაწყვიტეს. მათი საწყისი კაპიტალი მხოლოდ 500 დოლარს შეადგენდა. თუმცა, დღეს მათ მიერ დაფუძნებული **"თიბისი ბანკი"** ერთ-ერთი უმსხვილესია საქართველოში და ქვეყნის დეპოზიტების მესამედსა და 420 მილიონი დოლარის აქტივებს ფლობს.




შარშან, თებერვალში "თიბისი ბანკმა" ახლად აღდგენილ შენობაში დაიდო ბინა. შენობის რეკონსტრუქცია **საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიამ ("ჯიარდისი")** განახორციელა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბადრი ჯაფარიძეა. "ჯიარდისი" ინვესტირებას თბილისის ცენტრში, პრესტიჟულ ადგილას განთავსებულ უძრავ ქონებაში ახდენს. ამჟამად, კომპანია "თიბისი ბანკის" მიმდებარე ტერიტორიის განვითარებაზე ზრუნავს.

რამდენიმე წელია, რაც საქართველოში საბანკო სექტორმა საკრედიტო ბუმს მიაღწია, ყოველწლიურად ზრდის მაჩვენებელმა 35-40 პროცენტს გადააჭარბა. ექსპერტთა გათვლებით, ახლო მომავალში საბანკო და საფინანსო მომსახურება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი გახდება. ბადრი ჯაფარიძის თქმით, "თიბისი ბანკს" მეზობელი ქვეყნების - აზერბაიჯანისა და თურქეთის - ფინანსური აქტივების მართვის უზრუნველყოფაც შეუძლია.

ცნობისათვის, "თიბისი ბანკის" 31 პროცენტს მსოფლიო ბანკის საინვესტიციო "საყრდენი" - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ფლობს. კორპორაციამ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საბჭოთა პერიოდის ორი ბანკი შეისყიდა. **"მართალია, ამ ბანკებს ახლად შექმნილი ბანკებისგან განსხვავებით დიდი უპირატესობა გააჩნდათ, კერძოდ, მათი ფილიალების ქსელი პოსტსაბჭოურ სივრცეში უკვე არსებობდა, მაგრამ ჩვენი უპირატესობა და წარმატება განპირობებულია იმით, რომ ფილიალები გავხსენით იქ, სადაც რეალური განვითარების პერსპექტივები დავინახეთ,"** - აღნიშნავს **ბადრი ჯაფარიძე.** ამავდროულად, ბატონ ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ "თიბისი ბანკის" უდიდეს და ეფექტურ აქტივს მისი რეპუტაცია წარმოადგენს.

**"დღეს უკვე დამკვიდრებული ნდობისა და პატივისცემის მოსაპოვებლად 10 წელი დაგვჭირდა. ჩვენ არასოდეს დაგვირღვევია ნაკისრი ვალდებულებები. დასაწყისში, რამდენიმე წლის განმავლობაში ბანკი საკუთარ აქციონერებს დივიდენდებს არ უხდიდა, მოგების თითოეულ თეთრს ბიზნესში აბანდებდა. ამ ეტაპზეც, მოგების 10 პროცენტზე მეტ დივიდენდებს არ ვიხდით,"** - განვლილ წლებს იხსენებს ბატონი ბადრი. ამასთან, მიანიშნებს, რომ 2003 წლიდან საქართველოში ბიზნესის წარმოება გამარტივდა, შემცირდა კორუფცია, გაიზარდა კრედიტებზე მოთხოვნა და ასე შემდეგ.

თუმცა, დღეს არსებობს კომპანია, რომლის მიმართ "თიბისი ბანკი" ზომაზე მეტად ლოიალურია. ეს არის ცნობილი, "ბორჯომის" მინერალური წყლების მწარმოებელი **"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია"**. ამგვარი დამოკიდებულების მიზეზია ის, რომ ბატონი ბადრი "ბორჯომის" წყლის მწარმოებელი კომპანიის ვიცე-პრეზიდენტია და მის თანამფლობელადაც გვევლინება. მისთვის სესხის გაცემა, ჩვენი მხრიდან "ცუდი პრაქტიკა" იქნებოდაო, - გულახდილობს ბანკირი.

ბადრი ჯაფარიძე "ბორჯომის" მწარმოებელ კომპანიაშიც მენეჯმენტის იმავე პრინციპებს ეყრდნობოდა, რასაც "თიბისი ბანკში" წლების განმავლობაში იყენებდა, და არცთუ წარუმატებლად. "ბორჯომი" პოსტსაბჭოურ სივრცეში ერთ-ერთ საუკეთესო და აღიარებულ ბრენდს წარმოადგენდა, წარმოება 480 მილიონ ბოთლს აღწევდა, მოგვიანებით კი, 1995 წელს წარმოება 5 მილიონამდე დაეცა. **"ბაზარი კონტრაბანდული პროდუქციით გაივსო,"** - შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე საუბრობს ბადრი ჯაფარიძე. თუმცა, მოგვიანებით, "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ" შეძლო ბრენდის კონსოლიდირება და რუსეთის ბაზრის დაბრუნება. უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში კომპანიის წარმოებამ პიკს მიაღწია. ქართულმა კომპანიამ რუსეთში კონტრაბანდული ბრენდების წინააღმდეგ ბრძოლაში მხარი დაუჭირა ცნობილ "ნესტლესა" და "პროქტერ ენდ გემბლის" კომპანიებს. დღეს სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. **"ჩვენი გათვლებით კონტრაბანდა ამ ეტაპზე 1 პროცენტზე ნაკლებია"** - აღნიშნავს ბატონი ბადრი.

ამის მიუხედავად, მაისიდან, რუსეთმა ქართული პოპულარული მინერალური წყლების "ბორჯომის" და "ნაბეღლავის" იმპორტი აკრძალა, მიზეზად კი ეტიკეტზე შეუსაბამო ინფორმაცია დასახელდა. თუმცა, რეალურად ეს იყო გაგრძელება იმ პროცესებისა, რომელიც რუსეთის მთავრობამ ქართული ღვინოს იმპორტის აკრძალვით დაიწყო. რუსეთის მთავრობის მხრიდან ამგვარ ქმედებას ქართული და რუსული საზოგადოების დიდი ნაწილი უარყოფითად შეხვდა და ამ ნაბიჯს პოლიტიკური გადაწყვეტილება უწოდა.

მართალია, რუსმა მომხმარებელმა, აკრძალვის მოლოდინში, "ბორჯომის" მინერალური წყალი მოიმარაგა და ქვეყანაში მისი რეალიზაცია დროებით გაიზარდა, რუსეთის ბაზრის დაკარგვამ კომპანიას სერიოზული დარტყმა მიაყენა. მნიშვნელოვანია, რომ რუსეთში "ბორჯომის" რეალიზაცია საერთო გაყიდვების 60 პროცენტს შეადგენდა.

კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი ფარ-ხმალს არ ყრის და აღნიშნავს: **"ჩვენ რუსეთის ბაზარზე ზედმეტად ვიყავით დამკვიდრებული, ახალა კი უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გამოვიჩინოთ, რომ ჩვენი პროდუქცია სხვა ქვეყნების ბაზრებზე გავიტანოთ. ჩვენ რამდენიმე კრიზისი უკვე გადავიტანეთ, შექმნილ მძიმე მდგომარეობას თავი დავაღწიეთ, და დარწმუნებული ვარ, მომავალში უფრო დიდ წარმატებებს მივაღწევთ."**

*არკადი ოსტროვსკი*
*ფაინენშლ თაიმსი*
*16 მაისი 2006 წელი*

## ყაზახეთში ქართული ღვინის გამოფენა გაიმართება

ყაზახეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის გამოფენის ჩატარება იგეგმება.

როგორც "ჯი-ეიჩ-ენისთვის" გახდა ცნობილი, გამოფენის ორგანიზატორი სოფლის მეურნეობის სამინისტრო იქნება.

ღვინის გამოფენა ივნისის თვეში ჩატარდება და მასში მონაწილეობის მიღების უფლება ყველა მსურველ ღვინის კომპანიას ექნება.

როგორც "ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში ქართული ღვინის ხარისხის დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა ლევან კობერიძემ აღნიშნა, ყაზახეთში ქართული ღვინის პრომოუშენი განსხვავებული პროგრამით ჩატარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მთავრობა ქართული ღვინის ცნობადობას ზრდის

უცხოურ ბაზრებზე ქართული ღვინის რეკლამირების მიმართულებით საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის აქტიურობა ძალიან მომგებიანია, - უთხრა პრაიმ-ნიუს ბიზნესს "ქართული ღვინის მწარმოებელთა ასოციაციის" თავმჯდომარემ და კომპანია GWS-ის მარკეტინგისა და გაყიდვების მენეჯერმა ლევან კობერიძემ.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლების ეს ნაბიჯები უცხოურ ბაზრებზე ქართული ღვინის ცნობადობას ზრდის.

ლონდონში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის მონაწილეობით ჩატარებულ ქართული ღვინის გამოფენას კობერიძე წარმატებულს უწოდებს, მაგრამ კონკრეტული ბიზნეს-შეთავაზებების შესახებ ქართული კომპანიებისთვის მისთვის ჯერ უცნობია.

კობერიძის თქმით, GWS-ის პროდუქცია ბრიტანეთში უკვე იყიდება.

ქართული ღვინის ალტერნატიულით ჩანაცვლება რუსულ ბაზარზე შესაძლებელია, მაგრამ მსოფლიოში არც ერთი ღვინო ქართულს არ ჰგავს.

შესაძლო ქვეყნებს შორის, რომელთაც ქართული ღვინის მიერ გამოთავისუფლებული სეგმენტის დაკავება შეუძლია, ლევან კობერიძემ ავსტრალია, ახალი ზელანდია და ჩილე დაასახელა.

ჰონგ-კონგში მიმდინარე ღვინის გამოფენაზე პორტუგალიური ღვინის მწარმოებელთა ასოციაციის წარმომადგენელმა ბერნანდო გუერვამ განაცხადა, რომ ქართული და მოლდოვური ღვინის სეგმენტის ათვისებას რუსულ ბაზარზე პორტუგალიური კომპანიები შეეცდებიან.

მისივე თქმით, ჩინურ ბაზარზე ქართული და მოლდოვური ღვინის მწარმოებლებს არავითარი შანსი არ აქვთ, რადგან ჩინეთში იმპორტირებულ ღვინოზე ყოველწლიურად მოთხოვნები მკაცრდება, ბაზარი კი ძირითადად ჩინურ კომპანიებს უკავიათ.

ლევან კობერიძის ინფორმაციით, ჰონგ-კონგის გამოფენაში არცერთი ქართული კომპანია არ არის წარმოდგენილი.

# ქართული ღვინო იაპონურ ბაზარზე

პირველი გვერდიდან

ილუზია, რომ იაპონიის ან ნებისმიერი ქვეყნის ბაზარი ერთბაშად შეცვლის რუსულს, არც ერთ ქართველ მეღვინეს არ აქვს. თუმცა იაპონიაში ამ რამდენიმე კვირის წინ გამართულმა კვების პროდუქტების საერთაშორისო გამოფენამ ქართული ღვინის ის რამდენიმე უპირატესობა გამოკვეთა, რაც ადგილობრივ მეწარმეებს ამ ბაზრის იოლად დაპყრობაში დაეხმარება.

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიაში ადგილობრივი ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის - ღვინის, წარმოება ყოველ წელს იზრდება, ამ ქვეყანაში იმპორტირებულ ღვინოზე მოთხოვნა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით მატულობს. მარტივი შედარებისთვის: თუკი გასულ წელს იაპონიაში ერთ სულ მოსახლეზე 100 ლიტრი ადგილობრივი, ხოლო 160 ათასი ლიტრი იმპორტირებული ღვინის მოხმარება დაფიქსირდა, წელს იგივე მაჩვენებლები, წინასწარი გათვლებით, შესაბამისად, 120 და 270 ლიტრს მიაღწევს.



საქართველოს ეროვნული კულტურისა და ვაჭრობის ცენტრის წარმომადგენელი დავით ზარიძე ფიქრობს, რომ ახლა სწორედ ის დროა, როცა ქართველი მეღვინეები უნდა გააქტიურდნენ და საკუთარი ნიშა იაპონიაშიც მოძებნონ. ის იაპონელი კოლეგების დახმარებით იქაურ ბაზარს კარგად იცნობს და დარწმუნებით აცხადებს, რომ ადვილი შესაძლებელია, ქართულმა ღვინომ იაპონიის ბაზარზე ჩილესა და ავსტრალიის ნიშა დაიკავოს. ცნობისათვის: ხსენებული ქვეყნები იაპონიაში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ღვინის მეოთხე და მეხუთე იმპორტიორები არიან, საფრანგეთის, იტალიისა და აშშ-ს შემდეგ.

ერთი შეხედვით, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ იმპორტირებული ღვინო იაპონიაში სამჯერ უფრო იაფია, ვიდრე ადგილობრივი წარმოების. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ იზრდება იმპორტირებული ღვინის რეალიზაცია ამომავალი მზის ქვეყანაში.

დავით ზარიძე ამბობს, რომ ქართულმა ღვინომ, და განსაკუთრებით - ცქრიალა ღვინომ, იაპონელი პროფესიონალების დიდი მოწონება დაიმსახურა. ტოკიოში ჩატარებულ კვების მესამე საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც დაახლოებით 30 დასახელების ქართული ღვინო სამმა კომპანიამ - "ბაგრატიონი 1882", სს "შუმმა" და სს "ვაზიანმა" წარმოადგინეს, 79 სახელმწიფოს 2500-მდე კომპანია ღებულობდა მონაწილეობას. ოთხი დღის განმავლობაში გამოფენა 100 ათასამდე პროფესიონალმა დამთვალიერებელმა მოინახულა.

**"საქართველოს მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების დიდი ისტორია გააჩნია. ქართულმა, განსაკუთრებით, ცქრიალა ღვინოებმა დამთვალიერებლების ყურადღება დაიმსახურეს. ვფიქრობთ, რომ ამ პროდუქტის მაღალი ხარისხი და ხელმისაწვდომი ფასი მომავალში იაპონიის ბაზარზე დიდ მოთხოვნას გამოიწვევს... ყოველივე ამის გათვალისწინებით შევეცდებით, ქართულ ღვინოს რეკლამა გავუკეთოთ,"** - ეს რამდენიმე ციტატაა იმ სპეციალური საინფორმაციო ბუკლეტიდან, რომელიც იაპონიაში, ხსენებული გამოფენის შემდეგ დაიბეჭდა. ეს ბუკლეტი კვების საერთაშორისო გამოფენის შედეგებს აჯამებს და ის გამოფენის ორგანიზატორებმა ამ ცოტა ხნის წინათ გამოსცეს.

ხელმისაწვდომი ფასი - ეს ქართული ღვინის კიდევ ერთი უპირატესობაა, რაც, ექსპერტების თქმით, ქართულ მეწარმეებს იაპონიის ბაზრის დაპყრობაში მნიშვნელოვნად დაეხმარება.

"ბაგრატიონი 1882"-ის საექსპორტო გაყიდვების მენეჯერი ზურა ღამბაშიძემ "24 საათთან" საუბრის დროს ამბობს: **"იაპონიაში ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროდუქციიდან განსაკუთრებით მოეწონათ "ბაგრატიონი ვარდი". თითქმის ყველამ აღნიშნა, რომ ის ვიზუალურად და გემოთიც ძალიან ჰგავს ერთ-ერთ იაპონურ ცქრიალა ღვინოს. თუმცა მათ ისიც დააფიქსირეს, რომ ჩვენი პროდუქტი გაცილებით იაფია, ვიდრე მათი (იაპონური)."** აღნიშნულ პროდუქციაზე იაპონელების მხრიდან დაკვეთას "ბაგრატიონი 1882" სექტემბრამდე ელოდება.

სამაგიეროდ, "ვაზიანმა" ცქრიალა ღვინო "ოქროზე" ერთ-ერთი იაპონელი მსხვილი დისტრიბუტორისგან მცირე დაკვეთა რამდენიმე დღის წინ მიიღო. კომპანიის მარკეტინგის მენეჯერის ნინო ახვლედიანის თქმით, **"უკვე მზად არის იაპონიაში გასაგზავნი პარტია, რომელსაც ამ დღეებში გავგზავნით. ახლა მხოლოდ თანხის ჩარიცხვას ველოდებით."**

დავით ზარიძის ინფორმაციით, კიდევ ერთ, დიდ და ადგილობრივ ბაზარზე ძალიან ცნობილ, იაპონურ კომპანიას, რომელიც 1670 წელს არის დაარსებული, უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ პირველ წელს საკუთარ ქვეყანაში 1000 ლიტრ ქართულ ღვინოს შეიტანს, მომდევნო წელს კი - 2000-ს. ზარიძის თქმით, იაპონიის ბაზარს ერთბაშად გაუჭირდება იმ მოცულობით ღვინის შთანთქმა, რასაც რუსული ბაზარი მოიხმარდა, მაგრამ გარკვეული ნაწილის განთავსება აქ ადვილი შესაძლებელია. **"ეს ჩვეულებრივი პროცედურაა. ნებისმიერ მწარმოებელს რომ ჰკითხოთ, ასე დაიწყეს მათ რუსული ბაზრის დაპყრობა. თითქმის 10 წელი დასჭირდათ იმისათვის, რომ რუსულ ბაზარზე იმ მოცულობით გაჩენილიყო მოთხოვნა, რაც ბოლო დროს იყო,"** - უთხრა "24 საათს" დავით ზარიძემ.

## ქართული და მოლდავური ღვინოების აკრძალვის შემდეგ აზერბაიჯანიდან რუსეთში ღვინის ექსპორტი გაიზარდა

რუსეთის მიერ ქართული და მოლდავური ღვინოების იმპორტის აკრძალვა, აზერბაიჯანელ ღვინის მწარმოებლებს დიდ პერსპექტივებს უქმნის, - ამის შესახებ აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" ზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ისმეთ აბასოვმა განუცხადა.

მინისტრის განმარტებით, რუსეთის მიერ ქართულ და მოლდავურ ღვინოებზე ემბარგოს დაწესების შემდეგ აზერბაიჯანული ღვინის ექსპორტი რუსეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

რაც შეეხება ქართული ღვინის იმპორტის ზრდას აზერბაიჯანში, აბასოვმა განაცხადა, რომ ამის საჭიროება აზერბაიჯანულ ბაზარზე ჯერჯერობით არ არსებობს.

"აზერბაიჯანში საკმარისი რაოდენობის ღვინის ქარხნებია, რომლებიც მაღალი ხარისხის ღვინოებს აწარმოებენ"-განაცხადა მინისტრმა.

## Nike და Apple სპორტსმენებს სპეციალურ პროდუქციას სთავაზობს

მსოფლიოში ცნობილი ორი ბრენდი - სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელი ფირმა Nike და კომპიუტერული კომპანია Apple თანამშრომლობის შესახებ ალაპარაკდა. გაერთიანების შედეგად ისინი მორბენლებს მომსახურების ახალ ვარიანტს შესთავაზებენ.

ცნობილი ბრენდები, თავიანთი პროდუქციის შერწყმის შედეგად, ერთიან სისტემას შექმნიან. ასე, რომ Nike-ის სარბენი ბუცები და კომპანია Apple-ის iPod Nano-ს მუსიკალური ფლეერები მალე ერთობლიობაში მოგვევლინება.

კომპანიების ეს ნოვაცია სპორტსმენებს ვარჯიშის დროს სასურველი მუსიკის მოსმენაში დაეხმარება და ამასთან ერთად, გავლილი მანძილის მეტრაჟის გაგებაში, დამწვარი კალორიებისა და განვითარებული სიჩქარის დადგენაშიც დაეხმარება.

ფირმა Nike ასევე სპეციალურ სპორტულ ტანსაცმელზეც მუშაობს, რომელიც iPod-ის მოწყობილობით იქნება აღჭურვილი. "ჩვენ ვიცით, რომ ამ ორი ბრენდის გაერთიანება ორივე ფირმას დიდ წარმატებას მოგვიტანს",- აცხადებს Nike-ის გლობალური მენეჯმენტის ვიცე-პრეზიდენტი ტრევორ ედვარდსი. შეგახსენებთ, რომ ფირმა Nike-მა ერთხელ უკვე სცადა ჰოლანდიურ ელექტრონულ კომპანია Phillips-სთან თანამშრომლობა, თუმცა ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ამის შემდეგ კი Nike-მა კომპანია Apple-თან დაიწყო მოლაპარაკებები.

ფირმების პირველ ამ ერთობლივ ბოტასს Air+Zoom Mojre-ს დაარქმევენ. ეს დამატებითი მოწყობილობა დაახლოებით 29 დოლარი ეღირება და გაყიდვაში უახლოესი ორი თვის გამნავლობაში გამოვა. ბოტასების ამ მოწყობილობის შემადგენლობაში ფლეერთან დამონტაჟებული მიმღებიც იქნება განთავსებული. ინფორმაცია აიპოდის ეკრანზე გამოჩნდება, ხოლო მუსიკას მომხმარებელი ყურსასმენის მეშვეობით მოისმენს. ვარჯიშის დასრულების შემდეგ კი სპორტსმენი მიღებულ ინფორმაციას ინტერნეტ-დღიურში გადატვირთავს.

## Levi Strauss-მა iPod-ისთვის სპეციალური ჯინსები გამოუშვა

კომპანია Levi Strauss-ის დიზაინერებმა ახალი ჯინსები გამოიგონეს, რომლებიც მომხმარებელს iPod-ის მუსიკალური ფლეერების ადვილად მოხმარების საშუალებას მისცემს.

RedWire DLX-სერიის ჯინსების ჯიბეებში დისტანციური მართვის ბაზა და ყურსასმენი იქნება დამონტაჟებული.

ახალი თაობის ჯინსები აგვისტოში გამოვა და როგორც ცნობილია, 200 დოლარი ეღირება.

კომპანია Levi Strauss-ი პირველი არ არის, ვინც iPod -თან ერთად ერთობლივი ტანსაცმლის გამოშვება დაიწყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის პირველია, ვინც ასეთი ჯინსები გამოუშვა.

ახალი თაობის ჯინსების ამსახველი ფოტოები კომპანიას ჯერ არ გაუვრცელებია. და არც ის არის ცნობილი, თუ როგორ უნდა გარეცხოს მომხმარებელმა ტანსაცმელი.

მსოფლიო ბაზარზე iPod-ფლეერის გამოშვების დღიდან დაახლოებით 42 მილიონი მუსიკალური ფლეერი გაიყიდა. "iPod-ბუმმა" კი ფლეერებისთვის აუცილებელი აქსესუარების წარმოებასაც შეუწყო ხელი.

Levi Strauss-მა კომპანიაში სიახლეები მას შემდე წამოიწყო, რაც ბოლო წლებში პროდუქციის გაყიდვები საგრძნობლად შემცირდა, ხოლო წარმოების ღირებულება კი გაიზარდა. იმისთვის, რომ დანახარჯები შეემცირებინა, კომპანიის ხელმძღვანელობამ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე თავისი ბოლო ფაბრიკაც კი დახურა.



# "ტოიოტა ნორთ ამერიკა" - უფრო ავტონომიური და "უფრო ამერიკული"

მერაბ ლორთქიფანიძე

იყო დრო, როცა ამერიკელები იაპონურ ავტომობილებს და მათ პატრონებს ალმაცერად, დამცინავად უყურებდნენ. შემდეგ იაპონელებმა აშშ-ის ბაზარზე ფეხი მოიკიდეს და იქაური ავტომწარმოებლების შევიწროება დაიწყეს.

ამას მოჰყვა ამერიკელ მყიდველში პატრიოტულ გრძნობათა გაღვიძება - ერთი პერიოდი მიჩნეული იყო, რომ ყოველი ახალი იაპონური ავტომობილის ყიდვა, ამერიკულ ავტოქარხანაში მომუშავეებისთვის, გადასახადების ამერიკელი გადამხდელებისთვის შემოსავლის ნაწილის წართმევის ტოლფასი იყო.

მაგრამ, იაპონური საავტომობილო ექსპანსია ვერც ასეთმა პატრიოტიზმმა შეაჩერა.

ამომავალი მზის ქვეყნის ავტობიზნესმენთა შემდეგი ნაბიჯი იყო აშშ-სა და ჩრდილოეთ ამერიკაში საავტომობილო ქარხნების და რა თქმა უნდა, ამერიკული ფილიალების, ნაწილობრივ დამოუკიდებელი კომპანიების დაარსება. თუმცა, ასეთი კომპანიების სამოქმედო პოლიტიკას მაინც იაპონური სათავო კომპანიები განსაზღვრავენ.

როგორც ჩანს, ეს ეტაპიც უკვე გავლილია. ყოველ შემთხვევაში, ამის თქმა შეიძლება მას შემდეგ, რაც "ტოიოტამ" თავის ჩრდილოამერიკულ შტოს ახალი, ამერიკელი შეფი დაუნიშნა, ვინც მაშინვე გამოაცხადა, რომ დღეიდან, "ტოიოტა ნორთ ამერიკა" ბაზარზე ავტონომიურად იმოქმედებს და ფაქტობრივად, ამერიკული კომპანია იქნებაო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან "ტოიოტას" ამერიკელი მყიდველის უმეტესობა ამერიკულ კომპანიად აღიქვამს და ბუნებრივია, მისი განვითარებითაც იქნება დაინტერესებული.

"ტოიოტა მოტორ ნორთ ამერიკას" ახალი პრეზიდენტის სახელია ჯიმ პრესი, ვინც მანამდე კომპანიის ჩრდილოამერიკული დივიზიონის გაყიდვების ოპერაციების პრეზიდენტის პოსტზე მუშაობდა. სხვათა შორის, ის პირველი ამერიკელი მენეჯერია, ვინც "ტოიოტამ" თავისი ამერიკული შტოს ხელმძღვანელად დანიშნა.

"ჩვენი კომპანიის ჩრდილოამერიკული შტო უფრო დამოუკიდებელი და ავტონომიური გახდება. ტოკიოში სურთ, რომ ჩვენ უფრო ხშირად და თამამად მივიღოთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები", - დანიშვნისთანავე განაცხადა პრესმა. ახალი შეფის თქმით, "ტოიოტას" სურს, რომ ამერიკელ მყიდველს თავისი ნაწარმი ამერიკულ პროდუქციად წარუდგინოს, მეტი წვლილი შეიტანოს აშშ-ის ეკონომიკის განვითარებაში და რაც მთავარია, აწარმოოს პროდუქცია, რომელიც პირველ რიგში, ამერიკელი მომხმარებლის მოთხოვნებს შეესაბამება.

იმას რაც პრესმა თავისი დანიშვნიდან პირველივე პრესკონფერენციაზე თქვა, უკვე დიდი ხანია, პრაქტიკაში ახორციელებს იაპონური ავტოგიგანტი, რომლის კაპიტალიზაციამაც ახლახან 200 მილიარდი დოლარი შეადგინა (ამ მხრივ,




ჯიმ პრესი.



მას ბადალი არ ჰყავს მსოფლიოს ავტოკომპანიებს შორის) და რომელიც წელს თუ არა, მერმის მაინც, გაყიდვების მოცულობით უკან მოიტოვებს "ჯენერალ მოტორსს" და მსოფლიოს ლიდერი გახდება.

"ტოიოტა მოტორ ნორთ ამერიკას" უახლოეს გეგმებში შედის ახალი ავტოამწყობი ქარხნის მშენებლობის დასრულება შტატ ტექსასში. ამ ქარხანაში დამზადდება პიკაპი (ეს კლასი ყველაზე პოპულარულია აშშ-ში) "ტუნდრა". გარდა ამისა, აშენდება ძრავების მწარმოებელი ახალი ქარხანა და ტექნიკური ცენტრი (შტატ მიჩიგანში, კერძოდ კი დეტროიტის სიახლოვეს).

ჯიმ პრესთან ერთად, დაწინაურდა "ტოიოტას" ჩრდილოამერიკული შტოს გაყიდვების დივიზიონის ყოფილი თავმჯდომარე და მთავარი აღმასრულებელი იუკი ფუნო, რომელიც ამიერიდან "ტოიოტა მოტორ ნორთ ამერიკას" თავმჯდომარე და მთავარი აღმასრულებელი იქნება. ორივე დანიშვნა მოგვიანებით იყო დაგეგმილი, მაგრამ მას შემდეგ დაჩქარდა, რაც "ტოიოტამ" თანამდებობა დაატოვებინა სექსუალურ ძალადობაში მხილებულ თავის ტოპ-მენეჯერს - ყოფილ მთავარ აღმასრულებელ ჰიდეაკი ოტაკას ერთ-ერთი ქალი თანამშრომელი ბრალს სდებს მის წინააღმდეგ გამოყენებულ სქესობრივ ძალადობაში და კომპენსაციის სახით, 190 მილიონ დოლარს მოითხოვს.

ჯიმ პრესი აცხადებს, რომ თავის მთავარ მიზნად "ტოიოტას" სამ ჩრდილოამერიკული შტოს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას ისახავს. ეს შტოებია: გაყიდვებისა და სერვისის, კონსტრუირებისა და წარმოების, ასევე კვლევისა და დიზაინის.

"ჩვენ ერთობლივად განვსაზღვრავთ პრიორტეტებს, დავსახავთ სამოქმედო გეგმას და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ჩვენი რესურსები. ამასთან, არ ვაპირებთ ამ სამი დივიზიონის შერწყმას", - ამბობს პრესი და დასძენს, რომ შესაძლოა, მალე ამერიკელი მენეჯერები სხვა საპასუხისმგებლო პოსტებზეც დანიშნონ.

პრესმა ასევე დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ტოიოტა" აშშ-ში პოპულარულ მოდელ "პრიუსის" ჰიბრიდული ვარიანტის წარმოების დაწყებას აპირებს. თუმცა, არ დაუზუსტებია, თუ როდის მოხდება ეს.

შეგახსენებთ, რომ "ტოიოტა" მსოფლიოს ლიდერია ჰიბრიდული აგრეგატებით აღჭურვილი ავტომობილების წარმოებაში. ამასთან, კომპანია იმედოვნებს, რომ 2010 წლისთვის ჰიბრიდული ავტომობილების გაყიდვების მოცულობას მილიონამდე გაზრდის.

P.S. იაპონურმა გაზეთმა "იომიური დეილიმ" გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ "ტოიოტას" ხელმძღვანელობა განიხილავს ოთხი ახალი ქარხნის მშენებლობის საკითხს. წინასწარი გეგმით, ეს ქარხნები აშშ-ის შტატ ტექსასში, საფრანგეთში, ჩინეთსა და ინდოეთში უნდა აშენდეს. მათი მწყობრში ჩადგომის შემდეგ კი 2010 წლისთვის "ტოიოტას" წარმოების მოცულობა წლიურად ათ მილიონ ავტომობილამდე გაიზრდება.

იაპონური ავტოგიგანტი ახლა უკვე აშენებს 6 ახალ ქარხანას, მაგრამ პროგნოზებით, მაინც ვერ შეძლებს მის პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას (ეს მაშინ, როცა ამერიკული კომპანიები ფასდაკლების წყალობითაც კი ძლივს ახერხებენ გაყიდვების ახლანდელი დონის შენარჩუნებას).

შარშან მხოლოდ თავისი მარკით, "ტოიოტამ" 7.36 მილიონი ავტომობილი აწარმოა. შედარებისთვის, "ჯენერალ მოტორსის" შესაბამისმა მაჩვენებელმა 9.05 მილიონი ავტომობილი შეადგინა.

გაზეთის ინფორმაციის როიტერთან კომენტირებისას, "ტოიოტას" პრესმდივანმა განაცხადა, რომ წარმოების გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. მანვე დაადასტურა, რომ წელს კომპანია მხოლოდ თავისი მარკით 8.1 მილიონი ავტომობილის წარმოებას გეგმავს.

ამ მომენტისთვის ახალი ქარხნები შენდება შტატ ტექსასში, ჩინეთის ქალაქებში - გუანჯოუსა და ტიანძინში, ტაილანდში, კანადასა და რუსეთში. ამ ქარხნებიდან, ტექსასური წელსვე ჩადგება მწყობრში, მეორე ქარხანა კი, თუ მისი მშენებლობა გადაწყდა, იმავე შტატში 2009 წლიდან ამოქმედდება. გარდა ამისა, იაპონური გიგანტი გუანჯოუში კიდევ ერთი ქარხნის აშენების პერსპექტივას განიხილავს. საფრანგეთში ახალი ქარხნის აშენებისთვის კომპანიის ხელმძღვანელობას ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქი ვალენსიენი აქვს შერჩეული. რაც შეეხება ინდოეთს, პერსპექტივაში, აქ აშენდება ქარხანა, რომელიც პირველი დაიწყებს ახალი, იაფფასიანი ავტომობილის წარმოებას.

# სარეკლამო ბიზნესის თაღლითები

საერთაშორისო სარეკლამო ბაზარზე თაღლითობა ჰყვავის. არალეგალური ბიზნესის შემოსავლები მილიარდ დოლარს ითვლის. ექსპერტები აცხადებენ, რომ სარეკლამო ბიზნესში მიმდინარე თაღლითობა მსოფლიო ეკონომიკას კოლოსალურ ფინანსურ ზიანს აყენებს. ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებმა დამნაშავეებს თვითნებურად ერთი მილიარდი დოლარი მისცეს. ამერიკაში არაკეთილსინდისიერმა სარეკლამო ბიზნესმა 2,8 მილიონზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა. ამით ყველაზე მეტად კი, რიგითი მოქალაქეები ზარალდებიან.

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ სარეკლამო ბაზარზე, ერთ წლის განმავლობაში მიმდინარე თაღლითობის ფაქტებზე დაიწყო მუშაობა. აღნიშნული ბრალდებით, ამერიკაში 139, კანადაში, კოსტა-რიკაში, ნიდერლანდებში და ესპანეთში კი 426 ადამიანი დააპატიმრეს.

შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრი ალბერტო გონსალესი აცხადებს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ საერთაშორისო სარეკლამო ბაზარზე განხორციელებული ეს ოპერაცია ყველაზე მასშტაბურია. ამერიკასთან ერთად ამ ოპერაციებში დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია და ნიგერიაც მონაწილეობს.

მიუხედავად დიდი წარმატებებისა, დანაშაულებრივი ბიზნესის სრული აღკვეთა საკმაოდ რთულია, რადგან ის მომხმარებლის ნდობის ფაქტორზეა დამოკიდებული. "თაღლითობის რესურსების ამოწურვა დაუსრულებელი პროცესია",- აღნიშნავენ სამინისტროს წარმომადგენლები.

"კრიმინალური სტრუქტურები ხშირად იყენებენ ტელემარკეტინგს, ინტერნეტს და ელექტრონულ ფოსტას, და ადამიანებს ფიქტიურ ბიზნესში ფულის ჩადების მიზნით იტყუებენ. აფერისტული ლატარეები, ტოტალიზატორები და ყალბი საკრედიტო ბარათები ადამიანებს ამ მაქინაციებში ითრევენ. სარეკლამო ტაღლითები ფიქრობენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში უკვალოდ იმოქმედებენ. თუმცა, კანადაში, ნიდერლანდებში და ესპანეთში ჩვენი "ვირტუალური სივრცის უსაფრთხოების" სამსახურები, რეაგირების ახალი მოდელის გამოყენებით, აფერისტების დაჭერას წარმატებით ახორციელებენ. "-აღნიშნავს იუსტიციის მინისტრი.

ჩინოვნიკის თქმით, სარეკლამო თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრუქტურები სპეციალურ ე.წ საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით, ადამიანებს ქსელური მარკეტინგის შესახებ ინფორმაციას მიაწვდიან და აცნობებენ, რომ ხშირ შემთხვევებში ისინი თაღლითობასთან არიან დაკავშირებულნი.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, დღესდღეობით, სარეკლამო ბაზარზე თაღლითობის ძალიან ბევრი ვარიანტია გავრცელებული. ამასთან ერთად, რეკლამის თაღლითები ცნობილი კომპანიების არაოფიციალურ ვებ-გვერდებსაც იყენებენ და ამ გზით კონფიდენციალურ ინფორმაციასა და საკრედიტო ბარათების ნომრებს გებულობენ.

გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ თაღლითების ნიგერიულმა დაჯგუფებამ 200 ამერიკელი მოატყუა და მათი ანგარიშიდან 1,3 მილიონი დოლარი უკანონოდ მიითვისა. აფერისტებმა გაავრცელეს ინფორმაცია განუკურნებელი ავადმყოფის მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც 55 მილონ დოლარს შეადგენდა. ისინი აცხადებდნენ, რომ მემკვიდრეობა დაიკარგებოდა, თუ ვერ მოხერხდებოდა მისი იურიდიულად გადაფორმება. ბევრი ამერიკელი წამოეგო ამ ანკესზე და არარსებულ მილიონებში მათ საკმაო თანხა გადაიხადეს.

## აშშ-ს ბირჟაზე მატება გაგრძელდა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა კვლავ ინფლაციის საშიშროების შემცირებამ და რამდენიმე დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლემ განაპირობა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,43 პროცენტით, 11.146,62 პუნქტამდე გაიზარდა. 0,63 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.172,27 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,39 პროცენტით, 1.261,45 პუნქტამდე გაიზარდა.

## ოპეკის კალათის" ფასმა ერთკვირიან მაქსიმუმს მიაღწია

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 71 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 71,76 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ისევე, როგორც გუშინწინ, ნავთობის გუშინდელი გაძვირების მიზეზი მოსალოდნელი შტორმების გამო მექსიკის ყურეში "შავი ოქროს" მოპოვების შემცირების საშიშროება გახდა.

შედეგად, "ოპეკის ნავთობის კალათის" ფასმა 64,45 დოლარი/ბარელი შეადგინა, რაც უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

"ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 68 დოლარი/ბარელი 2006 წლის 2 მაისს დაფიქსირდა.

## იტალიის ბიუჯეტი კატასტროფულ მდგომარეობაშია

იტალიის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვინჩენცო ვისკომ განაცხადა, რომ მიმდინარე წელს ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი 4,5 პროცენტს გადააჭარბებს. მისი თქმით, იტალიის ეკონომიკა გაცილებით კატასტროფულ ვითარებაშია, ვიდრე ბერლუსკონის მთავრობა იუწყებოდა.

ამგვარად, იტალიის ბიუჯეტის დეფიციტი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის დადგენილ მაქსიმალურ 3 პროცენტს გადააჭარბებს. ამასთან დაკავშირებით, ევროკავშირის კომისარმა ხოაკიმ ალმუნიამ რომანო პროდის მთავრობას ბიუჯეტის დეფიციტის კონტროლისაკენ მოუწოდა.

თუ იტალია ბიუჯეტის დეფიციტის სათანადო დონეზე შენარჩუნებას ვერ მოახერხებს, მის წინააღმდეგ ევროკავშირმა, შეიძლება, საჯარიმო სანქციები გამოიყენოს, რადგან 3-პროცენტიანი დეფიციტის გადაჭარბება ევროპული "სტაბილურობის პაქტის" დარღვევას ნიშნავს.

## 2007 წელს რუსეთის თავდაცვისათვის 800 მილიარდი დაიხარჯება



რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებით, მომავალ წელს ქვეყნის ბიუჯეტიდან თავდაცვისათვის 800 მილიარდი რუბლი (დაახლოებით 30 მილიარდი დოლარი) გამოიყოფა. ამასთან, მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს ქვეყნის შიდა პროდუქტის მოცულობის 2,6-2,7 პროცენტია.

მინისტრის თქმით, უახლოეს მომავალში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი გაიზრდება, მაგრამ ქვეყნის შიდა პროდუქტთან მიმართებაში იმავე თანაფარდობით დარჩება. ივანოვმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ამჟამად ჯარის შენახვისათვის - გამოყოფილი თანხის 60 პროცენტი, განვითარებისათვის კი 40 პროცენტი იხარჯება. 2010-2011 წლისათვის კი ეს თანაფარდობა სრულიად თანაბარი გახდება.

## ფერადი ლითონები სარეკორდოდ გაძვირდა

გუშინ ლონდონის სასაქონლო ბირჟაზე ფერად ლითონებზე ფასების სარეკორდო ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ტონა სპილენძი დღის განმავლობაში 880 დოლარით, 8460 დოლარამდე გაძვირდა. ამ ლითონზე ფასის ამგვარი მატება ისტორიაში პირველად დაფიქსირდა. ალუმინის ფასმა 110 დოლარით მოიმატა და 2870 დოლარი/ტონას მიაღწია, ნიკელი 1292 დოლარით, 22195 დოლარი/ტონამდე გაძვირდა, ხოლო 1 ტონა თუთიის ფასმა 220 დოლარით, 3550 დოლარამდე მოიმატა.

ესქპერტთა აზრით, ამის მიზეზი მსოფლიოში არსებული ეკონომიკური ბუმის ფონზე ფერად ლითონებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ და სპეკულიანტთა აქტიურობამ განაპირობა. მათი ვარაუდით, ფერადი ლითონების გაძვირების ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება.

## გამოხმაურება

გაზეთ "24 საათის" 2006 წლის 23 მაისის №112 (1264) ნომერში A3 გვერდზე, რუბრიკაში "ეკა კვესიტაძის სვეტი" დაიბეჭდა სტატია სათაურით "გაყალბებული სტატისტიკა დასავლური ინვესტიციების სანაცვლოდ."

სტატიაში ნათქვამია, თითქოს სტატისტიკის დეპარტამენტიდან რეკავენ სხვადასხვა საწარმოებში და სთხოვენ, დააფიქსირონ მათში დასაქმებულთა რიცხვი რამდენჯერმე გაზრდილი ოდენობით. ასევე, თითქოს სტატისტიკის დეპარტამენტი აქვეყნებს არა რეალურ მონაცემებს, არამედ მხოლოდ "ასრულებს გეგმას".

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ სტატისტიკის დეპარტამენტში ბოლო პერიოდში დაიწყო და დღესაც გრძელდება სტრუქტურულ-ინსტიტუციური რეფორმები, გადასვლა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებზე, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საზოგადოებისათვის უტყუარი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება.

გაუგებარია, რომელ გეგმის შესრულებაზეა საუბარი, როდესაც სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით (რაც თქვენი გაზეთის იმავე ნომერში, B1 გვერდზეც დაიბეჭდა), 2005 წელს უმუშევართა რიცხვმა 279,3 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 21.7 ათასი კაცითაა გაზრდილი; ანუ 2005 წლისათვის დაფიქსირებულია უმუშევრობის ზრდა.

სტატისტიკის დეპარტამენტმა მიმდინარე წლის დასაწყისში საწარმოებში დააგზავნა წლიური პერიოდულობის სტატისტიკური დაკვირვების ფორმები, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის სამეწარმეო სექტორში 2005 წელს არსებული მდგომარეობის შესწავლა-გაანალიზება. გარდა ამისა, 2006 წლის პირველ კვარტალში დაინერგა ახალი, კვარტალური პერიოდულობის სტატისტიკური დაკვირვების ფორმა (№01-01-01 "არაფინანსური კორპორაციების სექტორის საწარმოთა გამოკვლევა"), რის შემდეგაც მოხდა ზემოხსენებული ფორმების დაგზავნა შესაბამის საწარმოებში.

წლიური პერიოდულობის სტატისტიკური დაკვირვების ფორმების წარმოდგენის ვადა სტატისტიკის დეპარტამენტში განსაზღვრული იყო 1 აპრილის, ხოლო კვარტალურის - 25 აპრილის მდგომარეობით.

გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოთა გარკვეულმა ნაწილმა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოახერხა აღნიშნული ფორმების დროულად წარმოდგენა, სტატისტიკის დეპარტამენტში ჩვეულებრივ დაიწყეს შესაბამისი ორგანიზაციების სიტყვიერი გაფრთხილება ფორმის წარმოდგენასთან დაკავშირებით. დაახლოებით 200 მსხვილ საწარმოში გადაირეკა და, თუ გადამოწმება გნებავთ, შეგვიძლია მოგართვათ მათი სიაც.

ზოგჯერ წარმოდგენილ ანგარიშებში ლოგიკური თუ არითმეტიკული შეუსაბამობების გამო, სტატისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ხდება შესაბამის ორგანიზაციებთან დაკავშირება, მაგრამ სტატისტიკის დეპარტამენტი მონაცემებს არასოდეს აზუსტებს სატელეფონო საუბრების საშუალებით. თითოეული, თუნდაც უმნიშვნელო საკითხის დაზუსტება და გადაწყვეტა ხდება ორგანიზაციის ბუღალტერთან შეხვედრის და პროფესიონალური კონსულტაციების გაწევის საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარია სტატიის ავტორის პოზიცია და კატეგორიული ტონი.

შეუძლებელია, მეწარმემ აჩვენოს მის საწარმოში დასაქმებულ მუშაკთა ხელოვნურად გაზრდილი რაოდენობა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს დაკავშირებული იქნება დამატებით ხარჯებთან (სოციალური გადასახადების სახით).

თუ სტატისტიკის დეპარტამენტი ციფრების "შელამაზებას" გადაწყვეტდა, ამას საწარმოთა წარმომადგენლების თანხმობა სრულიად არ სჭირდება.

სტატისტიკის დეპარტამენტს არ სჭირდება, რომ საწარმოს დაურეკოს და სთხოვოს დასაქმებულთა რიცხვის 3-დან 10-მდე გაზრდა, როდესაც შეუძლია თავად გაზარდოს ეს ციფრი 30-მდე, ან თუნდაც 300-მდე. რა თქმა უნდა, სტატისტიკის დეპარტამენტი ნამდვილად არ იყენებს ამგვარ მავნე პრაქტიკას და ცდილობს, რომ საზოგადოებას უტყუარი ინფორმაცია მიაწოდოს. ვინ, თუ არა ჩვენ, ვაცნობიერებთ, რომ ქვეყანას ესაჭიროება არა გალამაზებული, არამედ მაქსიმალურად ზუსტი ციფრები, რათა სწორად წარმართოს პოლიტიკა ნებისმიერი მიმართულებით.

*პატივისცემით*
*ზაზა ბროლაძე*
*დეპარტამენტის თავმჯდომარე*

## ამინდი

| | 25/05 | 26/05 | 27/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 18 | 22 | 18 |
| რიგა | 11 | 13 | 11 |
| ვილნიუსი | 13 | 10 | 10 |
| მოსკოვი | 20 | 20 | 18 |
| მინსკი | 17 | 16 | 14 |
| პარიზი | 12 | 17 | 21 |
| რომი | 25 | 26 | 28 |
| ლონდონი | 16 | 15 | 16 |
| მადრიდი | 27 | 29 | 30 |
| ბონი | 11 | 14 | 17 |
| ვარშავა | 18 | 12 | 12 |
| ათენა | 32 | 26 | 29 |
| ბერნი | 21 | 20 | 22 |
| ამსტერდამი | 11 | 12 | 13 |
| ოსლო | 11 | 10 | 15 |
| ანკარა | 35 | 30 | 31 |
| ვარნა | 31 | 27 | 29 |
| დელი | 53 | 54 | 47 |
| ტოკიო | 27 | 24 | 21 |
| კოპენჰაგენი | 7 | 11 | 12 |
| ბაქო | 29 | 26 | 31 |
| ერევანი | 31 | 32 | 33 |
| ასტანა | 23 | 23 | 23 |
| ჰელსინკი | 10 | 11 | 11 |
| დუბლინი | 12 | 11 | 12 |
| ლისაბონი | 24 | 28 | 31 |
| პრაღა | 13 | 10 | 15 |
| სოფია | 21 | 25 | 25 |
| ბუდაპეშტი | 21 | 18 | 23 |
| ბუხარესტი | 23 | 27 | 29 |

# მიკროსესხებზე მოთხოვნა იზრდება

პირველი გვერდიდან

ერთ დროს უმუშევართა გარკვეული ნაწილი დღეს მცირე მეწარმეობის მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს. ისინი, ძირითადად, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა და ინდივიდუალური მეწარმეები არიან. იმისათვის, რომ ამ კატეგორიის მცირე მეწარმეებს საარსებო მინიმუმზე მეტი შემოსავალი ჰქონდეთ, საჭიროა მათი მცირე ბიზნესის გაფართოება და სრულყოფა, მაგრამ საქართველოს ბაზარზე ფინანსური პროდუქტების სიმწირე და, ტრადიციულად, საბანკო კრედიტებზე ხელმიუწვდომლობა ამას თითქმის შეუძლებელს ხდის. თუმცა, მცირე მეწარმეებმა და მოვაჭრეებმა გამოსავალი მოძებნეს - ისინი სულ უფრო აქტიურად თანამშრომლობენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან, რომლებიც მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიას კი ეხმარებიან, მაგრამ საწყისი კაპიტალი, ანუ ეგრეთ წოდებული "სტარტ აფ"-ი, რომელსაც განვითარებულ ქვეყნებში ხშირად მიმართავენ, საქართველოში მაინც არ არის ხელმისაწვდომი.

მიკროდაფინანსების ანუ მიკროსესხების პროგრამები საქართველოში 1997 წლიდან დაიწყო. ამ პროგრამებისა და მათი განმახორციელებელი არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მეშვეობით ბევრმა მოქალაქემ შეძლო საკუთარი ფინანსური და, შესაბამისად, სოციალური მდგომარეობის გამოსწორება.

დღეს საქართველოში მოქმედი 11 არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ფენებს სთავაზობს მცირე სესხებს გარკვეული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც, 1997 წლიდან მოყოლებული, კლებულობს.

საქართველოში არსებული სტანდარტული მიკროსაფინანსო პაკეტი დაახლოებით ასე გამოიყურება: სესხის მისაღებად საჭიროა არანაკლებ 3-თვიანი გამოცდილება არსებულ საქმიანობაში; სესხის ოდენობა 50 დან 15.000 დოლარამდე; საპროცენტო განაკვეთი 2% - 4 %; სესხის ხანგრძლივობა 3 თვიდან 2 წლამდე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაიცემა ინდივიდუალური და ჯგუფური მიკროსესხები.

ინდივიდუალური სესხების შემთხვევაში, სესხის უზრუნველყოფის მიზნით, დაგირავებული უძრავი ან მოძრავი ქონება შეიძლება მსესხებლის მფლობელობაში დარჩეს.

ჯგუფური სესხის აღება შეუძლია სოლიდარულ მსესხებელთა არანაკლებ 3 ადამიანისგან შემდგარ ჯგუფს. სოლიდარულ მსესხებელთა ჯგუფებზე სესხი გირაოს გარეშე გაიცემა. ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, ჩაბმული ლეგალურ საქმიანობაში, რომელიც იძლევა მოგებას. თანხის დაბრუნების გარანტიას წარმოადგენს სოლიდარული პასუხისმგებლობა.

პირველ ეტაპზე გასაცემი თანხის ოდენობა ჯგუფის თითოეულ წევრზე მერყეობს 50-დან 500 ლარამდე. გასაცემი თანხის ოდენობის განსაზღვრა ბიზნესის გადახდისუნარიანობის საფუძველზე ხდება. ყოველ მომდევნო ეტაპზე, ანუ განმეორებითი სესხის აღებისას შესაძლებელია თანხის ოდენობის გაზრდა, რაც, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია მსესხებლის როგორც სასესხო ისტორიაზე, ასევე მისი ბიზნესის გადახდისუნარიანობაზე. საწყის ეტაპებზე სესხები გაიცემა 3, 4, 5, ან 6 თვის ვადით. მუდმივი მსესხებლებისა და კარგი გადამხდელებისათვის გათვალისწინებულია ისეთი შეღავათები, როგორიც არის საპროცენტო განაკვეთის შემცირება და სესხით სარგებლობის ვადის გაზრდა, მორიგი სესხის მიღების გამარტივებული მექანიზმი და გრძელვადიანი ხაზი. გათვალისწინებულია სესხის დაფარვის მოქნილი მექანიზმები.

საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომსახურებით ამჟამად 35.000-მდე მოქალაქე სარგებლობს.

ოფიციალური სტატისტიკით, დღეს საქართველოში 34 ათას 500-ზე მეტი აქტიური მსესხებელი ეწევა მეწარმეობას მიკროსესხებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო პორტფელი 23 მილიონ ლარს აჭარბებს, მიკროსესხებზე მოთხოვნა მიწოდებას 238 მილიონ აშშ დოლარით აღემატება. კლიენტების დაახლოებით 70 პროცენტი ქალები არიან.

ამჟერად საქართველოში 11 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოქმედებს, რომლებიც, ძირითადად, მუშაობენ ოთხ რეგიონში: თბილისი, სამეგრელო, იმერეთი, კახეთი. თითოეულ ამ რეგიონში სავაჭრო საწარმოების მაღალი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაბალი კონცენტრაციაა. სასოფლო-სამეურნეო საწარმოები კონცენტრირებულია გურიაში, აჭარაში (რომელსაც მეორე მაჩვენებელი აქვს ქვეყანაში არსებული მოთხოვნის თვალსაზრისით), შიდა ქართლში და რაჭაში. ამ რეგიონებში მიღწევები საკმაოდ სუსტია. სოფლის მეურნეობის საწარმოები ქვეყანაში მიკრო-სამეწარმეო სესხებზე არსებული მოთხოვნის 28.9 პროცენტს შეადგენს. საქართველოს სასოფლო განვითარების ფონდი (GRDF) არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა, რომელიც სპეციალიზირებულია სასოფლო-სამეურნეო სესხების სფეროში. თუმცა, ამ სეგმენტში მასაც მცირე წილი უკავია (მან არსებული მოთხოვნის მხოლოდ 3.2 პროცენტის და სოფლის მეურნეობის სექტორში პოტენციური მომხმარებლების 4.7 პროცენტის დაკმაყოფილება შეძლო).

საქართველოში მიკროფინანსებზე მოთხოვნის გამოკვლევა ქვეყნის 11 რაიონში ჩატარდა. მკვლევარებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 932 მიკრო-საწარმო შეისწავლეს. USAID-ის სტანდარტული განმარტებით, საწარმო სადაც 10 თანამშრომელზე ნაკლებია დასაქმებული, მიკრო-საწარმოა.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაციები განსხვავებული წარმატებით გავიდნენ მოსახლეობის იმ ფენებზე, რომლებიც ხასიათდებიან როგორც დაბალშემოსავლიანი ოჯახები. ღარიბი მიკრომეწარმეები კონცენტრირებულნი არიან უმეტესად ისეთ საწარმოებში, როგორებიცაა: არარეგისტრირებული, ქალების მიერ მართვადი, გადამამუშავებელი და სოფლად არსებული საწარმოები. გამოკვლევის შედეგებიდან ცხადი გახდა, რომ არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა კარგად იმუშავეს, რათა არარეგისტრირებულ და ქალების მიერ მართვად საწარმოებამდე მიეღწიათ. მეორეს მხრივ, ისიც გამოიკვეთა, რომ არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა შედარებით სუსტად იმუშავეს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი საწარმოებზე გასასვლელად.

სხვა საკითხია, როგორ უნდა დაიწყოს საქმიანობა იმ ადამიანმა, რომელსაც შემოსავლის რაიმე წყარო არ გააჩნია და სურს, საკუთარი საქმე, ასე ვთქვათ, ნულიდან დაიწყოს?

რა ხდება ამ შემთხვევაში?

**დავით მჭედლიძე - ფონდი "კონსტანტა":** დამწყებ ბიზნესს პირველივე ეტაპზე საკმაოდ ბევრი პრობლემა ხვდება და, შესაბამისად, ბევრ სირთულესთან უხდება გამკლავება. ჩვენ საკმაოდ დიდი რისკებით ვაფინანსებთ იმ ბიზნესს, რომელიც მოქმედია, რადგან სესხებს ხშირ შემთხვევაში გირაოს გარეშე გავცემთ. ჩვენ ვეხმარებით მცირე ბიზნესს, ისინი დაბრკოლების გარეშე იღებენ სესხებს ჩვენს ორგანიზაციაში. რაც შეეხება საწყის ეტაპს, ამ შემთხვევაში კლიენტს არანაირი ხელშემწყობი გარემოებები არ გააჩნია. ასე რომ, მას სჭირდება საკმაოდ სოლიდური საწყისი კაპიტალი და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის საკმაოდ რთულია, გააკეთოს ანალიზი, პროგნოზი, რა იქნება მომავალში, როგორ შედეგებს უნდა ველოდეთ საქმიანობის ორი ან სამი თვის შემდეგ. სწორედ ეს არის ის მთავარი მიზეზი, რის გამოც მიკროსაფინანსო ორგანიზაციები დამწყებ ბიზნესს ვერ აფინანსებენ.

**შოთა ჭარხალაშვილი - BBK-ფინანსური კომპანია:** საწყისი კაპიტალი, პრაქტიკულად, სხვა სფეროა - ეს არის ბიზნესის დასაწყისი, რაც არათუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, მსხვილი ბანკებისთვისაც ძალიან სერიოზულ პრობლემას და რისკს წარმოადგენს. როდესაც კლიენტთან მუშაობ, გაინტერესებს მიიღო მაქსიმალური ინფორმაცია რაღაც პერიოდის განმავლობაში - კლიენტს რა ბრუნვა, რა შემოსავალი ჰქონდა. როდესაც საუბარია ბიზნესის დაწყებაზე, აქ შეიძლება მხოლოდ ვიწინასწარმეტყველოთ, რამდენი შემოსავალი შეიძლება მას ჰქონდეს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ძალიან კრიტიკულად ეკიდებიან ამ საკითხს, რადგან აქ კონტროლი, აღრიცხვა, მონიტორინგი, უფრო დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ყოველ შემთხვევაში ჩვენი პროდუქტი არ არის ორიენტირებული იმ ადამიანებზე, რომელსაც არ გააჩნია ბიზნესი და ახლა ბიზნესის დასაწყებად სესხის აღება სურს.

**გიგი მათიაშვილი - "ფინკა საქართველო":** ჩვენი ორგანიზაცია სასტარტო ბიზნესს მაღალი საკრედიტო რისკების გამო არ აფინანსებს. თუმცა, თუ "ფინკას" საქმიანობას გადავხედავთ, ეს საერთაშორისო ორგანიზაცია სასტარტო ბიზნესს არც ერთ ქვეყანაში არ აფინანსებს.

რაც შეეხება საბანკო სექტორს და იმას, თუ ვის შეუძლია ისარგებლოს სამომხმარებლო კრედიტით და რამდენად მიესადაგება სესხის ასაღებად განსაზღვრული პირობები საქართველოს რიგითი მოქალაქეების ფინანსურ შესაძლებლობებს, აღსანიშნავია, რომ განსაზღვრული პირობების მიხედვით - ბანკიდან კრედიტის აღება შეუძლია ყველას, ვისაც გააჩნია სტაბილური ყოველთვიური შემოსავალი სამსახურიდან, პირადი ბიზნესიდან, პირადი ქონების გაქირავებიდან (მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონება, ავტომობილი, ოჯახის კუთვნილი პირადი ნივთები, ტექნიკა, ავეჯი, საბანკო გარანტია, დეპოზიტი ბანკში და სხვა).

საბანკო სესხები პირობითად ასეა დაყოფილი: სამომხმარებლო - 2000 ლარამდე, მცირე ბიზნესსესხები - ორი ათასიდან 20 ათას ლარამდე, საშუალო ბიზნესსესხები - 20 ათასი ლარიდან 50 ათას ლარამდე, და კორპორატიული ანუ მსხვილი ბიზნესსესხები - 50 ათასის ზევით.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: სადაც არც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და არც საბანკო ქსელს არანაირი დანაშაული არ მიუძღვის - უბრალოდ, ამ სექტორების განვითარებაზე ეკონომიკის სხვა სექტორების მსგავსად, პირდაპირ ზემოქმედებას ქვეყანაში არსებული ეკონომიკური გარემოს ანუ ბიზნესფონის გარდა, სოციალური ფონი და მოსახლეობის დასაქმების დონეც ახდენს. საუბარია იმაზე, რომ რეალურად, დღეისათვის საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა ანაზღაურება ისეთი დაბალია, რომ მათ უმრავლესობას საშუალება არა აქვს, ისარგებლოს ასეთი კრედიტით, ამ გზით მაინც გაიუმჯობესოს საყოფაცხოვრებო პირობები. ასე რომ, მოსახლეობის დაბალანაზღაურებადი ნაწილი, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობას შეადგენს, აქაც თამაშგარე მდგომარეობაში რჩება.






## ლარის კურსი $1/1,8000 ნიშნულზე შენარჩუნდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 25 მაისიდან $1/1,8000 ნიშნულზე დააფიქსირა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 24 მაისს მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა (ერთმა გამყიდველის და სამმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (გამყიდველის სტატუსით). დაიდო ოთხი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 1 260 000 აშშ დოლარი შეადგინა. საბირჟო სესიაში საქართველოს ეროვნულ ბანკმა 660 000 აშშ დოლარი გაყიდა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.8000 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 1 260 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 600 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით - 1 აშშ დოლარი/1.8000 ლარი.

## ყაზანში ბანკირები შეიკრიბნენ

რუსეთის ფედერაციის ქალაქ ყაზანში დასრულდა შუა აზიის ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველების კლუბის მეთხუთმეტე სხდომა. კლუბის წევრები არიან აზერბაიჯანი, ალბანეთი, სომხეთი, ბულგარეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, საბერძნეთი, საქართველო, ისრაელი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მაკედონია, მოლდოვა, რუსეთი, რუმინეთი, სერბეთი, ტაჯიკეთი, თურქეთი, უკრაინა და ჩერნოგორია. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კლუბს თავმჯდომარეობდა რუსეთის წარმომადგენელი. პროფესიონალების ეს შეხვედრები, კლუბის დებულების თანახმად, დახურულია. ყაზანში გამართულ სხდომაზე განიხილეს ცენტრალური ბანკების ფუნქციები კომერციულ ბანკებთან მიმართებაში, ინფლაციის პრობლემები, საწყისი კაპიტალის როლი და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება ისრაელის ბანკის მმართველის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი დირექტორისა და მსოფლიოში ყველაზე მსხვილი საბანკო გაერთიანება "Citigroup" -ის დირექტორთა თავმჯდომარის სტენლი ფიშერისა და ლონდონის ეკონომიკის სკოლის დირექტორის დირექტორის გამოსვლამ გამოიწვია. ამ უკანასკნელმა გააკეთა მოხსენება - "ცენტრალური ბანკების მომავალი." შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს ყაზანი უკვე ამოირჩიეს საერთაშორისო საბანკო სამიტის შეხვედრის ადგილად. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს შენიშვნები აქვს

საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები და დამატებები ბევრ დადებით მომენტს ითვალისწინებს. თუმცა, კომიტეტს აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით შენიშვნებიც ბევრი აქვს. "ჩვენ მივესალმებით ლიბერალიზაციას. რაც უფრო გამარტივდება აღნიშნული პროცესები, მით უფრო მისაღები იქნება ჩვენი ქვეყნისთვის," - განაცხადა მან. კოვზანაძის თქმით, კომიტეტს მიაჩნია, რომ ნებისმიერი სავაჭრო გარიგების შესახებ ინფორმაცია მიწოდებული უნდა იყოს საფონდო ბირჟისთვის ანუ ბირჟაზე უნდა მოხდეს ფასების ფიქსინგი. გარდა ამისა, სავაჭრო გარიგებებში აუცილებლად ჩართული უნდა იყოს ბროკერის ინსტიტუტი. თუმცა აქვე აღნიშნა, რომ ნებისმიერი სერიოზული კომპანია თვითონვე გამოიყენებს ბროკერის ინსტიტუტს, თუნდაც ეს არ იყოს სავალდებულო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მამაკაცის პირველადი მოხმარების საგნებზე ფასმა მოიმატა

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, მამაკაცის პირველადი მოხმარების საგნებმა 2006 წლის მარტის თვეში ადგილობრივ ბაზარზე საგრძნობლად მოიმატა.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ადგილობრივ ბაზარზე მამაკაცის კოსტუმმა - 145 ლარი, ჯინსის შარვალმა - 36,67 ლარი, წინდებმა - 1,80 ლარი, ხოლო მაისურებმა 2 ლარი შეადგინა.

ექსპერტებს უჭირთ იმის თქმა, რომ შესაძლებელია, პირველადი მოხმარების საგნებზე ფასი კიდევ გაიზარდოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი C
© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

სექს-მომსახურება გულშემატკივრებისთვის



C2

„მაიამის" ფინალური სერია გამარჯვებით დაიწყო



C3

ბარბაროსებმა სავაკო რაზმი შეარჩიეს



C4



სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:** 21 33 67

**სარეკლამო სამსახური:** 21 33 54, 33 23 11

**სპორტული რედაქცია:** 33 17 15




# გოგოები მოდიან, სპორტის სასახლე გელით!



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*26 მაისს საქართველო საფრანგეთს დაუპირისპირდება.*

*გრძელფეხება ფრანგი, გერმანელი და ლატვიელი ფრენბურთელი ქალების ხილვა თუ გსურთ, 26-28 მაისს ეწვიეთ სპორტის სასახლეს, სადაც 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართება. რა თქმა უნდა, აქვე იქნება საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრები, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელი ორი საგზურისთვის სწორედ ამ ქვეყნის გუნდებთან მოუწევს გაჯიბრება.*

*საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრები სახვალიო ასპარეზობებისთვის გუშინ სწორედ სპორტის სასახლეში ვარჯიშობდა. საქართველოს ქალთა ნაკრებს ფრენბურთელთა სკოლის ვაჟთა გუნდი უწევდა სპარინგ-პარტნიორობას. მზადების შედეგი ხვალ და მომდევნო ორ დღეში გამოჩნდება, მაშინ, როდესაც ჩვენი ჯგუფის ევროპის ჩემპიონატის პირველი წრის საკვალიფიკაციო შეხვედრები გაიმართება.*

ბიბა ბურასაშვილი

ფრენბურთი, მით უმეტეს, ქალთა, საამო საცქერია. ასე რომ, როგორც ერთი რიგითი გულშემატკივარი, მოგიწოდებთ, ხვალ, ზეგ და მასზეგ სპორტის სასახლეს ეწვიოთ. მატჩები 16 საათზე დაიწყება.

ახლა იმაზე, თუ როგორ ემზადებოდა ევროპის ჩემპიონატისთვის ჩვენი ქალთა ნაკრები.

„პირველი შეკრება დიდ ჯიხაიშში გავიარეთ. ამას მოჰყვა თბილისური შეკრება, რომელიც უკვე ათი დღეა გრძელდება. სამწუხაროდ, საკონტროლო თამაშები არ გვქონია. სპარინგ-პარტნიორობას ფრენბურთელთა სკოლის ვაჟთა გუნდი გვიწევს. მათი მეშვეობით ვცდილობთ ფონს გასვლას, - ამბობს საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნუგზარ მიქაძე, - გულდასაწყვეტია, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მაშა ცარენკო ტრავმის გამო ვერ შეგვეშველება".

**- რამდენად სერიოზულია ტრავმა?**

- ორი დღის წინ ექიმებმა გვითხრეს, მისი თამაში გამორიცხულიაო. ასე რომ, მაშა ვერც აქ დაგვეხმარება და ვერც საფრანგეთში (მეორე წრის მატჩებს საფრანგეთი მასპინძლობს.- რედ.). მაღალი კლასის ფრენბურთელები ისედაც ცოტა გვყავს. ასე რომ, ეს ყველაფერი ჩვენი ახალგაზრდა გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნება. მართალია, რამდენიმე ტანმაღალი ახალგაზრდა ავიყვანეთ ნაკრებში, მაგრამ მათი გამოუცდელობის გამო საფრანგეთს, გერმანიასა და ლატვიას, ფაქტობრივად, სათადარიგო სკამის გარეშე ვეთამაშებით. სამომავლო გეგმების გათვალისწინებით და ახალგაზრდების მოყვანით, ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ - გამოცდილება მიიღებენ და გაისად ნაკრებსაც შეეშველებიან.

**- ესე იგი, დეფიციტი ტანმაღალი და გამოუცდელი მოთამაშეებია...**

- ფრენბურთი სპორტის ის სახეობაა, რომელიც ტანმაღალ მოთამაშეებს საჭიროებს. რა თქმა უნდა, გულშემატკივარს უნდა, რომ წარმატებები გვქონდეს, მაგრამ თუ რეალურად შევაფასებთ ჩვენს შესაძლებლობებს, რთული თამაშები გადაგვხდება თავს. ჩვენი მეტოქეებიდან არც ერთი არ არის სუსტი. ჩვენს ქვეჯგუფში ყველა ძლიერი ნაკრებია.

**- ფავორიტები ალბათ გერმანელები და ფრანგები არიან...**

- ვერ ვიტყვი, რომ მოედანზე წასაგებად ვაპირებთ გასვლას. მაგრამ თუ წავაგეთ, შეურაცხმყოფელი არაფერია. როგორც გუნდი, ჩვენ ახლა ვყალიბდებით. საფრანგეთისა და გერმანიის ნაკრებები ევროპაში ძლიერი გუნდების სახელით სარგებლობენ. ვფიქრობ, ორივე მათგანი საკუთარ პრესტიჟს გაუფრთხილდება და ჩვენს წინააღმდეგ ძლიერ შემადგენლობას გამოიყვანს. გარდა ამისა, ფრენბურთის მოყვარულთათვის მათი ურთიერთშეხვედრაც დაძაბული და სანახაობრივი უნდა იყოს.

**- თუ არის იმაზე საუბარი, რომ, ვაჟთა ნაკრების მსგავსად, ქალთა გუნდიც გაძლიერდეს უცხოელი მოთამაშეებით?**

- ძნელია ერთბაშად სამი დისციპლინის - ვაჟთა და ქალთა ფრენბურთისა და პლაჟის ფრენბურთის ფეხზე დაყენება. ეს ყველაფერი დიდ ფინანსებს მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში, ქართული ფრენბურთის ასაღორძინებლად რომ ძვრებია, ესეც ფაქტია. ჩემი მხრივ, პირობას ვდებ, რომ უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. ვიბრძოლებთ როგორ საფრანგეთთან, ისე გერმანისათან და ლატვიასთან. თითოეული ქულა, რომელსაც ჩვენ ავიღებთ, ბრძოლით იქნება მოპოვებული.

## გეორ-გია ბრაზილიურად

ქართველმა ბრაზილიელებმა გეორ-გიამ, რომლებიც მსოფლიო ტურის ფარგლებში შანხაიში „ჩინეთის ღია პირველობაზე“ ასპარეზობენ და ორი დღის წინათ სამიდან სამი შეხვედრა მოიგეს, შესაბამისი თანამიმდევრობით მესამე წრეში იაპონელებთან, მეორეში - კუბელებთან და პირველში - კანადელებთან, გუშინ მორიგი ორი შეხვედრა ჩაატარეს. ერთი ბრაზილიელ ბრაზილიელებთან და მეორე - ახალზელანდიელებთან. ძირითადი ბადის 32 საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრის შემდეგ, გაქართველებული რენატო გომეში და ჟორჟე ტეჩეირა, თავდაპირველად ტურნირის მეორე ნომრად განთესილ მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიელებს დაუპირისპირდნენ და სამ სეტში 1:2 წააგეს (15-21, 21-19, 11-15), შემდეგ კი ახალზელანდიელებს შეხვდნენ და 2:0 (21-12, 21-16) გაიმარჯვეს.

ისიც ვთქვათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონებმა საქართველოს ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ ტურნირზე მე-15 ნომრად გათესილ ნორვეგიის ნაკრებთან იწვნიეს მარცხი.

რაც შეეხება დღევანდელ დღეს, ქართველ ბრაზილიელებს ტურნირის მე-16 ნომრად განთესილ ნორვეგიის მეორე ნკარებთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. საქართველოს ნაკრების მთავარი საზრუნავი (მას შემდეგ, რაც 32 საუკეთესოს შორის დაიკავა ადგილი, უმთავრეს საზრუნავად სარეიტინგო ქულების მოპოვება აქვთ, რომელიც შემდგომში პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიების მოპოვებაში დაგვეხმარება. და კიდევ რაც მეტ ქულებს დავაგროვებთ, გაისად მით უფრო სუსტ ნაკრებებს შევხვდებით. რედ.)

შეგახსენებთ, რომ ჩინეთის ღია ტურნირში, რომელიც მსოფლიო ტურის ფარგლებში მიმდინარეობს, 24 ქვეყნის 58 სპორტსმენი ასპარეზობს საპრიზო ფონდით 400 ათასი დოლარი.

## შევჩენკო დღეს "არისტოკრატი" გახდება

გუშინ ესპანურმა გაზეთმა "სპორტმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად "მილანისა" და "ჩელსის" მესვეურები უკვე შეთანხმდენ ანდრეი შევჩენკოს ტრანსფერზე. დღეს კი კონტრაქტი უკვე ოფიციალურად უნდა გაფორმდეს. ლონდონური კლუბი უკრაინელ ფორვარდში 40 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდის, ამასთან, "მილანში" უშვებს უილიამ გალასს. შევჩენკო 4-წლიან კონტრაქტს აფორმებს "ჩელსისთან". ამ კონტრაქტის თანახმად, ანდრეი სეზონში 6 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს. თუ ტრანსფერი მართლაც შედგა, ლონდონელებისთვის ეს უკვე მეორე მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება. შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ "ჩელსიმ" მიხაელ ბალაკი შეიძინა.

## ბურთების კონფისკაცია

ჩინურმა საბაჟო სამსახურმა მოახდინა 600 ბურთის კონფისკაცია, რომლებზეც მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური ლოგო არალეგალურად იყო გამოსახული. ეს ბურთები უკვე გამზადებული იყო ევროპაში გასატანად. საბაჟო აგენტი, რომელმაც კანონდარღვევა აღმოაჩინა, არ ამბობს, თუ ვისგან გაიგო, რომ ბურთებზე ლოგო არალეგალურად იყო გამოსახული.

## იტალიაში უცხოელები იმსაჯებენ

მომავალ სეზონში სერია A-ს მნიშვნელოვანი მატჩების უმეტესობას უცხოელი არბიტრები მოემსახურებიან. ეს ნაბიჯი იტალიური ფეხბურთის მესვეურებმა მას შემდეგ გადადგეს, რაც იტალიაში მომხდარი საფეხბუთრო სკანდალის გამო საგრძნობლად შეილახა აპენინური ფეხბურთის იმიჯი. ამჟამად ჩაწყობილი თამაშების ორგანიზებაში ცხრა იტალიელი მსაჯია ეჭვმიტანილი. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დროებითი ხელმძღვანელი გვიდო როსი იმედოვნებს, რომ სამსაჯო კოლეგიას სათავეში ჩაუდგება ცნობილი იტალიელი არბიტრი პიერლუიჯი კოლინა, რომლის პატიოსნებაში ეჭვს ვერავინ შეიტანს. ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ გუშინ იტალიის პროკურატურამ ეგრეთ წოდებულ "მოჯის საქმესთან" დაკავშირებით დაკითხა იტალიის ნაკრებისა და ტურინის "იუვენტუსის" მეკარე ჯიჯი ბუფონი.

## მარკესმა კონტრაქტი გააგრძელა

მექსიკელი ფეხბურთელი რაფაელ მარკესი 2010 წლამდე გააგრძელებს კონტრაქტს ესპანურ "ბარსელონასთან". ფეხბურთელმა და კლუბის ხელმძღვანელებმა სიტყვიერ შეთანხმებას უკვე მიაღწიეს, თუმცა კონტრაქტზე ხელმოწერას არც ერთი მხარე არ ჩქარობს. უახლოეს დღეებში დაზუსტდება ახალი კონტრაქტის დეტალები. სავარაუდოდ, მომავალი კვირის დასაწყისში შეთანხმება ოფიციალურად გაფორმდება.

## ხორდი კრუიფი უკრაინაში ითამაშებს

ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელის იოჰან კრუიფის ვაჟი ხორდი დონეცკის "მეტალურგში" ითამაშებს. უკრაინულმა კლუბმა 32 წლის ხორდის შეძენა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც "მეტალურგის" მთავარ მწვრთნელად ესპანელი სპეციალისტი ანხელ ალონსო ერერა დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული ჰოლანდიელის ვაჟი თამაშობდა "ბარსელონაში", "მანჩესტერში", "სელტაში", "ალავესსა" და "ესპანიოლში".

## "ფერარის" ახალი კონტრაქტი

ფორმულა 1-ის გუნდმა "ფერარიმ" ახალი სპონსორული შეთანხმება გააფორმა. 2007 წლის 1 იანვრიდან ამ გუნდის მთავარი სპონსორი იქნება კომპანია Telecom Italia. "ფერარის" მესვეურები კონტრაქტის დეტალებს არ აკონკრეტებენ.

"ბედნიერი ვარ, რომ შეთანხმებას მივაღწიეთ. ჩვენ ბევრი რამ გვაერთიანებს და ერთობლივი მუშაობით ბევრს მივაღწევთ", - აცხადებს "ფერარის" ხელმძღვანელი ჟან ტოდი.

## ვინ როგორ ამინდში იგებს

გერმანიაში გამოქვეყნდა საინტერესო მონაცემები იმის თაობაზე, თუ რომელი გუნდი როგორ ამინდში თამაშობს უკეთ. გამოკვლევა ჩაატარა ჟურნალმა "ვეტერმაგაზინმა". ჟურნალისტებმა გამოიკვლიეს 90 მატჩი და დაადგინეს, თუ რომელი ნაკრები როგორ ამინდში თამაშობს უკეთ.

მაგალითად, თუ ძალიან ცხელა და ჰაერის ტემპერატურა 27 გრადუსზე მეტია, ყველაზე კარგად იტალიის ნაკრები თამაშობს. ხოლო თუ ჰაერის ტემპერატურა 18 გრადუსზე ნაკლებია, მაშინ მოგების შანსი ყველაზე მეტად ბრაზილიის ნაკრებს აქვს. წვიმიან ამინდში ყველაზე ადვილად გერმანიის ნაკრები იგებს.

ექსპერიმენტის შედეგად ასევე გაირკვა, რომ რაც უფრო ექსტრემალური ამინდია, მით უფრო თანაბარია მატჩში მონაწილე გუნდების შანსი. აგრეთვე დადგინდა, თუ რომელი გუნდისთვის როგორი ტემპერატურაა ოპტიმალური. 19,6 გრადუსი - ფრანგებისთვის, 19,8 - ბრაზილიელებისთვის, 21 - არგენტინელებისთვის, 22,3 - ინგლისელებისთვის, 23,3 გერმანელებისა და იტალიელებისთვის.

## აგირემ "ატლეტიკო" ჩაიბარა

მადრიდის "ატლეტიკოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაინიშნა ხავიერ აგირე, რომელმაც გასულ სეზონში "ოსასუნას" ჩემპიონთა ლიგის საგზური მოაპოვებინა. ჯერჯერობით აგირესთან ერთწლიანი კონტრაქტია გაფორმებული. თუ მადრიდულმა კლუბმა მომავალი სეზონი წარმატებით ითამაშა, აგირესთან კონტრაქტს გააგრძელებენ.

# ჯობავამ ქართველებს გაამარჯვებინა

ტურინში გრძელდება საჭადრაკო ოლიმპიადა. სამი ტურის შემდეგ ქართველი ქალები მე-10 ადგილზე იყვნენ, მამაკაცები - მე-17. გუშინ ტურნირის მეოთხე ტურის შეხვედრები გაიმართა.

საქართველოს ნაკრებს სერიოზული მეტოქეები ჰყავდა - მამაკაცები გერმანიის ნაკრებს ეთამაშებოდნენ, ქალები - ინდოელებს.

მამაკაცებმა მძიმე ბრძოლა გადაიტანეს. მეორე დაფაზე თეთრებით მოთამაშე ფანცულაია გუსტაფსონს დაუზავდა, მესამე დაფაზე კი ყაჭეიშვილმა შავი ფიგურებით ლუტერ ტომის წინააღმდეგ თამაშში ასევე ნახევარი ქულა აიღო. ფრედ დასრულდა გაგუნაშვილისა და კრისტის შეხვედრაც. რაც შეეხება პირველ დაფაზე მოთამაშე ჯობავას, ის შავი ფიგურებით იუსუპოვს ეთამაშებოდა. მატჩი დანარჩენ სამზე გაცილებით დიდხანს გაგრძელდა. ჯობავამ უპირატესობა მოიპოვა და საქართველოს ნაკრებს გამარჯვების ქულა მოუტანა. ამრიგად, მამაკაცებმა ძლიერი გერმანიის ნაკრები 2,5:1,5 დაამარცხეს.

დაძაბული გამოდგა ქალთა მატჩებიც. თავისი პარტია პირველმა ძაგნიძემ დაასრულა. შავი ფიგურებით მოთამაშე ქართველმა მოჭადრაკემ სვატი გატთან წააგო პარტია. მესამე დაფაზე თეთრი ფიგურებით მოთამაშე ჯავახიშვილმა მერი გომეში დაამარცხა და ანგარიში გათანაბრა. ისევე როგორც მამაკაცებში, ქალებშიც ყველაზე დიდხანს პირველ დაფაზე მიმდინარე პარტია გაგრძელდა. ხურციძე თეთრებით კონერუ გამპს ეთამაშებოდა და, ცხადია, ქართველებს გამარჯვების იმედი გვქონდა. გამპი საკმაოდ კარგად თამაშობდა და ხურციძემ მასთან ქულა გაიყო. საბოლოოდ ქალებმა ფრედ 1,5:1,5 ითამაშეს. ამ შედეგით ჩვენმა ნაკრებმა სატურნირო მდგომარეობა გაიუარესა. თუმცა წინ კიდევ ბევრი ტურია დარჩენილი და ქართველ ქალებს ვითარების გამოსწორება შეუძლიათ.

# არშემდგარი არჩევნები

თეა თედლიაშვილი

გუშინ გორში შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები იყო დაგეგმილი. ოთხი საათის ლოდინის შემდეგ გაირკვა, რომ შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი და სხვა მონაწილენი არჩევნებისთვის მზად არ იყვნენ. გორში არ ჩამოსულა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი, რომელიც არჩევნებს აუცილებლად უნდა დაესწროს. წარდგენილია სამი კანდიდატურა: როლანდ ბერიძე (გორის „დილას“ ყოფილი მეკარე), გურამ ნოზაძე (ფედერაციის აღმასკომის ყოფილი წევრი) და თემურ გიგუაშვილი („ავლაბრის“ სტადიონის დირექტორი). ეს უკანასკნელი არჩევნების მცდელობაზე არ გამოცხადებულა. როგორც შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრებმა განაცხადეს, გიგუაშვილს საერთოდ არ იცნობენ და თვალითაც არ უნახავთ.

„ჩვენ ვიცნობთ ორ კანდიდატურას, რომლებიც კენჭს იყრიან, მაგრამ საერთოდ არ ვიცნობთ თემურ გიგუაშვილს. ალბათ უნდა მოვიდეს და გვითხრას რას აპირებს, როგორ, რანაირად. ხმას როგორ მივცემთ, თუ არ გვეცოდინება რამდენად გამოადგება ფეხბურთს. ამასთან, დაუშვებელია არჩევნების ასე მოუმზადებლად დანიშვნა. ძველი პრეზიდენტიც აქ უნდა იყოს, ანგარიში ჩაგვაბაროს, რა გაკეთდა მისი პრეზიდენტობის პერიოდში და რა მემკვიდრეობას ტოვებს“, - განაცხადა შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარემ რომან ნასყიდაშვილმა.

არჩევნების ჩატარების მცდელობას შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე ზვიად ხმალაძეც ესწრებოდა. მისი თქმით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გაფრთხილებული იყო, რომ შიდა ქართლში ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო.

„ხვალ შეძლებენ ჩამოვიდნენ თბილისიდან და მაშინ იქნებ ჩაატაროთ არჩევნები“, - ასეთი იყო ფეხბურთელებისთვის ხმალაძის შეთავაზება, რომელმაც შიდა ქართლის რაიონებიდან ჩამოსული ფეხბურთის გუნდების ხელმძღვანელთა გაღიზიანება გამოიწვია.

„ჯერ მოაგვარეთ საორგანიზაციო საკითხები და მერე დაუძახეთ ხალხს. ფედერაციის აღმასკომი კარგად უნდა იცნობდეს იმ ადამიანებს, რომლებიც კენჭს იყრიან. ასევე ნამდვილად უნდა ვიცოდეთ, თბილისიდან წარმომადგენელი ჩამოვა თუ არა. აქ სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული ხალხია. რისთვის დაგვიბარეთ, ვერ გავიგეთ“, - განაცხადა პრეზიდენტობის ერთ-ერთმა მოსურნემ როლანდ ბერიძემ.

შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები 5 ივნისს სასტუმრო „ვიქტორიაში“ ჩატარდება. აღმასკომი 32 კაცისგან შედგება. არჩევნების სრულყოფილად ჩატარებისთვის აუცილებელია მათგან 21 კაცი აუცილებლად გამოცხადდეს „ვიქტორიაში“.

# მეცნიერული მიდგომა

მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატი არც მეცნიერებს აძლევს მოსვენებას. ვინ გახდება ჩემპიონი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე ალბათ შეუძლებელია, თუმცა პროგნოზებს დიდი ხალისით აკეთებენ.

ერთ-ერთი უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა Decision Technology Group-მა სპეციალური გამოკვლევა ჩაატარა. მეცნიერებს არ დაეზარათ და გააანალიზეს 45000 საერთაშორისო მატჩი.

კვლევა საკმაოდ სფუძვლიანი ყოფილა. გუნდები სხვადასხვა კატეგორიის მიხედვითაც კი დაახარისხეს. მხედველობაში მიიღეს, თუ რომელი გუნდი როგორ თამაშობს შეტევაში თუ დაცვაში. მოკლედ, საკმაოდ შრომატევადი სამუშაოს შემდეგ მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომელიც ისედაც ყველასთვის კარგად არის ცნობილი - მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი ბრაზილიის ნაკრებია.



ბრაზილიას მეცნიერებიც უწინასწარმეტყველებენ ჩემპიონობას.

ვინაიდან უნივერსიტეტი, რომელმაც ეს კვლევა ჩაატარა, ინგლისურია, ცხადია, მეცნიერების მთავარი მიზანი ინგლისის ნაკრების შანსების შეფასება იყო. ამ მხრივ კი არც ისე სანუგეშო შედეგებია. თუ ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონობის შანსი 13 პროცენტია, ინგლისელებს ტიტულის მოგების მხოლოდ 5 პროცენტი აქვთ.

მეცნიერების აზრით, ფავორიტთა რიცხვს განეკუთვნებიან: საფრანგეთის, გერმანიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, ჩეხეთის, პორტუგალიისა და იტალიის ნაკრები გუნდები.

მეცნიერული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ინგლისის ნაკრების მიერ ჯგუფის მოგების შანსი 79 პროცენტია. თუ ინგლისი ფინალში გავიდა, ერიქსონის გუნდს მეოთხედფინალში პორტუგალიასთან ან ჰოლანდიასთან მოუწევს ჭიდილი, ნახევარფინალში კი - ბრაზილიასთან ან ესპანეთთან.

მოკლედ, ბრიტანელმა მეცნიერებმა ბევრი იმუშავეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომელიც მსოფლიოს წამყვანი ბუკმეიკერული კანტორებისთვის ისედაც ცნობილი იყო. ტოტალიზატორებში ყველაზე ნაკლები ფსონი სწორედ ბრაზილიის ნაკრებზე მიიღება. ამჟამად პენტაკამპეონების შანსები 9-4-ზეა შეფასებული, ინგლისისა და გერმანიის ნაკრები გუნდების კი - 7-1.

ასე რომ, თუ ბრაზილიის ნაკრებმა მეექვსედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ეს ლოგიკური იქნება. ბოლოს და ბოლოს, ტყუილად ხომ არ იწვალეს ბრიტანელმა მეცნიერებმა.

# სექს-მომსახურება გულშემატკივრებისთვის

დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწყო საუბარი, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დროს გერმანიაში მსუბუქი ყოფაქცევის ქალების მოზღვავება სერიოზულ პრობლემებს შექმნიდა. ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციებმა დიდი აჟიოტაჟი ატეხეს. გერმანიაში პროსტიტუცია ლეგალიზებულია და მუნდიალის დროს ამან შესაძლოა ბაქანალიაც გამოიწვიოსო. ყველა იმას ამტკიცებდა, რომ მუნდიალის მოახლოებასთან ერთად გაიზრდებოდა ტრეფიკინგის შემთხვევები. აშშ-ს კონგრესი გერმანიის წინააღმდეგ სანქციების შემოღებასაც კი ითხოვდა.

ამავე დროს ადგილობრივი მეძავები ეწინააღმდეგებოდნენ უცხო ქვეყნებიდან მათი კოლეგების შემოყვანას - კონკურენცია გაიზრდება და ჩვენ ნაკლები სამუშაო გვექნებაო. მოკლედ, პროსტიტუციის თემამ წინა პლანზე წამოიწია.

გერმანელები კი თავისას არ იშლიდნენ - ქალაქებში ახალი ბორდელებიც კი ააშენეს, რათა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასულ ტურისტებს სრული კომფორტი შეუქმნან.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი უკვე კარს მოგვადგა. გერმანელები ამტკიცებენ, რომ ყველაფერი წესრიგშია და ტურისტებს არაფერი მოაკლდებათ, მათ შორის სექსუალური მომსახურებაც, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად ერთი მეტად პიკანტური პრობლემა შეიქმნა. ატეხილმა აჟიოტაჟმა მეძავები შეაშინა და დღევანდელი მონაცემებით გერმანიაში მსუბუქი ყოფაქცევის ქალების რიცხვი მცირე ყოფილა. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ბევრი ტურისტი ჩავა და ყველას დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდეს, გერმანიას კიდევ 40 000 მეძავი სჭირდება.



გერმანიას კიდევ 40 ათასი მეძავი სჭირდება.

ადგილობრივმა ბორდელებმა უკვე დაიწყეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მეძავების მოზიდვა და მათ, ცოტა არ იყოს, არარეალურ დაპირებებსაც აძლევენ: ოღონდ ჩამოდით და, ღამეში 1000 ევრომდე გექნებათო.

მოკლედ, ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვითარება, ცოტა არ იყოს, გაურკვეველია. რატომ უკრძალავდნენ მეძავებს გერმანიაში ჩასვლას ან რატომ დაიწყეს ახლა იმაზე მუშაობა, რომ მათი რაოდენობა კიდევ 40 ათასით გაიზარდოს, არავინ იცის.

ცხადია, პრობლემა შეიძლება მოგვარდეს. იმედია, გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატს ამაზე მეტი პრობლემა არ შეექმნება.

## ინფოთეკა

### ლორიამ ხელი მოიტეხა

ყაზახეთის ნაკრების ქართველმა მეკარემ დავით ლორიამ ვარჯიშზე ხელი მოიტეხა. ერთ-ერთ სათამაშო მომენტში ლორიამ ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. მეკარე საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამედიცინო შემოწმებამ უჩვენა, რომ მას ხელი აქვს მოტეხილი.

### ეშლი კოული "არსენალს" არ დატოვებს

ინგლისის ნაკრებისა და "არსენალის" მცველი ეშლი კოული ვერ ხედავს "არსენალის" დატოვების საჭიროებას. შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელის გადაბირებაზე "ჩელსი" და "რეალი" მუშაობდნენ.

"გუნდის დატოვებას არ ვაპირებ. ამის თაობაზე არაერთხელ მითქვამს. იმედია, "არსენალიდან" წასვლა არ მომიწევს. ანრი ჩვენთან რჩება და მე რატომ უნდა წავიდე?!" - აცხადებს ფეხბურთელი.

არადა, სულ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ჩელსი" "არსენალს" კოულში შონ რაით ფილიპსს გაუცვლიდა.

### "რეინჯერსს" სასჯელი გაუმკაცრეს

უეფამ გაზარდა შოტლანდიური "რეინჯერსის" საჯარიმო სანქცია. "რეინჯერსისა" და "ვილიარეალის" მატჩის დროს ტრიბუნებზე მომხდარი არეულობის გამო შოტლანდიურ გუნდს ჯარიმის სახით 13 ათასი ევრო უნდა გადაეხადა. შოტლანდიელებმა ეს გადაწყვეტილება გააპროტესტეს. აპლაციის შემდეგ კი უეფას დისციპლინარულმა კომიტეტმა თანხა 19 000 ევრომდე გაზარდა.

### როსიცკი კმაყოფილია

ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველმა ტომაშ როსიცკიმ განაცხადა, რომ "არსენალთან" კონტრაქტის გაფორმებით იგი ევროპის საუკეთესო კლუბში გადავიდა.

"არსენალში" გადასვლა ჩემთვის უდიდესი მოვლენაა. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ გუნდში აღმოვჩნდი. "არსენალი" ევროპის საუკეთესო გუნდია და ეს მომავალ სეზონში გამოჩნდება", - განაცხადა ჩეხმა ფეხბურთელმა ლონდონურ კლუბთან კონტრაქტის გაფორმებისთანავე.

### უკმაყოფილო დუდეკი

"ლივერპულის" მეკარემ იეჟი დუდეკმა არ დამალა უკმაყოფილება ნაკრებში გამოუძახებლობის გამო.

"იანასს შემადგენლობის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე ვესაუბრე. მან დამარწმუნა, რომ აუცილებლად წამიყვანდა გერმანიაში. როდესაც ნაკრების შემადგენლობას გავეცანი, მეგონა რომ ვილაცამ იხუმრა. არ მესმის რატომ არ მივყავარ მსოფლიო ჩემპიონატზე", - აცხადებს მეკარე.

### ოლიჩი დაშავდა

ავსტრიის ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგური მატჩის შემდეგ ხორვატიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელა ზლატკო კრანჩარმა განაცხადა, რომ ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, ვინ იქნება გუნდის ნომერ მეორე თავდამსხმელი მსოფლიო ჩემპიონატზე.

„კლასნიჩმა დაადასტურა, რომ უმაღლესი დონის ფორვარდია, მაგრამ ჯერ არ გადამიწყვეტია, ვინ ითამაშებს მეორე თავდამსხმელის პოზიციაზე - ის თუ ოლიჩი. საერთოდ, ავსტრიასთან მატჩში ოთხმა თავდამსხმელმა დაიმსახურა ჩემი მოწონება“, - განაცხადა კრანჩარმა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრები F ჯგუფში ბრაზილიასთან, იაპონიასთან და ავსტრალიასთან ერთად იასპარეზებს. პირველ მატჩს ხორვატები 13 ივნისს ბერლინში გამართავენ და ბრაზილიელებს შეხვდებიან.

### შვეიცარიას ფონლანტენი გამოაკლდება

შვეიცარიის ნაკრების თავდამსხმელს იოჰან ფონლანტენს ვარჯიშისას მუხლის მყესები დაუზიანდა და შესაძლოა მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთიშოს.

შეგახსენებთ, რომ 20 წლის შვეიცარიელი ფეხბურთელი ორი წლის წინ ფეხბურთის ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, რომელმაც ევროპის ჩემპიონატებზე გაიტანა გოლი.

„ტრავმის გამო მუნდიალზე ფონლანტენის გამოსვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მისი მდგომარეობა უახლოეს დღეებში გაირკვევა, თუმცა იოჰანის შემცვლელს მაინც ვეძებთ. არ გამოვრიცხავ, ფონლანტენი ჰაკან იაკინმა შეცვალოს, რომელმაც ცოტა ხნის წინ მოიშუშა ტრავმა. ის ყოველთვის მხსნელად გვევლინებოდა რთულ სიტუაციებში. მისი იმედი ახლაც მაქვს“, - განმარტა შვეიცარიელთა თავკაცმა კობი კუნმა.

### დიკ ადვოკაატს კორეის სჯერა

სამხრეთ კორეის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა ვარაუდი გამოთქვა, რომ მის გუნდს ყველა შესაძლებლობა აქვს, რათა წლევანდელ მუნდიალზე ოთხი წლის წინ მიღწეული წარმატება გაიმეოროს. შეგახსენებთ, რომ 2002 წელს გუს ჰიდინკის დამოძღვრილმა სამხრეთკორეელებმა ტურნირის ნახევარფინალმდე გააღწიეს.

„გერმანიაში სრულ მზადყოფნაში ჩავდივართ. კორეელი გულშემატკივარი ჩვენგან მაქსიმუმს მოელის. კარგად დაბალანსებული გუნდი გვყავს, რომელსაც ფეხბურთის ბევრი მოყვარულის გაკვირვება შეუძლია“, - განაცხადა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა.

# ინფოთეკა

## კაპელო მოჯის ნაცვლად

ოფიციალურად დადასტურდა, რომ „იუვენტუსის“ თავკაცი ფაბიო კაპელო, რომელიც სავარაუდოდ კლუბს მომავალი სეზონიდან აღარ უთავკაცებს, გენერალური მენეჯერის პოსტზე ლუჩანო მოჯის შემცვლელად დაინიშნა.

გარდა ამისა, აპენინური პრესა ფაბიო კაპელოს მომავალს ამერიკულ საფეხბურთო კლუბ „რედ ბულ ნიუ იორკს“ უკავშირებს.

მათივე ცნობით, ფაბიო კაპელო ნიუ იორკში უკვე შეხვდა ამერიკული კლუბის მფლობელს დიტრიხ მატეშიტცს, რომელმაც იტალიელ სპეციალისტს გრძელვადიანი კონტრაქტი შესთავაზა.

ამერიკაში გადაბარგების შემთხვევაში კაპელოს ყოველწლიური ხელფასი 2,5 მილიონი ფუნტით ნაკლები იქნება, ვიდრე მას ტურინულ კლუბში უხდიდნენ. კონტრაქტის თანახმად, იტალიელი მანჰეტენზე მდებარე სახლში იცხოვრებს და პირადი მძღოლი მოემსახურება.

გავრცელებული ხმების თანახმად, კაპელო სერიოზულად აპირებს განიხილოს ამერიკული მხარის შეთავაზება. მით უმეტეს, რომ, სავარაუდოდ, მომდევნო სეზონი „იუვენტუსმა“ შესაძლოა სასჯელის სახით სერია ბ-ში დაიწყოს.

## ბალაკი 60 ათასით დაჯარიმდება

გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავს მიხაელ ბალაკს 60 ათასი ევროს ოდენობის ჯარიმა დაეკისრება. ბუნდესნაკრების კაპიტანი საბაჟო კანონების დარღვევაში დაადანაშაულეს.

სკანდალის საბაბი გახდა ქალის ხელჩანთა, რომელიც ბალაკმა მეუღლე სიმონასთავის შეიძინა. საჩუქარი ბალაკმა შეიძინა დუბაიში, სადაც ზამთარში მიუნხენის „ბაიერნი“ შეკრებას გადიოდა. 16 იანვარს, სამშობლოში დაბრუნებისას, მიუნხენის აეროპორტში ბალაკი საბაჟოს თანამშრომლებმა საბაჟო თანხის - 380 ევროს გადაუხდელობაში დაანაშაულეს, რის გამოც მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ბალაკის მხრიდან კანონის დარღვევის ფაქტს დაადასტურებს, „ბაიერნის“ ექსფეხბურთელს 60 ათასი ევროს გადახდა მოუწევს.

## მორიენტესს სამშობლოში უხმობენ

ესპანური „ვალენსიას“ მთავარი მწვრთნელი კიკე ფლორესი დიდ სურვილს გამოთქვამს, სამშობლოში დააბრუნოს „რეალის“ ექსთავდამსხმელი ფერნანდო მორიენტესი.

ფლორესმა უკვე შეძლო დაეთანხმებინა კლუბის ახალი დირექტორი ამადეო კარბონი, რომელმაც მოლაპარაკება გამართა მერსისაიდული კლუბის ხელმძღვანელობასთან, რომლის შედეგადაც დასახელდა მორიენტესის სატრანსფერო თანხა - 3,5 მილიონი ფუნტი.

ერთ-ერთი ვერსიით კი, „ლივერპულის“ მთავარმა მწვრთნელმა ფლორესს ნაკლები თანხა - 2,5 მილიონი ფუნტის გადახდა შესთავაზა. თუმცა, სანაცვლოდ, თანხასთან ერთად, მარკო დი ვაიოც მოითხოვა.

## ვიეირა გაქურდეს

საფრანგეთის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ნახევარმცველმა პატრიკ ვიეირამ კანის პოლიციას შეატყობინა, რომ კურორტის სანაპიროზე მდებარე მისი ვილა გაქურდული დახვდა. ქურდებმა ძვირფასეულობასთან ერთად გაიტაცეს ფეხბურთელის „მერსედესიც“, რომელიც პოლიციელებმა მოგვიანებით ნიცაში იპოვეს.

ვიეირას ვილაში ქურდები მაშინ შევიდნენ, როცა ფრანგი ნახევარმცველი საფრანგეთის ნაკრებთან ერთად შეკრებაზე იყო ტინში. ვილაში შეღწევისას ქურდებმა გაზი გამოიყენეს, რათა დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ ვიეირა, მისი ცოლი ჩერილი და შვილი არ გაიღვიძებდნენ.

## რებროვი საუკეთესოა

კიევის „დინამოს“ 31 წლის ფორვარდი სერგეი რებროვი უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა.

წლევანდელ სეზონში „დინამოს“ საუკეთესო ბომბარდირმა კლუბში თამაშის მანძილზე გატანილ 103 გოლს კიდევ 13 მიუმატა და უკრაინის ჩემპიონატში საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა. გარდა ამისა, რებროვი 200-ბურთიან ზღვარსაც გადასცდა. პირველი გოლი მან საბჭოთა კავშირის 1991 წლის ჩემპიონატში „შახტარის“ შემადგენლობაში გაიტანა.

უკრაინის წლის საუკეთესო მწვრთნელად კი „შახტარის“ 60 წლის რუმინელი დამრიგებელი მირჩა ლუჩესკუ დასახელდა.

## რეინა 9 ივნისს ვერ ითამაშებს

„მანჩესტერ სიტისა“ და ამერიკის ნაკრების ნახევარმცველმა კლაუდიო რეინამ მაროკოსთან 1:0 წაგებულ მატჩში ტრავმა მიიღო, რის გამოც, სავარაუდოდ, 9 ივნისს ნაკრების პირველ მატჩს გამოტოვებს.

„გული მწყდება, რომ ტრავმა მაინცდამაინც მუნდიალის წინ მივიღე. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დამთავრდება და ტრავმა ხელს არ შემიშლის ტურნირზე თამაშში“, - თქვა რეინამ.

საბოლოო პასუხს რეინას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ექიმები დღეს იტყვიან.

კლაუდიო რეინას ამერიკის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ორ ჩემპიონატზე აქვს ნათამაშევი - 1994 წელს ამერიკაში, 1998-ში კი - საფრანგეთში. ნაკრების 109 მატჩში მის ანგარიშზე 8 გოლია.

# რობინიოს მიზანი: მსოფლიო ჩემპიონატის მოგება

მარი ჭავახიშვილი

ამ ფეხბურთელმა გერმანიაში პირველად შარშან, კონფედერაციის თასზე გაიბრწყინა, როცა მსოფლიო საფეხბურთო სამყარო თავისი არაორდინარული ფინტებით და დრიბლინგით გააოცა.

ბრაზილიელმა თავდამსხმელმა, რომელსაც რობინიოდ ვიცნობთ, იმავე ტურნირზე დიდი წვლილი შეიტანა სელესაოს გამარჯვებაში.

სამხრეთამერიკელ ფეხბურთელს ძალიან უნდა, რომ იგივე გზა მსოფლიო ჩემპიონატზეც გაიაროს და 9 ივლისს ბრაზილიას მეექვსეჯერ მოუტანოს ჩემპიონის ტიტული.

„გულდასაწყვეტი იქნება, თუ ფინალში ვერ გავაღწევთ. ბრაზილია ნებისმიერი ტურნირის ფავორიტია, მით უმეტეს, მსოფლიო ჩემპიონატის“, - ამბობს რობინიო.

ამბიციის მიუხედავად, სწრაფი და შემტევი ფორვარდი შანსებს მაინც პრაგმატულად აფასებს და ფიქრობს, რომ მხოლოდ ფავორიტის სტატუსი გამარჯვების საწინდარი არ არის.

„ჩემი აზრით, მატჩამდე შანსებზე საუბარი დროის ფლანგვაა და მეტი არაფერი. თამაშის ბედს უშუალოდ მისი მიმდინარეობისას მოედანზე მყოფი 22 ფეხბურთელი წყვეტს. ბრაზილიას ნებისმიერ მეტოქესთან თანაბრად შეუძლია მოგებაც და წაგებაც. ამიტომ ღრუბლებში ფრენის ნაცვლად უკეთესი იქნება, თუ თითოეულ მოწინააღმდეგეს სერიოზულად მოვეკიდებით. ვიცით, რომ ისეთი ძლიერი ნაკრებები, როგორებიც არიან არგენტინა, ინგლისი და ტურნირის მასპინძელი გერმანია, მსოფლიო ჩემპიონატზე ყოველთვის კარგად თამაშობენ. თუმცა, არც ბრაზილია გამოდის ურიგოდ“, - ეს ისევ რობინიოს სიტყვებია.

...ჯერ კიდევ ექვსი წლისა ბურთს ისე ფლობდა, რომ თვით ბრაზილიაშიც, სადაც არავის უკვირს კარგი ფეხბურთელობა, სპეციალისტები აღტაცებაში მოჰყავდა. რაღა გასაკვირია, რომ რობინიო მაშინვე „სანტოსის“ საფეხბურთო სკოლაში აიყვანეს. თავის დროზე ფეხბურთის ანაბანას ამ სკოლაში ეზიარა მეფე პელეც, რომელმაც, რობინიოს შემყურემ, აღტაცება ვერ დამალა: „მას აქვს ყველა ის მონაცემი, რითიც შეუძლია ჩემზე უკეთესი გახდეს“.



რობინიო: „ნებისმიერი მატჩის წინ ყოველთვის ბრაზილიურ მუსიკას ვუსმენთ.

„სანტოსში“ ხუთწლიანი თამაშის მერე რობინიომ გადაწყვიტა ევროპაში მოესინჯა ძალები. შარშან ზაფხულში ახალგაზრდა ფეხბურთელი მადრიდის „რეალში“ გადაბარგდა. მიუხედავად იმისა, რომ პირველ სეზონში ახალ კლუბთან ერთად ვერაფერი მოიგო, „სამეფო კლუბში“ გადასვლას მაინც არ ნანობს და მომავალს ოპტიმისტურად უყურებს:

„მართალია, წელს „ბარსელონას“ დავუთმეთ პრიმერას ჩემპიონობაც და ჩემპიონთა თასიც, მაგრამ მომავალ სეზონში ამას აღარ დავუშვებთ. რაც შემეხება პირადად მე, ევროპაში პირველ ნაბიჯებს ვდგამ და ამიტომ ისე ვერ ვთამაშობ, როგორც შემიძლია, - საკუთარ შესაძლებლობებზე საუბრობს ბრაზილიელი თავდამსხმელი, - ესპანური ფეხბურთი ძალიან ჰგავს ბრაზილიურს. რაც უფრო მეტს ვთამაშობ აქ, მით უკეთესია ჩემთვის.“

მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბევრი კითხვა გაჩნდა „რეალის“ კიდევ ერთი ბრაზილიელი თავდამსხმელის რონალდოს გარშემო. მსოფლიოს სამგზის საუკეთესო ფეხბურთელს სპეციალისტები სათამაშო ფორმას უწუნებდნენ, თუმცა რობინიომ თანაგუნდელთან დაკავშირებით არსებული ყველა ეჭვი უარყო:

„რონალდო მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია. მისით არც წინა მუდნიალის დაწყებამდე იყვნენ კმაყოფილნი, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია „კიჭასთვის“ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გამხდარიყო. ყველას გასაგონად ვამბობ, რომ რონალდო გერმანიაშიც საუკეთესო იქნება და ყველაფერს გააკეთებს ამისთვის. რონალდო რონალდოა!“

2002 წელს, როცა რობინიო ტელევიზით უყურებდა კორეა-იაპონიაში რონალდოს თამაშს, ალბათ ვერც იფიქრებდა, რომ სამი წლის შემდეგ კონფედერაციათა თასზე თავად მოირგებდა სანატრელ ლურჯ-ყვითელ ფორმას.

„კონფედერაციათა თასზე თამაშით ჩვენმა გუნდმა დიდი გამოცდილება შეიძინა. მართალია, მსოფლიოს თასი არ მოგვიგია, მაგრამ ეს კარგი გაკვეთილი იყო თითოეული ჩვენგანისთვის“, - ასე შეაფასა რობინიომ კონფედერაციათა თასზე თამაში.

კარლოს ალბერტო პარეირას მიერ გაწვრთნილ ბრაზილიის ნაკრებში თამაშით ახალგაზრდა თავდამსხმელი მხოლოდ სიამოვნებას იღებს:

„გუნდის შეკრებაზე საოცარი ატმოსფეროა. თითოეული ჩვენგანი ფეხბურთის სიყვარულით ტკბება“.

ძნელია, არ დაეთანხმო რობინიოს სიტყვებს - ეს ხომ ბრაზილიაა - მზისა და სამბას ქვეყანა.

„ნებისმიერი მატჩის წინ ყოველთვის ბრაზილიურ მუსიკას ვუსმენთ და ბევრს ვხუმრობთ. მოედანზე ვცდილობთ სიამოვნება მივიღოთ და ისეთივე განწყობით ვითამაშოთ, როგორიც თამაშამდე გვქონდა. ყოველი შეხვედრის წინ ღმერთს ვთხოვთ ჩვენი და ჩვენი მეტოქე ფეხბურთელები ტრავმებისგან დაიცვას და მხოლოდ ამის შემდეგ გავდივართ სათამაშოდ“, - ამბობს რობინიო.

ის ისეთივე ლაღია, როგორც მისი ყველა თანაგუნდელი. ცდილობს, ყოველთვის კარგ განწყობაზე იყოს და ხალხს ღიმილი აჩუქოს. ამაში კი ის საქმე ეხმარება, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს - ფეხბურთის თამაში.

„ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს - ვთამაშობ ფეხბურთს, საყვარელი ადამიანები ჯანმრთელად მყავს. მეტი რაღაა საჭირო ბედნიერებისთვის?!“ - კმაყოფილებას ვერ მალავს რობინიო.

მისი უახლოესი გეგმების გამოცნობა კი, რა თქმა უნდა, არავის გაუჭირდება: „მიზანი? - რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვება, - დაუფიქრებლად ამბობს ბრაზილიელი, - და კიდევ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელობა!“.

# „მაიამიმ“ ფინალური სერია გამარჯვებით დაიწყო

NBA-ს აღმოსავლეთ კონფერენციაში ფინალური სერია დაიწყო. პირველ შეხვედრაში კონფერენციის საუკეთესო გუნდმა „დეტროიტმა“ „მაიამის“ უმასპინძლა. მატჩი დაძაბული გამოდგა და დასრულდა სტუმართა გამარჯვებით - 91:86.

მთელი სეზონის განმავლობაში „მაიამის“ შაკილ ო`ნილისა და დუეინ ვეიდის გუნდს უწოდებდნენ, კონფერენციის ფინალში კი პატ რაილის შეგირდებს სამმა ვეტერანმა მოუტანა გამარჯვება. ბრწყინვალედ ითამაშეს გერი პეიტონმა, ენტონი ულოკერმა და ჯეისონ უილიამსმა. ამ სამეულმა ჯამში 41 ქულა დააგროვა და დიდი წვლილი შეიტანა გუნდის გამარჯვებაში.

საუკეთესო კი დუეინ ვეიდი იყო. ისევე როგორც ნახევარფინალურ სერიაში, დუეინმა ლიდერობა საკუთარ მხრებზე იტვირათა. მის ანგარიშზე 25 ქულა, 3 მოხსნა, 5 შედეგიანი გადაცემა, 2 ჩაჭრა და ერთი ბლოკშოტია.

დეტროიტელებმა მთელი აქცენტი შაკილის ნეიტრალიზებაზე გადაიტანეს. მართალია, მათ ეს ნაწილობრივ მოახერხეს, მაგრამ ამ ვითარებაში ხელ-ფეხი გაეხსნათ დანარჩენ მაიამელებს და შედეგიც სახეზეა.

რაც შეეხება „დეტროიტს“, ამ გუნდში საუკეთესო რიჩარდ ჰამილტონი იყო. მის ანგარიშზე 22 ქულა, 4 მოხსნა და სამი შედეგიანი გადაცემაა. ნახევარფინალური სერიის გმირმა ტაიშონ პრინცმა კი გუნდს მხოლოდ 16 ქულა შესძინა.

ფაქტობრივად, მატჩის ბედი გადაწყდა პირველივე მეოთხედში, რომელიც „მაიამიმ“ 8-ქულიანი უპირატესობით მოიგო. ამის შემდეგ ფაქტობრივად თანაბარი თამაში მიმდინარეობდა და მასპინძლებმა პირველ მეოთხედში დაკარგულის აღმოფხვრა ველარ შეძლეს.

„ეს პირველი შემთხვევაა ამ სეზონში, როცა გუნდმა თითქმის სრული შემადგენლობით ითამაშა. ცხადია, შედეგით კმაყოფილი ვარ. მეტოქის მოედანზე მოპოვებული გამარჯვება გარკვეულ უპირატესობას გვაძლევს. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია. ვფიქრობ, გამარჯვებულის გამოვლენას შვიდივე მატჩის გამართვა დასჭირდება“, - განაცხადა მატჩის შემდეგ მაიამელთა გამოცდილმა დამრიგებელმა პატ რაილიმ.



„მაიამიმ“ პირველი ნაბიჯი გადადგა.




## ექიმი არ დაინდეს

"მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელებმა სამსახურიდან გაათავისუფლეს გუნდის ექიმი მაიკ სტოუნი, რომლის თანხმობის შემდეგ შესაძლებელი გახდა ტრავმირებული რუნის წაყვანა მსოფლიო ჩემპიონატზე. შეგახსენებთ, რომ სერ ალექს ფერგიუსონი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ნაკრებში რუნის გამოძახებას. ფერგიუსონის თქმით, ტრავმირებული რუნის წაყვანა დანაშაული იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ექიმმა თქვა, რომ ფეხბურთელი ჯაანმრთელია, მანკუნიანელებს გამოსავალი აღარ ჰქონდათ და რუნი ნაკრებში გაუშვეს.

## მესი მუნდიალისთვის მზად იქნება

არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებისთვის ლიო მესი სრულ მზადყოფნაში იქნება. "მესი გუნდთან ერთად ვარჯიშობს, ფორმა ფაქტობრივად მთლიანად აღიდგინა და ჩემპიონატის დაწყებისთვის ასი პროცენტით მზად იქნება", - აცხადებს პეკერმანი.

## პსვ-მ ახალი მეკარე შეიძინა

ჰოლანდიის ჩემპიონმა პსვ-მ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა 33 წლის მეკარე ოსკარ მუნსომთან. გასული სეზონი მან "ვილემში" გაატარა, თუმცა სეზონის დასრულების შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდა და უპრობლემოდ გააფორმა კონტრაქტი ჰოლანდიური ფეხბურთის გრანდთან.

## ტონი არ იყიდება

"ფიორენტინას" სპორტულმა დირექტორმა პანტელეო კორვინომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ გუნდი ამ ზაფხულს ლუკა ტონის გაყიდვას არ აპირებს. "ფინანსური პრობლემები არ გვაქვს, ამიტომ ტონის გაყიდვა დღის წესრიგში არ დგას. ფეხბურთელს გუნდთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და ლუკა მომავალ სეზონსაც "ფიორენტინაში" გაატარებს. მეტიც, ჩვენ შემადგენლობის გაძლიერებას ვაპირებთ. ზაფხულში ალბათ რამდენიმე ფეხბურთელს ვიყიდით", - აღნიშნა კორვინომ.

## რაიკაარდს მცველი არ სჭირდება

სეზონის დასრულების შემდეგ ხშირად საუბრობდნენ "ბარსელონას" სატრანსფერო პოლიტიკაზე. ამბობდნენ რომ კატალონიური კლუბი ზაფხულში აუცილებლად იყიდის ერთ მცველს მაინც. გვარებიც სახელდებოდა. შესაძლო შენაძენთა სიაში აღმოჩნდნენ კრისტიან კივუ, დანიელ ალვეში, უილიამ გალასი და პატრიკ ოვომოიელა. გუშინ კი ერთ-ერთი ესპანური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში კლუბის სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა განაცხადა, რომ რაიკაარდი მცველის შეძენით დაინტერესებული არ არის, ამიტომ ზაფხულში "ბარსელონა" მცველს არ იყიდის.

## შირაკის იმედი

ტელეარხ TV Globo-სთვის მიცემულ ინტერვიუში საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა იმედი გამოთქვა, რომ გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გამეორდება 1998 წლის ფინალი - საფრანგეთის ნაკრები ანგარიშით 3:0 კიდევ ერთხელ დაამარცხებს ბრაზილიელებს. "იმედია, კარგი ფინალი გველის, რომელშიც გამარჯვებას ფრანგები იზეიმებენ", - ამბობს შირაკი.

## დაბო ვერ დააფასეს

ფრანგი ნახევარმცველი ოსმან დაბო იტალიურ "ლაციოს" ტოვებს და ბრიტანულ "მანჩესტერ სიტიში" გააგრძელებს კარიერას. "ლაციოს" პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოსთან ვერაფრით ვერ მოვახერხე საერთო ენის პოვნა. ვფიქრობ, რომაულ კლუბში არ მაფასებდნენ. თავად განსაჯეთ: მთხოვეს კონტრაქტი გამეგრძელებინა და ხელფასის სახით წელიწადში 320 000 გირვანქა სტერლინგი შემომთავაზეს. ნუთუ მეტის ღირსი არ ვარ?" - ამბობს დაბო.

## რონალდინიოს რჩევა

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე ბრაზილიის ნაკრების მეგავარსკვლავი რონალდინიო ინგლისელებს რჩევებს აძლევს. "ვფიქრობ, რუნის არყოფნაში ინგლისის ნაკრებს ფრენკ ლამპარდმა უნდა უკაპიტნოს. სწორედ ის არის ინგლისელთა ყველაზე ღირსეული ფეხბურთელი. ლამპარდს დიდ პატივს ვცემ. ის ნამდვილი ლიდერია და, ჩემი აზრით, კაპიტნობასაც იმსახურებს. ძალიან მეწყინა, რომ მუნდიალის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე რუნი დაშავდა. საცოდაობა იქნება, თუ უეინმა მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს," - აცხადებს რონალდინიო.

## ბესტის სახელი უკვდავყვეს

ჩრდილოეთ ირლანდიაში ჯორჯ ბესტის სახელი უკვდავყვეს - ბელფასტის აეროპორტს ყველა დროის საუკეთესო ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელის სახელი ეწოდა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელი, რომელსაც თავის დროზე პელეზე უფრო ნიჭიერადაც კი მიიჩნევდნენ, გასული წლის ნოემბერში ღვიძლის დაშლით გარდაიცვალა. ამის მიზეზი ალკოჰოლისადმი მიდრეკილება იყო.

## პორტუგალიელთა პრობლემა

პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელები არმანდო პეტიტი და ნუნუ გომეში შესაძლოა დაისაჯონ. საქმე ისაა, რომ მათ ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე მიიტანეს პირატული წარმოების ორი DVD. ერთზე ჩაწერილი იყო ფილმი "შეუსრულებელი მისია 3", მეორეზე კი - "ძირითადი ინსტინქტი 2". ამაში თითქოს კანონდარღვევა არ არის, მაგრამ, პორტუგალიის კანონების თანახმად, ის ადამიანიც კი ისჯება, რომელიც პირატულ ნაწარმს გამოიყენებს. თანაც სასჯელი საკმაოდ სერიოზულია - სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. ახლა პორტუგალიელი სამართალდამცავები ამ საქმეს იძიებენ. სავარაუდოდ, ამის გამო ფეხბურთელებს ციხეში არავინ ჩასვამს, თუმცა ფულადი ჯარიმის გადახდა ალბათ მაინც მოუწევთ.

## ჰიდინკმა კიუელი დაიწუნა

"ლივერპულისა" და ავსტრალიის ნაკრების ფორვარდი ჰარი კიუელი ალბათ ვერ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩს. შეგახსენებთ, რომ ავსტრალიელთა პირველი მეტოქე იაპონიის ნაკრები იქნება. გუუს ჰიდინკის თქმით, ჰარი კიუელს ჯერაც არ მოშუშებია ტრავმა. ამიტომ იაპონელებთან შეხვედრაში ჰარი სათადარიგოთა სკამზე იქნება.

## ეგვიპტელთა კაპიტანი "ანდერლეხტში"

ბელგიის ჩემპიონმა "ანდერლეხტმა" დაასრულა მოლაპარაკება ეგვიპტის ნაკრების კაპიტან აჰმედ ჰასანთან. "ჰასანი თავისუფალი აგენტის სტატუსით მოვიდა გუნდში. მასთან ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ", - ნათქვამია ბელგიური კლუბის ოფიციალურ განცხადებაში. შეგახსენებთ, რომ გასული სეზონი ეგვიპტელმა ფეხბურთელმა თურქულ "ბეშიქთაშში" გაატარა.

## კერჟაკოვს ესპანეთში ელიან

რუსეთის ნაკრებისა და სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" ფორვარდი ალექსანდრ კერჟაკოვი შესაძლოა ესპანურ "სევილიაში" აღმოჩნდეს. ესპანური კლუბის ხელმძღვანელები სერიოზულად დაინტერესდნენ ახალგაზრდა რუსი ფორვარდის შეძენით. თუ ორი გუნდი სატრანსფერო თანხაზე მორიგდა, მომავალ სეზონს კერჟაკოვი უკვე "სევილიაში" გაატარებს.

## ხორვატები აღარ იმუშავებენ

ხორვატიის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას სამსახურის გაცდენას აპირებს. ხორვატიაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შემდეგ გაირკვა, რომ მოსამსახურეთა 15 პროცენტი შეეცდება ყალბი ბიულეტენი გააკეთოს, რათა მსოფლიო ჩემპიონატის დროს მშვიდად უყუროს ფეხბურთს, 27 პროცენტი კი ბიულეტენის გაკეთებითაც არ შეიწუხებს თავს - უბრალოდ გააცდენს სამსახურს. გასული ერთი კვირის განმავლობაში გამოიკითხა 2000-ზე მეტი ადამიანი, ძირითადად 18-დან 39 წლამდე ასაკის. მათი 60 პროცენტი მამაკაცი იყო.

## რუმინელი "ჰამბურგში"

გერმანული "ჰამბურგი" მზადაა რუმინულ "რაპიდს" 3,3 მილიონი ევრო გადაუხადოს რუმინეთის ნაკრების ფორვარდ დანიელ ნიკულაეში. გერმანული მედიის ინფორმაციით, "ჰამბურგი" ფეხბურთელთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს, რომლის თანახმად ფეხბურთელი პირველ სეზონში 700 000 ევროს მიიღებს. ყოველ მომდევნოში კი მისი ხელფასი 100 000 ევროთი გაიზრდება.

## ტოტი ჯერ მზად არ არის

იტალიის ნაკრების ექიმმა ენრიკო კასტელაჩიმ განაცხადა, რომ, სამედიცინო ტესტირების შემდეგ მიღებული დადებითი შედეგის მიუხედავად, ამ ეტაპზე შეუძლებელია იმის თქმა, იქნება თუ არა მზად ფრანჩესკო ტოტი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებისთვის. "შემიძლია ვთქვა, რომ მთელი გუნდი კარგ ფორმაშია. ტოტი საერთო ჯგუფში ვარჯიშობს, ოღონდ ჯერჯერობით მხოლოდ სპეციალური პროგრამით. ამ ეტაპზე შეუძლებელია იმის თქმა, იქნება თუ არა ფრანჩესკო მზად მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მატჩებისთვის", - აცხადებს იტალიელთა ექიმი.

## ბლატერმა პენტაკამპეონები მოინახულა

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა შვეიცარიაში საწვრთნელ ბაზაზე მყოფი ბრაზილიის ნაკრები მოინახულა. სააგენტო როიტერის ინფორმაციით, ბლატერმა ფეხბურთელებთან ერთად ისადილა და დაახლოებით ოთხი საათი გაატარა ფეხბურთელთა სასტუმროში. ფიფას პრეზიდენტმა წარმატებები უსურვა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებს და ვიზიტი ამით დაასრულა.

## სომხებს წაგება ჩაუთვალეს

სომხეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ჩაეთვლება ტექნიკური მარცხი (0:3) ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო მატჩში სან მარინოს ნაკრების წინააღმდეგ. ეს შეხვედრა 17 მაისს გაიმართა და სომხებმა 2:1 გაიმარჯვეს, მაგრამ ამ ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა ფეხბურთელმა, რომელსაც დისკვალიფიკაციის გამო ეს მატჩი უნდა გამოეტოვებინა. უეფას გადაწყვეტილებით, სომხეთის ნაკრებს ტექნიკური მარცხი ჩაეთვლება.

# ბარბაროსებმა სავაკო რაზმი შეარჩიეს

იქითა კვირას, 4 ივნისს, ვაკეში დიდი თამაშია. პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, ჩამოგვაკითხავს მსოფლიოში უცნობილესი წვეული გუნდი ბარბერიანსი (ქართულად ბარბაროსები) და ჩვენს სანაქებო ბორჯღალოსნებს საბურთაო შოუს გაუმართავს.

ბარბაროსები 1890 წელს საქველმოქმედო მიზნით შეიქმნა. კლუბი სამოყვარულო ეპოქის შვილია. მას დღემდე არა აქვს საკუთარი შენობა და მოედანი, მაგრამ გემრიელად კი რაგბობს, რის გამოც მთელ რაგბეთში გავარდნია სახელი. ერთი სიტყვით, საქართველოში მისი ჩამოსვლა იმავე რანგის მოვლენაა, რაც 1930-იან წლებში ბასკ ფეხბურთელთა ვიზიტი და 1950-იანებში ჰარლემ გლობ-თროთერზის კალათბურთელთა სტუმრობა იყო.

უწინ ბარბაროსები შობასა და აღდგომაზე ტრადიციულ ტურნეებს მართავდნენ და ლელოთა-ცვენით აპურებდნენ ფანობას. მათვე ეკისრებოდათ ბრიტანეთში სტუმრად მყოფი სამხრეთელი ბუმბერაზების (ახალი ზელანდია, სამხრეთი აფრიკა, ავსტრალია) გაცილება. ჰოდა, ამათი გრძელი ტურნე მუდამ თეთრ-შავ ზოლებიან კვართებში გამოწყობილ ვარსკვლავთა თავკრებულთან გაჯიბრებით სრულდებოდა.

პროფესიულ ხანაში ბარბაროსები პროფილს იცვლიან. თანამედროვე რაგბში დატვირთვა ისე გაუსაძლისი გახდა, რომ მოთამაშენი რაგინდარა სახის საჩემპიონატო მატჩებს ძლივსღა აუდიან, რის გამოც შოუსა და ქველმოქმედებისთვის აღარც დრო რჩება და არც ჯანი და ხალისი. ასე რომ, ვითაც სეზონის ბოლოს საქმე ნაკლებადა აქვთ, ისინი კიდევ იკრიბებიან, მზარდ სარაგბო ქვეყნებში მიდიან და იქაურ თემებს თამაშის ერთგულებისთვის პატივს მიაგებენ.

### ლიანგი რაგბს რომ ჩაწვდეს

ბარბაროსები ამ მისიით შარშანწინ პორტუგალიაში იყვნენ, წელს კი ჩვენი რიგი დადგა იმის გამო, რომ ნოემბერში ურუგვაიმ აზრუმანი გვიყო, ირბ-მა კი მისი დასჯა არ ინება და ტეროსის შატალოთი მოყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ვარსკვლავური შოუ შემოგვთავაზა. ჩვენები ამ პირობას ციმციმ დაყაბულდნენ, რადგან ბორჯღალოსანთა წარმატებების მიუხედავად, ჯერაც დიდი სამუშაოა გასაწევი, რათა ლიანგმა რაგბის სული და ესთეტიკა სრულად გაითავისოს.

ბარბაროსები საამისოდ ზედგამოჭრილნი არიან. ისინი მოედნის ნებისმიერი უბნიდან უტევენ და თანაც ხელდახელ. მათ მატჩებში ბურთის აუტში დარტყმა იშვიათია, ფეხით თამაში კი ისევ და ისევ ბურთაობის გაგრძელებას ემსახურება. რა თქმა უნდა, ევოლუციამ დაღი ყველას დაამჩნია და ბარბაროსებიც ცოტათი ანგარიშიანები გახდნენ, რის გამოც ჯარიმას ხანდახან კარშიც ურტყამენ, მაგრამ მაგით არა შავდება რა: ბოლო-ბოლო, რაგბის მუღამი ისაა, რომ ბურთი გაიტანება ხელითაც და ფეხითაც.

ბარბაროსებმა სათბილისოდ რიგიანი რაზმი შეკრიბეს. იგი ბევრად უკეთესიც იქნებოდა, ბითურ ირბ-ს მაინცდამაინც წინა დღით, შაბათს, 3 ივნისს, იოჰანესბურგში, ელის პარკზე რომ არ დაენიშნა შიდსიანთა საქომაგო მანდელას ფონდის მატჩი, რომელშიც მსოფლიო ნაკრები (იგივე ბარბაროსები) რასობრივად ჭრელ ბოკეს უნდა შეება, მაგრამ ეგეც თქმულა, ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო და დუბლინელ ყვავსაც რომ კაკალი გავაგდებინეთ, მაგით საერთაშორისო აღიარებისკენ მორიგი ნაბიჯი გადავდგით.

### ბლომად ოსტატი და ორიც გრანდი

ბარბაროსებს კავკასიაში 24 მოთამაშე მოყავთ. მათგან ათი ბეკია, 14 კი ფორვარდი. უკლებლივ ყველანი ბრიტანეთში ბურთაობენ. 11 ბარბაროსი უკეპოა, 16 მოთამაშე კი კლუბის ახალბედაა. მათი გამოწვლილვითი პროფილი თავად ბარბაროსებმა მოგვაწოდეს და პატიოსნად გადმოვაქართულეთ, ჩვენდათავად კი დავამატებთ, რომ სტუმართაგან საერთაშორისო დონის მორაგბენი არიან ვილიამსი, ლოიდი, მეგსი, სპაისი, რაულუნი, ტკაჩუკი და აზამი, ტონი მარში და ბობ სკინსტადი კი გრანდებადაც ჩაითვლებიან.

მწვრთნელიც ძაან ჭკვიანი ჰყავთ ბარბაროსებს - ავსტრალიელი პეტ ჰოვარდი, ვინც ინგლისის ლესთერს ხომ ასწავლა ბეკებით ოზურად თამაში და თბილისშიც აპირებს ღია ვარჯიშისა და სემინარის ჩატარებას. ეს ძაან არგებთ ჩვენებს. ბორჯღალოსნებიც სარაგბოდ ილესენ კბილებს. ერთი სიტყვით, ბურთაობა ჯერარნახულად ეშხიანი გამოვა და რაგბს მეტად შეაყვარებს ქართველობას, მეტადრე კი მოზარდ თაობას.

### აქეთკენ მომავალი ბარბაროსები

**ფულბეკი (15)**

**რის ვილიამსი (კარდიფი და უელსი)** 26 წლის, 180 სმ; 44 კეპი (18 ლელო) ახალი ბარბაროსი. წლეულს კარდიფის კაპიტანი იყო. ნაკრებში 2000 წლიდანაა. უთამაშია 2003 წლის მსოფლიო თასზე.

**გარემარბეები (14 11 / 22)**

**სთივ ჰენლი (სეილი და ინგლისი)** 27 წლის, 193 სმ; 1 კეპი (1 ლელო) 1-გზის ბარბაროსი (1 ლელო). ყოფილი რაგბილიგელი. ნაკრებში ერთადერთხელ 1999 წელს ირაგბა და უელსი დაალელოვა.

**ლი რობინსონი (ბრისთოლი ინგლისი)** 26 წლის, 188 სმ ახალი ბარბაროსი. პრემიერშიპის დებიუტანტმა 22 მატჩში 8 ლელო გაიტანა.

**ლიონ ლოიდი (ლესთერი და ინგლისი)** 29 წლის, 190 სმ; 5 კეპი (2 ლელო) 2-გზის ბარბაროსი. ბარბაროსებში პირველად ცხრა წლის წინ, იტალიაში ირაგბა. 1999 წლის მსოფლიო თასის მონაწილეა. 2001 წელს ჰაინეკენის თასის ფინალში პარიზის სტადე ფრანსეზს გამარჯვების ლელო გაუტანა.

**შუამარბეები (13 12 / 21)**

**კევინ მეგსი (ალსთერი და ირლანდია)** 32 წლის, 180 სმ; 70 კეპი (15 ლელო) 3-გზის ბარბაროსი. ნაკრებში პირველად ცხრა წლის წინ, ზელანდიასთან ითამაშა. თავის ამპლუაში აქამდე პირველია კეპთა სიმრავლით. 8-ჯერ შეხვედრია შოტლანდიას.

**ტონი მარში (კლერმონ ოვერნი და საფრანგეთი)** 34 წლის, 186 სმ; 21 კეპი (7 ლელო) ახალი ბარბაროსი. ძირით ზელანდიელი მაორია. თამაშობდა ჯონა ლომუს მშობლიურ ქაუნთიზ მანუკაუში. დამკვიდრდა საფრანგეთში და ლე ბლეში პირველად 2001 წელს, აფრიკის წინააღმდეგ ირაგბა. ძლია კიბო და 2003 წლის მსოფლიო თასზე უკანა ხაზის მთავარი გამწევი ძალა იყო.

**დენი ჰიპკისი (ლესთერი ინგლისი)** 24 წლის, 177 სმ ახალი ბარბაროსი. უთამაშია ინგლისის ყველა ასაკობრივ ნაკრებში (16-დან 21 წლამდე) და შვიდკაცაში. წლეულს პრემიერშიპის 22 მატჩში 5 ლელო გაიტანა.

**პივოტი (10)**

**კრის მელოუნი (ბასი ინგლისი)** 28 წლის, 183 სმ ახალი ბარბაროსი. დაიბადა სიდნეიში. თამაშობდა ავსტრალიის 21 წლამდელთა ნაკრებში. ბასში 77 მატჩი გამართა და 510 ქულა მოიხვეჭა.

**ჰავბეკი (9 / 20)**

**ჯეისონ სპაისი (ოსფრიზი უელ)** 32 წლის, 177 სმ ახალი ბარბაროსი. ველინგტონის (ზელანდია) ჰარიკენზში ზე 12-ის 70 კეპი მოიხვეჭა. ერთხელ იჯდა ოლ ბლექსის მარქაფაში. უელსში მეორე სეზონი გაასრულა.

**ჯეკობ რაულუნი (ბრისთოლი ინგ და ფიჯი)** 34 წლის, 177 სმ; 47 კეპი (5 ლელო) ახალი ბარბაროსი. ზე 12-ის რედსის ყოფილი 9 ნომრის, მოუზესის ძმაა. ნაკრებში პირველად 11 წლის წინ ითამაშა. მონაწილეობდა ბოლო ორ მსოფლიო თასზე.

**ბურჯები (1 3 / 17 23)**

**დარენ კრომპტონი (ბრისთოლი ინგ)** 34 წლის, 188 სმ ახალი ბარბაროსი. უთამაშია 21 წლამდელთა და მეორე ნაკრებებში. მონაწილეობდა სამხრეთი ნახევარსფეროს 1998 წლის, მარცხიან ტურნეში. უთამაშია ინგლისის სამ და უელსის ერთ ბობოლა კლუბში.

**ჯონ დევისი (ჰლანეჰლი და უელსი)** 35 წლის, 183 სმ; 34 კეპი (1 ლელო) 2-გზის ბარბაროსი. ნაკრებში პირველად 1991 წელს შეიყვანეს. უთამაშია 1995 წლის მსოფლიო თასზე. შარშანწინ ბარბაროსებს პორტუგალიაში ახლდა.

**ჯასტინ ფითსპატრიქი (ალსთერი და ირლანდია)** 33 წლის, 188 სმ; 26 კეპი ახალი ბარბაროსი. ნაკრებში პირველად რვა წლის წინ ითამაშა, 1999 წელს კი ჰაინეკენის თასი შემართა და მსოფლიო თასზეც ირაგბა. ორი სეზონი გაატარა საფრანგეთის კასტრში და შინ მიბრუნდა.

**კევინ ტკაჩუკი (გლაზგო შოტლანდია და კანადა)** 30 წლის, 183 სმ; 34 კეპი (5 ლელო) ახალი ბარბაროსი. ნაკრებში ექვსი წლის წინ მოხვდა და მას აქეთ 5-ჯერ უკაპიტნა. უთამაშია 2003 წლის მსოფლიო თასზე და საუნივერსიტეტო მატჩშიც სამჯერ დაუცავს ოქსფორდის ღირსება.

**კვაჭი (2 / 16)**

**პიტერ დიკსონი (ბასი ინგლისი)** 29 წლის, 180 სმ ახალი ბარბაროსი. დაიბადა ზიმბაბვეში. სამხრეთი აფრიკის ქარრის თასზე თამაშობდა ნატალში და დასავლეთ კონცხში, ზე-ში კი სტორმერზში. იყო 23-წლამდელთა ნაკრების წევრი. ბოკეს ევროპაში ტურნეზე ხლებია, პრემიერშიპში კი პირველი სეზონი გაასრულა.

**ოლივიე აზამი (გლოსთერი ინგლისი და საფრანგეთი)** 32 წლის, 185 სმ; 10 კეპი ახალი ბარბაროსი. ინგლისში ექვსი წლის წინ დამკვიდრდა. მამით არაბია. ლე ბლეს ტურნეებზე ხლებია ავსტრალიაში, ზელანდიაში, აფრიკასა და არგენტინაში.

**მეორე ხაზი (4 5 / 18)**

**ჯეიმზ ჰემილტონი (ლესთერი ინგლისი)** 24 წლის, 203 სმ ახალი ბარბაროსი. უთამაშია 19-წლამდელთა ნაკრებში, მერე კი ორი წელი ზელანდიის საკლუბო ასპარეზზე გაატარა.

**საიმონ მაიალი (ჰარლიქვინზი ინგ)** 30 წლის, 193 სმ 4-გზის ბარბაროსი. საუნივერსიტეტო მატჩში სამჯერ დაუცავს ოქსფორდის ღირსება და რაგინდ უცნაურიც უნდა იყოს, ბევრგან უშვიდკაცია.

**ჰოტი ლოუ (ჰლანეჰლი უელსი და სამხრეთი აფრიკა)** 30 წლის, 195 სმ; 3 კეპი 3-გზის ბარბაროსი. საფრანგეთის კლერმონში გადასვლამდე სტორმერზში ზე 12-ის 60-ზე მეტი კეპი მოიხვეჭა, უელსში კი პირველი სეზონი გაასრულა.

**მესამე ხაზი (6 7 8 / 19 24)**

**დენიელ ბრაუნი (ნორსჰემპტონი ინგლისი)** 27 წლის, 195 სმ ახალი ბარბაროსი. ძირით ზელანდიელია, ინგლისში კი საფრანგეთიდან მოხვდა.

**ჯეისონ ფორსტერი (დრეგონზი და უელსი)** 35 წლის, 183 სმ; 1 კეპი (1 ლელო) 3-გზის ბარბაროსი (6 ლელო). ნაკრებში გამართულ ერთადერთ მატჩში არგენტინა დაალელოვა, ბარბაროსთა შემადგენლობაში კი შარშანწინ ოთხი ლელო გაუტანა შიდა ინგლისის აღმოსავლეთ საგრაფოთა სამოყვარულო კლუბების ნაკრებს.

**ვილ სკინერი (ლესთერი ინგლისი)** 22 წლის, 180 სმ ახალი ბარბაროსი. აღიზარდა კლუბის აკადემიაში. უთამაშია შვიდკაცა და 21-წლამდელთა ნაკრებებში.

**ბრედ მაკლიოდ-ჰენდერსონი (გრან პარმა იტალია)** 31 წლის, 195 სმ ახალი ბარბაროსი. ჯამში 100-ზე მეტი მატჩი გაუმართავს ნატალსა და ზე 12-ის შარქსში, იტალიაში გადასვლამდე კი ინგლისის პრემიერშიპში ულვაწია.

**ბობ სკინსტადი (რიჩმონდი ინგლისი და სამხრეთი აფრიკა)** 30 წლის, 193 სმ; 34 კეპი (10 ლელო) 7-გზის ბარბაროსი (4 ლელო). ლეგენდარული *სკრამ სპაისი*, დასავლეთი კონცხისა და სტორმერზის მშვენება, იაპ მდედრთა ოცნების ბიჭი. ნაკრებში პირველად ცხრა წლის წინ მოხვდა. გუნდს 1999 წლის მსოფლიო თასზე უკაპიტნა. ბარბაროსებს ბრძოლაში 4-ჯერ გაუძღვა და არასოდეს დამარცხებულა. ბოლო ხანს ბიზნესითაა დაკავებული და რეკრეაციული რაგბით ხალისობს.

### მწვრთნელი

**პეტ ჰოვარდი (ლესთერი ინგლისი).** ავსტრალიის ნაკრების (20 კეპი) და ზე 12-ის ბუმბერაზ ბრამბიზის ყოფილი 12 ნომერი. ინგლისის პრემიერშიპის მინიმუმ ორგზის საუკეთესო მოთამაშე. 6-გზის ბარბაროსი. ბეკთა თამაშის მთელ მსოფლიოში აღიარებული გურუ.

*მასალა მომზადებულია საიტზე*
***rugby.ge***

## ინფოთეკა

### სალგადო ხუთ დღეს დაისვენებს

მადრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების მცველი მიჩელ სალგადო კუნთის დაჭიმვის გამო რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშებს.

ესპანეთის ნაკრების მთავარი ექიმის ხენარო ბორასის თქმით, სალგადოს ფორმის აღსადგენად, სულ ცოტა, ხუთი დღე დასჭირდება. რუსეთ-ესპანეთის ამხანაგური მატჩი 27 მაისს ესპანეთის ქალაქ ალბასეტეში გაიმართება.

### შმიცერი საეჭვოა

ეჭვქვეშ დადგა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩეხეთის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველის ვლადიმერ შმიცერის მონაწილეობა. 33 წლის ჩეხმა ფეხბურთელმა ავსტრიული შეკრებისას მარცხენა ფეხზე ტრავმა მიიღო. ექიმების თქმით, უახლოეს დღეებში შმიცერს სასტიკად ეკრძალება დატვირთვა.

შეგახსენებთ, რომ თებერვლის ბოლოს შმიცერმა ფრანგულ „ბორდოში“ თამაშისას მარჯვენა ფეხი იტკინა.

ტრავმის გართულების შემთხვევაში ვლადიმირ შმიცერს მსოფლიო ჩემპიონატზე „აუსტრიიდან“ „რეინჯერსში“ გადაბარგებული ლიბორ სიონკო შეცვლის.

### კალუ კოტ დ`ივუარის ღირსებას დაიცავს

მას შემდეგ, რაც ჰოლანდიის მთავრობამ სალომონ კალუს უარი უთხრა ქვეყნის მოქალაქეობაზე, როტერდამის „ფეიენოორდის“ თავდამსხმელმა კოტ დ`ივუარის ნაკრებში თამაში გადაწყვიტა.

„საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე და შევასრულებ პირობას, რომელიც დიდი ხნის წინ მივეცი ჩემს ძმას - მსოფლიო ჩემპიონატზე კოტ დ`ივუარის ღირსებას დავიცავ. ჰოლანდიაში დარჩენას დიდი ხნით არ ვგეგმავ, მინდა ინგლისისა და ესპანეთის ჩემპიონატში მოვსინჯო ძალები“, - განაცხადა კალუმ, რომლის ძმა ბონავენტურა კოტ დ`ივუარის ნაკრების კაპიტანია. მსოფლიო ჩემპიონატზე კოტ დ`ივუარის ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე ჯგუფში ჰოლანდია გახლავთ.

### ლოვენკრანდსი „შალკეშია“

შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსის“ დანიელი თავდამსხმელი პიტერ ლოვენკრანდსმა უარი განაცხადა კლუბთან კონტრაქტის გაფორმებაზე და თავისუფალი აგენტის სტატუსით გერმანულ „შალკეში“ გადავიდა.

26 წლის ფორვარდი „რეინჯერსმა“ დანიური „კოპენჰაგენიდან“ 2002 წელს 1,8 მილიონ ევროდ შეიძინა. 2005-06 წლების სეზონში ლოვენკრანდსმა 18 გოლი გაიტანა, რითაც გელზენკირხენული გუნდის ხელმძღვანელთა ყურადღება მიიპყრო.

„ლოვენკრანდსი კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენი კლუბის თავდასხმის ხაზს, სადაც სეზონის განმავლობაში მცირე ჩავარდნა გვქონდა“, - განაცხადა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ანდრეას მიულერმა. შეგახსენებთ, რომ მომდევნო სეზონში „შალკე“ უეფას თასზე იასპარეზებს.

### ფერნანდესი გადადგა

ფრანგული „მარსელის“ ხელმძღვანელობის განცხადებით, გუნდის მთავარი მწვრთნელი ჟან ფერნანდესი დაკავებული თანამდებობიდან გადადგა.

„ჟან ფერნანდესმა თხოვნით მიმართა კლუბის პრეზიდენტ პაპ დიუფს, რომ პირადი პრობლემების გამო თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა, რის შემდეგაც მწვრთნელმა გადაწყვეტილება მიიღო. კლუბი პატივს სცემს ფერნანდესის გადაწყვეტილებას და წარმატებებს უსურვებს“, - ნათქვამია „მარსელის“ ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ 51 წლის ფერნანდესი, რომელიც თავის დროზე „ოლიმპიკის“ ფეხბურთელიც იყო, გუნდში შარშან მივიდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. თუმცა, კლუბის წარუმატებელი ასპარეზობის გამო ფერნანდესმა ვადაზე ადრე წასვლა ამჯობინა.



# საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია თანახმად "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2006 წლის16 მარტს კვების და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:

**კვების პროდუქტები (ხელახალი)**

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი საქონლის დასახელება | განზო-მილება | რაო-დენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| ინდ. საწარმო "ლევან მაღლაკელიძე" | თეთრი პური | კგ | 21,168 | 0.78 | 16,511.04 |
| შპს "აგროკონსორციუმი წეროვანი" | არაჟანი | კგ | 48423 | 1.95 | 94424.85 |
| | ხაჭო | კგ | 63,000 | 3.75 | 236250.00 |
| ინდ. მეწარმე "ჯონდო ფერაძე" | მაიონეზი | კგ | 29,350 | 2.88 | 84,528.00 |
| | კაკაო | კგ | 1,290 | 7.98 | 10,294.20 |
| | მდოგვი | კგ | 880 | 4.55 | 4,004.00 |
| შპს "ნიკორა" | სოსისი | კგ | 73,325 | 5.35 | 392,288.75 |
| შპს "ეკონომი" | ხილფაფა | კგ | 13470 | 1.94 | 26131.80 |
| | საწებელი | კგ | 30095 | 1.76 | 52967.20 |
| | | | | სულ | 917,399.84 |

**სოფლის მეურნეობის პროდუქტები (ხელახალი)**

| ტენდერში გამარჯვებული | შესასყიდი საქონლის დასახელება | განზო-მილება | რაო-დენობა | ერთეულის ღირებულება | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| ინდ. მეწარმე "შალვა ლეონიძე" | კომბოსტო | კგ | 150,320 | 0.40 | 60,128.00 |
| | ბადრიჯანი | კგ | 29,781 | 0.30 | 8,934.30 |
| | ატამი | კგ | 15,180 | 0.65 | 9,867.00 |
| | ქლიავი | კგ | 10,120 | 0.68 | 6,881.60 |
| ფიზიკური პირი "ლევან ლეონიძე" | სტაფილო | კგ | 73,173 | 0.55 | 40,245.15 |
| | ხახვი | კგ | 92,104 | 0.49 | 45,130.96 |
| | | | | სულ | 171,187.01 |

# საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრი აცხადებს კონკურსს ირიგაციის დარგში ტექნიკური მომსახურეობის სააგენტოს დაქირავებაზე

**ძირითადი მოვალეობები:**

- ასპინძის რაიონში პროგრამის ფარგლებში დაუმთავრებელი საირიგაციო-სრეაბილიტაციო სამუშაოების სრული შესწავლა-შეფასების ჩატარება.

- ასპინძის რაიონში საირიგაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მიღებული საირიგაციო სქემების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება.

- საირიგაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრებისთვის აუცილებელი ტექნიკური რეკომენდაციების, სამუშაოების და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის მომზადება.

კვალიფიკაცია და მოთხოვნები

აუცილებელია:

1. საირიგციო პროექტების შეფასების დადასტურებული გამოცდილება;
2. მინიმუმ 3 წლის პროფესიული გამოცდილება (საირიგაციო და ჰიდროლოგიური ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ზედამხედველობაში);
3. საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;
4. კომპიუტერთან მუშაობის ნორმალური უნარ-ჩვევები;

5. საველე პირობებში (პროგრამის რეგიონებში) ინტენსიური მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ კვალიფიკაციის და მოთხოვნების დამადასტურებელი საბუთები.

საბუთების მიღება იწარმოებს პროგრამის მართვის ცენტრში ა.წ. 29 მაისიდან 02 ივნისის ჩათვლით 10:00-დან 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კოსტავა ქ. 41, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შენობა, ოთახი 501, ტელ: 98-53-44, 92-39-74.

ელექტრონული ფოსტა pmu@rdpmha.org.ge

**2006 წლის 3 მაისის გაზეთში """“24 საათი”"" ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დახმარების პროექტის ("ზოგადი განათლების დეცენტრალიზაციისა და აკრედიტაციის პროექტი"GEDA) განმახორციელებელი ორგანიზაციის განათლების განვითარების აკადემიის “AED”(Academy for Educational Development) მიერ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადებების შესწორება:**

**ტ ე ნ დ ე რ ი**
**გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოების ჩატარებაზე**

განაცხადის თარიღი: 2006 წ. 3 მაისი
დახურვის თარიღი: 2006 წ. **29 მაისი** 18:00.

შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალის, ნახაზებისა და სატენდერო საბუთების მისაღებად და სატენდერო დოკუმენტაციის ჩასაბარებლად გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:
**დ. უზნაძის ქუჩა N68, III სართული, ოთახი 5; ME**
**სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 29 მაისი. 18:00.**

**ტ ე ნ დ ე რ ი**
**სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე**

განაცხადის თარიღი: 2006 წ. 3 მაისი
დახურვის თარიღი: 2006 წ. **29 მაისი**; 18:00.

შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალის, ნახაზებისა და სატენდერო საბუთების მისაღებად და სატენდერო დოკუმენტაციის ჩასაბარებლად გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:
**დ. უზნაძის ქუჩა N68, III სართული, ოთახი 5; A ME**
**სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 29 მაისი. 18:00.**

# განცხადება

ქ.ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ მ/ წელს წყალმომარაგების ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისათვის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოავლინა შემდეგი ფირმები:

**I-ლოტი.**

წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია- შ.პ.ს. თგთ "იმედი", დირექტორი თენგიზ რობაქიძე;

**II-ლოტი.**

წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში ტუმბო აგრეგატების შესყიდვა- შ.პ.ს. "ინჟმშენი 96", დირექტორი მურთაზ ჟორჟოლიანი

**გამარჯვებულ პირებთან დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები 2006 წლის 2 მაისს.**

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილწყალკანალი", იურიდიული მისამართით: თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33 აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისში **გუმათჰესის ქუჩაზე წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის რეკონსტრუქციის სამუშაოების შესასყიდად.**

პროექტები ითვალისწინებს წყალსადენის და კანალიზაციის ქსელის შეცვლას (ძველი, ამორტიზირებული მილდენის დემონტაჟს, ახლის ჩაწყობას და არსებულ სისტემაზე მიერთებას). წყალსადენის ახალი ქსელები სრულდაბა პოლიეთილენის მილებით,.

2. სამუშაოების დასრულების სასურველი ვადაა: **ერთი თვე.**

3. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია ანალოგიური სახისა (წყალსადენის მოქმედი ქსელების სარეკონსტრუქციო სამუშაოები) და მოცულობის სამუშაოების შესრულების, გამოცდილება.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის **15 ივნისის** 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, ოთახი N28.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები:
შპს "თბილწყალკანალი";
ს/კოდი: 203826002;
ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 2200101502.

6. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის **16 ივნისის** 10:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, **ოთახი N28.**

7. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

7.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური საქონლის მოწოდების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.

7.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
დ) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური საქონლის მოწოდების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთხსენებულ მისამართზე შემდეგი პირებისაგან:

ა) სატენდერო პროცედურასთან დაკავშირებით:
**ზურაბ ღონღაძე,**
ტელ: **487 140;**
ელ. ფოსტა: **zgongadze@Tbilisiwater.com**

ბ) საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით
**ქეთევან კაციტაძე,**
ტელ: **99 67 82;**
ელ. ფოსტა: **kkatsitadze@ Tbilisiwater.com**

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს თბილისის ზღვის ტყე-პარკის, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკის, თბილისის შემოგარენის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 3 ლოტად (პოზიციად): I ლოტი (პოზიცია) - თბილისის ზღვის ტყე-პარკი II ლოტი (პოზიცია) - ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკი III ლოტი (პოზიცია) - თბილისის შემოგარენი.

გასაწევი მომსახურების მოკლე დახასიათება: I და III ლოტებზე (პოზიციებზე) - დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების გატანა, აგრო-ტექნიკური ღონისძიებების გატარება, ხე-მცენარეთა ფორმირება; II ლოტზე (პოზიციაზე) - დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, კომუნალური ხარჯების დაფარვა, აგრო-ტექნიკური ღონისძიებების გატარება, ხე-მცენარეთა ფორმირება;

*2*. მომსახურების გაწევის ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

*3*. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 19 ივნისის 12 საათიდან 19 ივნისის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4*. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 25 მაისის 12 საათიდან 19 ივნისის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

*8.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# ცვლილებები მრავალწლიანი საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

1. ქ. ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ 2006 წლის 17 მაისის გაზეთ "24 საათში" გამოაქვეყნა განცხადება ქ. ქუთაისში ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავების მომსახურების მრავალწლიანი (2006-2010 წ.) საერთაშორისო ტენდერის მეთოდით შესასყიდად. განცხადების პირველ პუნქტში აღნიშნული ოთხივე ლოტი გაერთიანებულია და ტენდერი ცხადდება ერთიან მომსახურებაზე.

ა) დასაგველი ფართობი - 1208.9 ათასი $მ^2$
ბ) ქუჩების მორწყვა-ჩარეცხვა - 332.7 ათასი $მ^2$
გ) ზიდვის საშუალო მანძილი 17 კმ.

2. დაემატოს მე-4 პუნქტს:

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უცხო ქვეყნის მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას ინგლისურ ან რუსულ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით.

3. დაემატოს მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტს:

უცხო ქვეყნის მონაწილის მიერ ცნობები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

3. ამოღებული იქნა პუნქტი 6.3-ის "ვ" ქვეპუნქტი.

3. განცხადების მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორის გამოყენება. სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში სუბ-კონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად.

4. ამოღებული იქნა მე-13 პუნქტი.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიული ბიუროების სასამართლო აღმასრულებელთა მიერ დანიშნული საჯარო აუქციონების შესახებ დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე www.justice.gov.ge შეუძლიათ.

აღმასრულებელთა მიერ დანიშნული, იპოთეკით დატვირთული უძრავი და მოძრავი ქონების აუქციონების შესახებ ცნობები მუდმივად განახლდება.

**სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" სატენდერო კომისიის**

## განცხადება

2006 წლის 24 მარტს კონდიციონერების შესასყიდად კომპანიის მიერ ჩატარებულ ტენდერში Gგაიმარჯვა ს/ს "ჯი და ჯი"-მ.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს გორის რაიონში, სოფ. უფლისციხესთან მისასვლელი საავტომობილო გზის კმ.1-კმ.7 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), 2006 წლის 29 მაისისდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 14 ივნისის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 15 ივნისის 9.00 საათიდან 12.00 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.1 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგილზე მობილიზაციისათვის.

**--** ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

**ე.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

**ვ.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად.

**--** ცნობას 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**5.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

**--** ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს. მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონები.

-- ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ინფორმაცია წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

-- ინფორმაცია, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები).

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს. სამუშაოების შესრულების მეთოდში დეტალურად უნდა იქნას აღწერილი სამუშაოების წარმოების ყველა ტექნოლოგიური პროცესი, ასევე მანქანა-მექანიზმების და დანადგარების მობილიზაციისათვის საჭირო ვადები.

11. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**12.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# მოწვევა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

*საქართველო*
*სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი*

ლაბორატორიული მოწყობილობების მიწოდება მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტისათვის

კრედიტი N: 3347GE.

1. ეს მოწვევა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოსდევს 2004 წლის 16 იანვარს გაზეთ "*Development Business*"-ის N622-ში გამოქვეყნებულ ზოგად შეტყობინებას "სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის" ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვების შესახებ.

2. საქართველომ საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან მიიღო კრედიტი სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტისათვის და განზრახული აქვს ამ კრედიტის თანხის ნაწილის გამოყენება კონტრაქტის #ARET/ICB/01-2006 - "ლაბორატორიული მოწყობილობების მიწოდება მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტისათვის" ფარგლებში გათვალისწინებული გადახდების ასანაზღაურებლად.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე კონკურსანტებს, რათა მათ წარადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტისათვის შემდეგი საქონლის მიწოდებისათვის;

**კონტრაქტი N1: ხელსაწყოები მოლეკულური ბიოლოგიის კვლევებისათვის და პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციებისათვის;**

**კონტრაქტი N2: მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფი მასპექტრომეტრული და სხა დეტექტორებით;**

**კონტრაქტი N3: ქიმიური შემადგენლობების დამდგენი ხელსაწყოები:**

**კონტრაქტი N4: ხელსაწყოები ოპტიკური გაზომვებისათვის.**

კონკურსანტებს შეუძლიათ წარადგინონ საკონკურსო წინადადებები ნებისმიერი ერთი, რამოდენიმე ან ყველა კონტრაქტისათვის. შეფასება და კონტრაქტის მინიჭება მოხდება თითოეული კონტრაქტისათვის ცალკე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

ა) კონკურსანტმა თითოეული კონტრაქტისათვის უნდა აჩვენოს, რომ მან წარმატებით განახორციელა მინიმუმ ორი (2) მსგავსი ღირებულებისა და სახის კონტრაქტი ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში.

ბ) თითოეული კონტრაქტისათვის კონკურსანტმა უნდა წარადგინოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დამოწმებული შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება იმის დასადასტურებლად, რომ მისი საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო ორი (2) წლის განმავლობაში შეადგენდა საკონკურსო წინადადების ღირებულების მინიმუმ ორმაგ (2) თანხას.

იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტი წარადგენს საკონკურსო წინადადებას ერთზე მეტი კონტრაქტისათვის, მან უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ა და ბ) შესაბამისი კონტრაქტების ჯამური ღირებულების ეკვივალენტური თანხისათვის.

4. კონკურსი ჩატარდება მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში "შესყიდვები რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის ფარგლებში" (გამოცემული 1995 წლის იანვარში, გადასინჯული: 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში) განსაზღვრული საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების თანახმად. საკონკურსო ვაჭრობაზე დაიშვება ყველა კონკურსანტი აღნიშნულ სახელმძღვანელოში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

5. დაინტერესებულ კონკურსანტებს დამატებითი ინფორმაციის მოპოვება და საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობა შეუძლიათ პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10 საათიდან 17 საათამდე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

6. საკონკურსო დოკუმენტაციის მთლიანი პაკეტის (ინგლისურ ენაზე) შეძენა შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან 111 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ. გადახდა განხორციელდება საბანკო გადარიცხვით შემდეგ ანგარიშზე (გთხოვთ, მიუთითოთ კონტრაქტის ნომერი):

**ქართუ ბანკი, თბილისი, საქართველო**
**სვიფტი: CRTUGE22;**
**სალარე ანგარიში: 13458;**
**სადოლარე ანგარიში: 000 203 668;**
**სადოლარე ანგარიში დასახელება: "PCC Deposit Account for bidding Document".**

**საკორესპონდენტო ბანკი: Societe Generale, New York, NY, USA**
**სვიფტი: SOGEUS33, ABA: 026004226, CHIPS:422**
**ანგარიში N: 184853.**

მოთხოვნის საფუძველზე დოკუმენტი გაგზავნილი იქნება კურიერის საშუალებით მიმღების ხარჯზე.

7. საკონკურსო წინადადებები მიტანილი უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 18 ივლისის 13:00 საათისა. საკონკურსო წინადადებებს თან უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების გარანტია 2300 ლარის ოდენობით პირველი კონტრაქტისათვის, 7600 ლარის ოდენობით მეორე კონტრაქტისათვის, 2000 ლარის ოდენობით მესამე კონტრაქტისათვის და 1000 ლარის ოდენობით მეოთხე კონტრაქტისათვის ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში ექვივალენტური თანხის ოდენობით. თუ კონკურსანტი წარადგენს წინადადებას ერთზე მეტი კონტრაქტისათვის, საკონკურსო წინადადების გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს კონტრაქტების შესაბამისი კომბინაციისათვის მოთხოვნილი საკონკურსო გარანტიების ჯამურ თანხაზე. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 18 ივლისის 13:00 საათზე კონკურსანტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას.

*საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახხორციელებელი საქართველოს სოსფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი.*

*ოთახი N 327, კოსტავას 41,*
*თბილისი, 0123, საქართველო.*
*ტელ/ფაქსი: (99532) 934651/922038*
*ფინანსური მენაჯერი/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: ბ-ნი ნოდარ მოსაშვილი*
*საკონტაქტო პირი: თეა ტორიაშვილი*
*ე-ფისტა: thea.toriashvili@adpcc.org.ge*

# განცხადება
## ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ეროვნული მუზეუმი" (მის: ქ. თბილისი 0105, რუსთაველის გამზირი N 3) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს მუზეუმის საჭიროებისათვის ავტოტრანსპორტის შესყიდვაზე:

**2. *შესასყიდი საქონელი - მიკროავტობუსი*** - გამოშვების წელი: 2006 წელი - 1 ერთეული.

**3. *საქონლის მიწოდების სასურველი ვადები*** - 2006 წლის 22 ივნისიდან 30 ივნისამდე.

**4. *მიწოდების ადგილი:*** ქ. თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (დალუქულ პაკეტში), უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 14 ივნისისს 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი N 3 (მე-3 სართული, საფინანსო-ეკონომიკური სამსახური).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: მიმღები - ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი N 220101107, ანგარიშის N 200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი N 300023133 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 29 მაისიდან 14 ივნისამდე, შემდეგ მისამართზე: სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი NN 3 (მე-3 სართული, საფინანსო-ეკონომიკური სამსახური).

9. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელსაც მიენიჭება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უფლება.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადებები.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიორგი ბეზარაშვილი, ნანა ლომსაძე, ნანა ჯაშიაშვილი, მისამართზე: სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი N 3 (მე-3 სართული, საფინანსო-ეკონომიკური სამსახური). ტელ:998 013; 990 674. ***E-mail: gbezarashvili@museum.ge***

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მის: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. N30) სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2006 წლის ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს სამინისტროს საჭიროებისათვის კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე შემდეგი ლოტების მიხედვით:

***ლოტი 1.*** პორტატული კომპიუტერები (ოპტიკური მინი მაუსით და ჩანთით) - 4 ერთეული;

***ლოტი 2***. პერიფერიული მოწყობილობები: საბეჭდი მოწყობილობა ჭავლური - 1 ერთეეული, ლაზერული - 10 ერთეული; სკანერი - 4 ერთეული; უწყვეტი კვების წყარო - 5 ერთეული; LCD - მონიტორი - 2 ერთეული, PATCH PANEL 19' - 3 ერთეული

***ლოტი 3***. პერსონალური კომპიუტერი (სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი, უწყვეტი კვების ბლოკი) - 28 ერთეული.

***1 და 3 ლოტებზე*** წარმოდგენილი ტექნიკა უნდა იყოს "BRAND name" შესაბამისი ISO სერთიფიკატით.

***საქონლის მიწოდების სასურველი ვადები*** - ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

***მიწოდების ადგილი :*** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. N30, მე-4 სართ, N417 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2006 წლის 29 მაისიდან 21 ივნისის 17 საათამდე. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებელი უნდა ჩაირიცხოს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები: - ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900, სახაზინო კოდი: 30200300, მომსახურე ბანკი- ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107. *შენიშვნა: აუცილებლად უნდა მიეთითოს, რომ მოსაკრებელი ირიცხება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით.*

პრეტენდენტებმა ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპარად (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ერთი ასლი) უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში ქართულ ენაზე, 2006 წლის 21 ივნისიდან - 22 ივნისის 15 საათამდე. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

***იურიდიული პირისათვის:***

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

b) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

***ფიზიკური პირისათვის:***

a) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

b) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე;

გ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

***როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:***

ა) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე

ანალოგიური მიწოდება:

| N | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>3. | | | |

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ვერ წარმოადგენს განცხადებაში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკვალიფიკაციო და სატენდერო წინადადებების შეფასება განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ტენდერის შედეგად გამარჯვებული გამოვლინდება თითოეულ ლოტზე ცალცალკე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ირმა მარგიშვილი, ნათია ცხოიძე, მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. N30, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ოთახი N417, დაგეგმვის, შესყიდვების და ანალიზის სამმართველოში. ტელ: 387883

**სატენდერო კომისია**


ცენტრ პოინტ ჯგუფი

ცენტრ პოინტ
ჯგუფი

იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.
სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში. განვადება უპროცენტოა.
მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.





# ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, მიმდინარე წლის 18 აპრილიდან 25 მაისამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

1) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 16 თებერვალს N34-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ზონებად (ლოტებად) დაყოფილ საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესყიდვას:

გამარჯვებულად გამოცხადდნენ ზონების(ლოტების) მიხედვით: ზონა N1 - შ.პ.ს. " ყვარელავტოგზა", ზონა N2 - შ.პ.ს. "ლაგოდეხავტოგზა", ზონა N4 - შ.პ.ს. "გარდაბნის საგზაო სამმართველო", ზონა N6 - შ.პ.ს. "ხაშურიგზა", ზონა N7 და ზონა N8 - შ.პ.ს. "ავტოგზა-2000", ზონა N13 - შ.პ.ს. "ამბროლაურგზა-7", ზონა N17 - შ.პ.ს. "ოზურგეთის საგზაო სამმართველო", ზონა N18 - შ.პ.ს. "ხულოს საგზაო სამმართველო".

2) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 17 მარტს N57-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის კმ.135-კმ.139 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "კავკასავტომაგისტრალი"

3) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 9 თებერვალს N28-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ჩალაუბანი-სიღნაღი-ანაგას საავტომობილო გზის კმ.11-კმ.16(0.3) მონაკვეთის (ლოტი-2) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა, შ.პ.ს. "ვირაჟი"

4) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 7 მარტს N48-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა საგარეჯო-სოფ.უდაბნო-დ.გარეჯის მონასტრის საავტომობილო გზის კმ1-კმ50 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "გარდაბნის საგზაო სამმართველო"

5) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 1 აპრილს N70-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ვარციხე-როხის საავტომობილო გზის კმ.1 კმ.2(0.28), კმ.6(0.62), კმ.7, კმ.8(0.07) მონაკვეთების (ლოტი-2) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "ტრანსვესტინჟინერინგი" (თბილისი)

6) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 23 მარტს N62-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ლოტი N4: ქ. ქარელთან მისასვლელი საავტომობილო გზის მე-3 კმ.-ზე, მდ. მტკვარზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა ინდ. საწარმო "ვერელი"

7) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 1 აპრილს N70-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.326-კმ330(0.16) მონაკვეთის (ლოტი-1) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "არქეოპოლოსი"

8) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 23 მარტს N23-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ლოტი N3: წალკის რაიონის, სოფ. კიარიაკიდან სოფ. ჩივტკილისამდე მისასვლელი საავტომობილო გზის მე-2 კმ.-ზე არსებული ქვის წყობის თაღოვანი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "ხიდი"

9) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 6 აპრილს N74-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ.43(0.3)-კმ.56 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "არქეოპოლის"

10) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 21 მარტს N60-ში გამოცხადებულ ხელახალ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ზონებად (ლოტებად) დაყოფილ საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესყიდვას:

გამარჯვებულად გამოცხადდნენ ზონების (ლოტების) მიხედვით: ზონა N3 - შ.პ.ს. "გზამშენი", ზონა N9 - შ.პ.ს. "ბორანი", ზონა N10 - შ.პ.ს. "ჭიათურის საგზაო", ზონა N13 - შ.პ.ს. "ამბროლაურგზა-7", ზონა N14 - შ.პ.ს. "ზუგდიდის საგზაო სამმართველო", ზონა N15 - შ.პ.ს. "მარტვილავტოგზა".

11) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 1 აპრილს N70-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა 4 ლოტად დაყოფილ საავტომობილო გზების ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოების შესყიდვას:

გამარჯვებულად გამოცხადდნენ ლოტების მიხედვით, ლოტი-1 - შ.პ.ს. "საინჟინრო სამშენებლო ჯგუფი", ლოტი-2, ლოტი-3 და ლოტი-4 - შ.პ.ს. "ჰორიზონტი".

**სატენდერო კომისია.**

# ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2006 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

(კავშირგაბმულობის საშუალებები)

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| ხელის რადიოსადგური - MDC 136-174მჰც 5ვტ 16 არხი ეკრანით | შპს „მნმ მულტიკომი“ | ცალი | 235 | 393.90 | 92566.50 |
| დასამუხტი მოწყობილობა – 230ვ ჩვეულებრივი სამაგიდო დასამუხტი | | ცალი | 235 | 53.51 | 12574.85 |
| სათადარიგო აკუმულიატორი - NICD Battery 1100 mAh | | ცალი | 235 | 47.05 | 11056.75 |
| საავტომობილო რადიოსადგური - MDC 136-174მჰც 25ვტ 16 არხი ეკრანით | შპს „მობილფონი“ | ცალი | 50 | 549 | 27450.0 |
| საავტომობილო რადიოსადგური - 3დბ 148 174მჰც; მაგნიტური სამაგრით | | ცალი | 50 | 43.92 | 2196.0 |
| რადიოსადგურის ხმის მიკროსქემა - MOTOROLA GM300 | | ცალი | 20 | 30.25 | 605.00 |
| რადიოსადგურის და ანტენის კონექტორები BNC-100c, PL-250ც | | ცალი | 350 | 2.5 | 875.00 |
| კონექტორის დამჭერი ხელსაწყო - BNC | | ცალი | 3 | 85 | 255.00 |
| ავტოტრანსფორმატორი - 220v, 5Ah | | ცალი | 10 | 158.45 | 1584.50 |
| ადაპტერი - 18v, Motorola GP300 | | ცალი | 10 | 64 | 640.00 |
| ქსელის დამცველი - 220v, 15Ah | | ცალი | 30 | 28 | 840.00 |
| კალა | | კგ | 20 | 20 | 400.00 |
| ჰილზები ქაღალდის | | კგ | 5 | 200 | 1000.00 |
| ჰილზები პოლიეთილენის | | კგ | 20 | 70 | 1400.00 |
| პლასტმასის ქურები - 100X2 | | ცალი | 50 | 38 | 1900.00 |
| პლასტმასის ქურები - 200X2 | | ცალი | 50 | 45 | 2250.00 |
| კოაქსიალური კაბელი - 50 ომიანი, დაბალი კარგვის კაბელი | | მეტრი | 4500 | 5.12 | 23040.00 |
| კაბელი - UTP | | მეტრი | 9000 | 0.6 | 5400.00 |
| კაბელი - ტრპ | | მეტრი | 4000 | 0.5 | 2000.00 |
| სამონტაჟო მავთული - 220v, 2X2,5 | | მეტრი | 200 | 0.6 | 120.00 |
| სამონტაჟო მავთული - 12v, 1X4 | | მეტრი | 200 | 0.65 | 130.00 |
| რადიოსადგურის კვების ბლოკის მკვებავი სადენი - MOTOROLA GM300 | | ცალი | 50 | 30.35 | 1517.50 |
| ელექტროკვების მავთული - 220v, 2X8 | | მეტრი | 100 | 0.55 | 55.00 |
| სატელეფონო კაბელის ჩასადები არხი - 40X40 | | მეტრი | 400 | 2 | 800.00 |
| სატელეფონო კაბელი - ხაზის კაბელი 2 წყვილიანი | | მეტრი | 4000 | 0.7 | 2800.00 |
| ფოლადის მავთული - 3მმ, მოთუთიებული | | მეტრი | 4000 | 0.35 | 1400.00 |
| რეტრანსლიატორი M - კორპუსი, კვების წყარო, კონექტორები M | შპს „მზე“ | ცალი | 12 | 925.25 | 11103.00 |
| რეტრანსლიატორის კონტროლერი - ბიდერქტუალური რეჟიმისათვის | | ცალი | 12 | 323.54 | 3882.48 |
| რადიოსადგური - MDC 136-174მჰც 45ვტ აქსესუარებით | | ცალი | 24 | 695.4 | 16689.60 |
| სტაციონალური ანტენა - 7დბ 158-166მჰც; 165-174მჰც;100ვტ | | ცალი | 24 | 454 | 10896.00 |
| კოაქსიალური კაბელი - 50 ომიანი დაბალი კარგვის კაბელი | | მეტრი | 1200 | 5.1 | 6120.00 |
| აკუმულიატორის დასამუხტი - 12ვ, 15ამპერი სტაბილიზირებული | | ცალი | 12 | 320 | 3840.00 |
| აკუმულიატორი - 12ვ 120ამ/სთ მაღალი საიმედობის | | ცალი | 12 | 150 | 1800.00 |
| მზის ელემენტი - 12ვ 100ვტ | | ცალი | 36 | 950 | 34200.00 |
| ელექტროქსელის დამცველი - 220ვ 15ამპერი | | ცალი | 12 | 28 | 336.00 |
| საბაზო რადიოსადგური - MDC 136-174მჰც 25ვტ 16 არხი ეკრანით | | ცალი | 12 | 549 | 6588.00 |
| სტაციონალური ანტენა - 5დბ 158-166მჰც; 165-174მჰც; 100ვტ | | ცალი | 12 | 311 | 3732.00 |
| კვების წყარო - 12ვ, 12ამპერი სტაბილიზირებული | | ცალი | 12 | 228 | 2736.00 |
| კოაქსიალური კაბელი - 50 ომიანი დაბალი კარგვის კაბელი | | მეტრი | 600 | 5.1 | 3060.00 |
| აკუმულიატორის დასამუხტი - 12ვ, 15ამპერი სტაბილიზირებული | | ცალი | 12 | 320 | 3840.00 |
| აკუმულიატორი - 12ვ, 120ამ/სთ მარალი საიმედობის | | ცალი | 12 | 150 | 1800.00 |
| ელექროქსელის დამცველი - 220ვ 15ამპერი | | ცალი | 12 | 28 | 336.00 |
| ხელის რადიოსადგურის აკუმულატორი - 1200 Ah, 7,5v, Motorola GP300 | | ცალი | 140 | 70.27 | 9837.80 |
| ხელის რადიოსადგურის აკუმულატორი - 1200 Ah, 7,5v, Motorola P040 | | ცალი | 50 | 65.88 | 3294.00 |
| ხელის რადიოსადგურის აკუმულატორი - 1100Ah, 7,2v, Kenwood 2107 | | ცალი | 250 | 54.9 | 13725.00 |
| ხელის რადიოსადგურის აკუმულატორი - Motorola XTS3000, 7,2v, MTN8610B | | ცალი | 150 | 370.39 | 55558.50 |
| ხელის რადიოსადგურის აკუმულატორი - Motorola MTS2000, 7,5v, NTN7144c | | ცალი | 150 | 84.91 | 12736.50 |
| აკუმულიატორის დასამუხტი იმპულსი - 12v, 15Ah | | ცალი | 30 | 320 | 9600.00 |
| აკუმულატორი - 12v, 90Ah | | ცალი | 30 | 120 | 3600.00 |
| ღილაკებიანი ტელეფონის აპარატი - Redial, Flesh, SP-Phone | | ცალი | 440 | 56.73 | 24961.20 |
| ნომრის ამომცნობი ტელეფონის აპარატი | | ცალი | 10 | 54.9 | 549.00 |
| სატელეფონო ჯეკები ყურმილის | | ცალი | 600 | 0.16 | 96.00 |
| სატელეფონო ჯეკები ხაზის | | ცალი | 2100 | 0.16 | 336.00 |

(კომპიუტერული ტექნიკა)

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| შავთეთრი, ლაზერული ქსელური პრინტერი ორმხრივი ბეჭდვით A4 მეხსიერება 64მბ მინიმუმ 1200dpi 28ppm | შპს „ალტა“ | ცალი | 5 | 1920.0 | 9600.0 |
| შავთეთრი, ლაზერული პრინტერი A4 14ppm 1200dpi 2mb 5000p/m USB 2.0 | | ცალი | 100 | 268.0 | 26800.0 |
| ფერადი, ჭავლური პრინტერი A4 23/18ppm 4800x1200 16mb 3000p/m USB | | ცალი | 5 | 223.0 | 1115.0 |
| სკანერი A4 1200dpi 48bit USB 2.0 | | ცალი | 10 | 128.0 | 1280.0 |
| მონიტორი 17", 0.2mm, 1024X768@85Hz, MPRII, TCO03. | | ცალი | 10 | 265.0 | 2650.0 |
| ქსელის პლატა LAN Card 10/100 NIC Auto-sensing, PCI | | ცალი | 50 | 9.5 | 475.0 |
| მყარი დისკი HDD IDE 3.5", 80GB, UATA-133, 7200rpm, 8MB Buf. | | ცალი | 5 | 135.0 | 675.0 |
| კლავიატურა სტანდარტული PS2 | | ცალი | 30 | 9.5 | 285.0 |
| მაუსი USB Optical | | ცალი | 50 | 12.0 | 600.0 |
| ციფრული ვიდეო დისკის ჩამწერ-წამკითხავი მოწყობილობა DVD RW IDE, Double Layer 4X,16x16x4x | | ცალი | 10 | 108.0 | 1080.0 |
| ფლეშ მეხსიერება USB2.0 Flash Drive 2Gb with Boot | | ცალი | 5 | 238.0 | 1190.0 |
| ფლეშ მეხსიერება USB2.0 Flash Drive 1Gb with Boot | | ცალი | 20 | 123.5 | 2470.0 |
| ფლეშ მეხსიერება USB Flash Drive 128Mb | | ცალი | 50 | 48.0 | 2400.0 |
| 8 პორტიანი სვიჩი 8-port UTP 10/100Mbps, Auto-sensing | | ცალი | 30 | 37.0 | 1110.0 |
| სერვერი (იხილეთ დანართი) | | ცალი | 6 | 2700.0 | 16200.0 |
| ფაქსის აპარატი | | ცალი | 10 | 300.0 | 3000.0 |
| ლაზერული პრინტერი | | ცალი | 1 | 4630.0 | 4630.0 |
| კომპიუტერი B ტიპის | შპს „მაკი და კომპანია“ | ცალი | 60 | 1114.0 | 66840.0 |
| კომპიუტერი C ტიპის | | ცალი | 9 | 2285.0 | 20565.0 |
| კომპიუტერი D ტიპის | | ცალი | 1 | 2600.0 | 2600.0 |
| უწყვეტი კვების წყარო A ტიპის | | ცალი | 13 | 152.7 | 1985.1 |
| უწყვეტი კვების წყარო B ტიპის | | ცალი | 10 | 91.0 | 910.0 |
| უწყვეტი კვების წყარო C ტიპის | | ცალი | 6 | 1546.6 | 9279.6 |
| ასლგადამღები აპარატი | შპს „ანგი“ | ცალი | 20 | 1643.0 | 32860.0 |
| ასლგადამღები აპარატი სორტერით და ადეეფით | | ცალი | 1 | 13175.0 | 13175.0 |
| კომპიუტერი A ტიპის | შპს „იუ ჯი თი“ | ცალი | 100 | 1447.0 | 144700.0 |
| კომპიუტერული ქსელის კაბელი UTP Cat. 5e | | რულონი (305 მ) | 80 | 112.0 | 8960.0 |
| ჯეკი RJ-45 | | შეკვრა (1000 ცალი) | 2 | 280.0 | 560.0 |
| **როუტერი** Router - Data Link Protocol,Ethernet, Fast EthernetNetwork / Transport Protocol, IPSec, Remote Management Protocol, SNMP 3, Features Modular design, firewall protection, 128-bit encryption, hardware encryption, VPN, | | ცალი | 6 | 3650.0 | 21900.0 |
| **24 + 2 პორტიანი სვიჩი** 24 x Ethernet 10Base-T, Ethernet 100Base-TXData Link ProtocolEthernet, Fast Ethernet Auxiliary Network Ports2x10/100/1000Base-T(uplink)Remote Management Protocol, SNMP, RMON, Telnet Communication, Mode Half-duplex, full- | | ცალი | 25 | 1665.0 | 41625.0 |
| **მედია კონვერტორი** Media Converter - Converts 10/100/1000BaseT on RJ-45 TO 1000BaseLX on Singlemode fiber with SC connector, 5V DC, for distances up to 20 kilometers. | | ცალი | 4 | 3275.0 | 13100.0 |

(ელექტრო საქონელი (საყოფაცხოვრებო კონდეციონერები))

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| საყოფაცხოვრებო კონდიციონერი ზამთარ–ზაფხულის $80მ^2$ ფართობისთვის (Midea MSG24HR) | შპს „ეი ჯი პი ჯგუფი“ | ცალი | 12 | 1437.00 | 17244.00 |
| საყოფაცხოვრებო კონდიციონერი ზამთარ–ზაფხულის $60მ^2$ ფართობისთვის (Midea MSE18HR) | | ცალი | 17 | 1027.00 | 17459.00 |
| საყოფაცხოვრებო კონდიციონერი ზამთარ–ზაფხულის $30მ^2$ ფართობისთვის (Midea MSE09HR) | | ცალი | 25 | 727.00 | 18175.00 |

(მცირეფასიანი ელექტრო საქონელი)

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| პროჟექტორის ნათურა 1000ვტ | შპს „ჯი თი ტრეიდი“ | ცალი | 200 | 8.4 | 1680.0 |
| პროჟექტორის ნათურა 150ვტ | | ცალი | 120 | 8.0 | 960.0 |
| ნათურა 500ვტ | | ცალი | 400 | 2.9 | 1160.0 |
| ნათურა 200ვტ | | ცალი | 600 | 0.6 | 372.0 |
| ნათურა 100ვტ | | ცალი | 6000 | 0.3 | 1830.0 |
| ნათურა 60ვტ | | ცალი | 10000 | 0.3 | 3050.0 |
| ნათურა 40ვტ | | ცალი | 5000 | 0.3 | 1525.0 |
| ნათურა სარკოვანი 60ვტ | | ცალი | 6500 | 1.0 | 6370.0 |
| ნათურა სარკოვანი 40ვტ | | ცალი | 3000 | 1.0 | 2880.0 |
| ნათურა ლუმინისცირებული 60ვტ | | ცალი | 20 | 2.6 | 52.0 |
| ნათურა ლუმინისცირებული 40ვტ | | ცალი | 1200 | 1.9 | 2220.0 |
| ნათურა ლუმინისცირებული 18ვტ | | ცალი | 800 | 1.7 | 1360.0 |
| ნათურა ბურთოვანი პატ. ცოკოლ.60ვტ | | ცალი | 150 | 0.4 | 57.0 |
| ნათურა ჰალოგენის 40ვტ | | ცალი | 170 | 1.7 | 289.0 |
| ნათურა ჭაღის (სანთლოვანი)60ვტ. | | ცალი | 4000 | 0.3 | 1200.0 |
| ნათურა დრლ 250ვტ | | ცალი | 300 | 7.3 | 2181.0 |
| ეკონომიური ნათურა 20ვტ | | ცალი | 500 | 5.4 | 2675.0 |
| სტარტიორი 127ვტ | | ცალი | 1100 | 0.8 | 869.0 |
| ელ. ჩანგალი | | ცალი | 870 | 1.3 | 1131.0 |
| ელ.სამკაპი | | ცალი | 580 | 0.9 | 527.8 |
| ელ. შტეფსელი ორმაგი | | ცალი | 40 | 2.6 | 104.0 |
| ელ. შტეფსელი ერთმაგი | | ცალი | 1590 | 2.1 | 3339.0 |
| ელ. შტეფსელის კოლოფი | | ცალი | 300 | 0.3 | 75.0 |
| ელ. დამაგრძელებელი 5 მეტრიანი | | ცალი | 250 | 3.0 | 750.0 |
| მაგნიტური გამშვები | | ცალი | 80 | 13.5 | 1080.0 |
| ელ. ავტომატი 1 ფაზიანი, 63ა | | ცალი | 300 | 2.7 | 795.0 |
| ელ. ავტომატი 3 ფაზიანი, 100ა | | ცალი | 160 | 18.5 | 2960.0 |
| ელ. შტეფსელი ღია გაყვანილობის | | ცალი | 410 | 2.4 | 984.0 |
| ელ. ამომრთველი | | ცალი | 10 | 2.1 | 21.0 |
| ელ. გამომრთველი ღია გაყვანილობის | | ცალი | 105 | 2.4 | 252.0 |
| ელ. გამანაწილებელი კოლოფი | | ცალი | 100 | 0.3 | 33.0 |
| მცველი 250ა | | ცალი | 480 | 4.7 | 2232.0 |
| პროჟექტორი პკ 1000 | | ცალი | 41 | 18.5 | 758.5 |
| პროჟექტორი პკ 500 | | ცალი | 20 | 9.5 | 190.0 |
| ელ.კაბელი АВВГ 3X50=1+15 | | ცალი | 100 | 7.9 | 790.0 |
| ძალოვანი გამთიშველი 3ფ, 250ა | | ცალი | 5 | 120.0 | 600.0 |
| ფაიფურის ვაზნა | | ცალი | 210 | 0.4 | 84.0 |
| ელ. ვაზნა | | ცალი | 400 | 0.5 | 200.0 |
| ელ. ვაზნა გარე ხრახნით | | ცალი | 400 | 1.5 | 600.0 |
| ჭაღი 1 ნათურიანი | | ცალი | 60 | 16.0 | 960.0 |
| ანტენის შტეკერი | | ცალი | 120 | 0.3 | 31.2 |
| ანტენის სამკაპი | | ცალი | 80 | 1.0 | 83.2 |
| ანტენის გადასაბმელი | | ცალი | 50 | 0.7 | 33.0 |
| ანტენა | | ცალი | 20 | 65.0 | 1300.0 |
| ელ. სადენი სპილენძის 2X2,4 | | მეტრი | 2120 | 0.6 | 1272.0 |
| ელ. კაბელი სპილენძის 2X2,4 | | მეტრი | 2100 | 0.7 | 1407.0 |
| დროსელი | | ცალი | 90 | 3.3 | 297.0 |
| ანტენის კაბელი | | მეტრი | 1000 | 0.3 | 270.0 |
| რკინის ჰაერგამწოვი (ტუალეტისთვის) | | ცალი | 80 | 138.0 | 11040.0 |
| მაგიდის სანათი | | ცალი | 100 | 28.0 | 2800.0 |
| მიკროსქემების ფენი | | ცალი | 2 | 85.0 | 170.0 |